პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მერვე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტების
და
სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდო მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—68
) ღამის მორიგეს 13—80.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 34, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი:
მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები:
საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი გარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ძვირდება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

შაბათი, 7 ივლისი 1928 წ.
ყოველდღიური გაზეთი
ფასი 5 კაპ. № 156 (2199)

დღიური

— პრაღის პოლიციამ აკრძალა „წითელი დღე“.—ჩეხო-სლოვაკიის კომპარტია მასიური დემონსტრაციებისაკენ მოუწოდებს მუშებს.
— რეიხსტაგის საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარედ შეიდემანია არჩეული.
— მემარცხენეთა გამარჯვება გერმანიის მელითონეთა კავშირში.
— სამხრეთ-სლავიის მთავრობის შედგენა სტანოევიჩს დაევალა.
— ინდოეთის მუშათა დელეგაციამ ნიშნად პროტესტისა დასტოვა ინგლისის მუშათა საიმპერიო კონფერენცია.
— ბელა კუნის საქმესთან დაკავშირებით გადადგა ავსტრიის იუსტიციის მინისტრი დინგჰოფერი.
— იტალიის სამხედრო აეროპლანის დაღუპვა.

კომუნისტი
გრძელდება ხელისმოწერა ივლისისათვის
კანტორა—რუსთაველის პრ. № 34. ტელეფ. 8—81.

კოოპერაციის დღისათვის

კოოპერაციის საერთაშორისო დღეს ჩვენ ვახდენთ ჩვენი სოციალისტური მშენებლობის ერთ-ერთი დარგის—კოოპერაციის დათვალიერებას. ამ დღეს ჯამს უკეთებთ ჩვენ მიერ მიღწეულ წარმატებას და აგრეთვე ვცდილობთ ჩვენი კოოპერატიული მუშაობის ნაკლულოვანებათა და შეცდომების გამოაშკარავებას, რათა გარკვევით დავსვათ ამ ფრონტზე მუშაობის გაუმჯობესების ამოცანა.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ არა თუ მარტო მართვა-გამგეობის პოლიტიკური ფორმები შეიცვალა, არამედ რადიკალური ცვლილებები მოხდა აგრეთვე ეკონომიურ ურთიერთობაშიაც, ე. ი. დაიბადა განვითარების სხვაგვარი ეკონომიური ფორმები...

ჩვენი სამრეწველო დარგების მნიშვნელოვან ნაწილში უკვე განსაზოგადოებულია საწარმოო საშუალებანი, შექმნილია სოციალისტური სექტორი და გაჩაღებულია მუშაობა სოფლად მეურნეობის კერძო კაპიტალისტურ ფორმების ნაცვლად კოლექტიური ფორმების მოსაწყობად. საბჭოთა ხელისუფლების ეკონომიური პოლიტიკის მორიგ ამოცანას წარმოადგენს ქალაქისა და სოფლის მშრომელთა ფართო მასების ჩაბმა კოოპერატიულ მოძრაობაში.

„რა კი სახელმწიფო ძალა-უფლება მუშათა კლასის ხელშია, რა კი ამ ძალა-უფლებას ეკუთვნის ყველა საწარმოო საშუალება,— ჩვენში, მართლაც, ამოცანად მხოლოდ მოსახლეობის კოოპერატიული შეკავშირება დარჩა“. (ლენინი).

მაშასადამე, მშრომელთა ფართო მასების ჩაბმა კოოპერატიულ მოძრაობაში, კოოპერატიულ- სოციალისტურ მშენებლობაში, წარმოადგენს მთავარ წინასწარ პირობას სოციალისტური წესწყობილების დასამყარებლად.

ჩვენ სოციალისტურ მეურნეობას ვაშენებთ კაპიტალისტური გარემოცვის მძიმე პირობებში. ჩვენი მშენებლობის სიძნელეს თან ერთვის მასების კულტურული ჩამორჩენილობა, ტეხნიკის სისუსტე და დაქუცმაცებული წვრილი და საშუალო გლეხური მეურნეობა. კოოპერატიულ მოძრაობაში მშრომელი გლეხობის მასების ჩაბმით ჩვენ, უწინარეს ყოვლისა, მათ ვაჩვევთ კულტურულ ცხოვრებას და ამასთანავე ერთად მათ ყოველდღიურ ცხოვრებაში შეგვაქვს ახალი სოციალისტური ელემენტები. კოოპერაცია მრავალი მილიონი მშრომელებისათვის და მუშებისა და გლეხებისათვის ფართო გზაა სოციალიზმისაკენ.

გლეხური მეურნეობანი, განსაკუთრებით ღარიბი გლეხების მეურნეობა, ვერ აღორძინდება ცალკე დამოუკიდებლად. კოოპერაციის წარმატებით განვითარება გლეხობაში რამდენჯერმე ადიდებს შრომის ნაყოფიერებას წვრილ მეურნეობაში და ხელს უწყობს ამ მეურნეობის უმტკივნეულო და შეგნებულ გადასვლას მსხვილ კოლექტიური წარმოებაზე, რა თქმა უნდა, ნებაყოფლობითი გაერთიანების საფუძველზე. კოოპერაციაში საბჭოთა სახელმწიფო ხედავს ქალაქისა და სოფლის შორის საქონლის გაცვლის მოწესრიგების ყველაზე უფრო სწორ გზას გარეშე კერძო კაპიტალისა, რომლის როლიც თანდათან მცირდება და ისპობა გაფართოებულ სოციალისტურ მშენებლობაში. დღეს სასოფლო- სამეურნეო კოოპერაციაში გაერთიანებულმა სოფლის მოწინავე აქტივმა უკვე იცის, რომ კოოპერაციის მშენებლობას, მის მიღწევებსა და განვითარებას განუყრელი კავშირი აქვს ქვეყნის საერთო სამეურნეო ცხოვრებასთან, მის საშინაო და საგარეო მდგომარეობასთან. სახელმწიფო ვაჭრობამ და კოოპერაციამ გაბატონებული მდგომარეობა დაიკავეს ბაზარზე და თანდათან სდევნიან კერძო კაპიტალს...

სოციალისტურ მრეწველობაზე, საგარეო ვაჭრობის მონოპოლიაზე და სხვა მბრძანებელ მაღლობებზე დაყრდნობილი საბჭოთა ხელისუფლება მიზნად ისახავს კოოპერაციის საშუალებით წვრილ, დაქსაქსულ გლეხურ მეურნეობის გადაყვანას კოლექტიურ სოციალისტურ მშენებლობაზე.

ამრიგად მრავალ მილიონ მუშისა და გლეხის აქტიურად ჩაბმით სოციალისტურ მშენებლობაში იჭრება ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობის ყველა პრობლემები...

საბჭოთა კოოპერაცია მიზნად ისახავს მთელი მოსახლეობის და, რა თქმა უნდა, უწინარეს ყოვლისა, მუშებისა, მოჯამაგირეებისა და ღარიბ და საშუალო გლეხების ჩაბმას თავის რიგებში.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციამ, რომელიც კოოპერაციის სხვა სახეებთან შედარებით უფრო ახალგაზრდაა, თავის რიგებში უკვე ჩააბა საბჭოთა კავშირის მეურნეობათა მნიშვნელოვანი ნაწილი. ამ კოოპერაციის ქვედა საფეხურის ქსელში, მაგალითად, გაერთიანებულია სასოფლო- სამეურნეო წარმოების სხვადასხვა დარგისა და ტიპის გლეხური მეურნეობანი.

დაქსაქსულ მწარმოებელთა შრომის კოლექტივიზაცია, კოოპერატიული კრედიტის ორგანიზაცია— ყოველივე ეს ზეგავლენას მოახდენს მთელი ეკონომიური ცხოვრების მიმართულებაზე და მუშაობაზე სოფლად...

შემდეგ, სასოფლო- სამეურნეო საკრედიტო კოოპერაცია აერთიანებს კოოპერატიულად შეკავშირებულ მეურნეობათა დაახლოებით ორ მესამედს. ამ კოოპერაციის მთავარ მიზანს შეადგენს გლეხურ მეურნეობათა საწარმოო მოთხოვნილებების დაკმაყოფილება. ამ ამოცანას სასოფლო- სამეურნეო საკრედიტო კოოპერაცია ანხორციელებს შემდეგი გზით: ის გლეხურ მეურნეობას აწვდის ფულად კრედიტს, სასოფლო -სამეურნეო იარაღებს, თესლს, სასუქს და სამრეწველო საქონელს, გარდა ამისა ის გლეხურ მეურნეობას საშუალებას აძლევს დააგროვოს ფული და აწყობს სასოფლო- სამეურნეო პროდუქციის გასაღებას.

შემდეგ, განსაკუთრებით სწრაფად იზრდება სამომხმარებლო კოოპერაცია.

უფრო სუსტი ტემპით სწარმოებს კოოპერატიული მშენებლობა სარეწაო კოოპერაციაში, რომელიც ჯერ-ჯერობით ქალაქისა და სოფლის შინამრეწველებისა და ხელოსნების მცირე ნაწილს აერთიანებს. შინამრეწველობას, მიუხედავად მსხვილი მრეწველობის სწრაფი ზრდისა, თავისი დიდი შრომის ტევადობის მეოხებით, რამდენიმე წლის განმავლობაში კიდევ ექნება დიდი მნიშვნელობა სოფლის ზედმეტი მუშა ხელის გამოსაყენებლად. შინამრეწველობას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საბჭოთა კავშირის განაპირა ქვეყნებში. შინამრეწველობის განვითარება უნდა მოხდეს შინამრეწველებისა და ხელოსნების გაერთიანებით კავშირებში და არტელებში მათი ნაწარმოების გასაღების მოწყობით და თანდათანობით მათი კოლექტიურად გაერთიანებით უფრო დიდ მექანიკურ საერთო სახელოსნოებში და წარმოებებში.

როგორც ვხედავთ, კოოპერაციის თითქმის არც ერთი მთავარი სახე არაა შეწყვეტილი სახალხო მეურნეობის სხვა სახეების განვითარებასა და მუშაობას.

კოოპერაციის მიღწევები ასეთია: გაიზარდა კოოპერაციის წევრთა რიცხვი, გაუმჯობესდა მათი სოციალური შემადგენლობა და გაიზარდა კოოპერაციის ხვედრითი წონა სახალხო მეურნეობაში და ვაჭრობაში. კოოპერაცია საბჭოთა კავშირში ხდება იმ ფორმად, სადაც საზოგადოებრივი მუშაობის ახალი მეთოდები იქმნება. კოოპერაცია სასტიკ ბრძოლას აწარმოებს ქალაქისა და სოფლის კაპიტალისტურ და ექსპლოატატორულ ელემენტების წინააღმდეგ და ამავე დროს ის წარმოადგენს მუშათა და მშრომელ გლეხობის მასების ახალი აღზრდისა და სამეურნეო გაერთიანების სკოლას.

„კოოპერაცია ჩვენს პირობებში ხშირად სავსებით უდრის სოციალიზმს“— ამბობს ლენინი და ამით იძლევა პროლეტარიატის დიქტატურის გარდამავალ პერიოდში კოოპერაციისა და სოციალიზმის ურთიერთ დამოკიდებულების ფორმულას.

პროფკავშირებმა აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ ყველა სახის კოოპერატიულ მშენებლობაში. არ უნდა დაგვავიწყდეს აგრეთვე, რომ ყოველი კომკავშირელი იმავე დროს კარგი კოოპერატორიც უნდა იყოს.

ახალგაზრდობამ, უნდა შესცვალოს კოოპერატორთა ძველი თაობა.

მუშა და გლეხი ქალებიც უნდა ჩადგნენ კოოპერაციისა და სოციალიზმის მშენებელთა პირველ რიგებში.

ჩვენ ვხედავთ, რომ საბჭოთა კავშირის კოოპერაციას დიდი მიღწევები აქვს.

სულ სხვა მდგომარეობას ვხედავთ ზოგიერთ ევროპიულ ქვეყნებში. კოოპერაციის ერთგვარ ზრდას ადგილი აქვს მხოლოდ გერმანიაში. სხვაგან კი უკეთეს შემთხვევაში ჩვენ ვამჩნევთ ერთ სტაბილურ მდგომარეობას. ამას აღიარებენ მეორე და ამსტერდამის ინტერნაციონალის წვრილ- ბურჟუაზიული ბელადები— მენშევიკებიც. ისინი მასებს არ უხსნიან კოოპერაციის ერთ წერტილზე გაყინვის მიზეზებს და მთელ თავის ძალებს ხარჯავენ კომუნისტური „საფრთხის“ გაზვიადებაზე და რევოლიუციონურ მუშებისა და გლეხების დევნაზე. ეს თავხედები მოითხოვენ საბჭოთა სოციალისტურ კოოპერაციის გამორიცხვას საერთაშორისო კოოპერატიული ალიანსიდან... მაგრამ ჩვენ ვხედავთ, რომ ლენინური იდეების გავლენა მთელი ქვეყნის მშრომელ მასებზე კოოპერაციის დარგშიაც სულ უფრო და უფრო ძლიერდება. გერმანიისა და სხვა ქვეყნების მუშათა კოოპერატიული მოძრაობის ყველაზე უფრო შეგნებული ელემენტები აშკარად უჭერენ მხარს კომუნისტებს.

გაუმარჯოს კოოპერაციის ამ მეექვსე საერთაშორისო დღეს მუშათა კლასისა და კაპიტალიზმის მიერ დაჩაგრულ მთელი ქვეყნის ხალხების მთლიან ფრონტს!

ძირს იმპერიალისტებთან ერთად მათი დამქაშებიც— მენშევიკები, რომლებმაც უღალატეს სოციალიზმსა და რევოლიუციას!

გაუმარჯოს კომინტერნს— მსოფლიო რევოლიუციის დიდ ბელადს!

მიხა ცხაკაია.

განაჩენი

პროლეტარულმა სასამართლომ გამოიტანა განაჩენი განსაკუთრებული მნიშვნელობის საქმის გამო,—იმ საქმის გამო, რომელზედაც მთელი თვეების განმავლობაში მიპყრობილი იყო არა მარტო ჩვენი კავშირის საბჭ. საზოგადოებრიობის ფართო წრეების ყურადღება, არამედ ჩვენი საზღვარ-გარეთელი მეგობრების და მტრების ყურადღებაც. 36 დღის მანძილზე, აშკარად და საჯაროდ, მრავალი ათი ათასი მსმენელის თვალწინ, მრავალრიცხოვანი უცხოელი კორესპონდენტების თანდასწრებით, დაწვრილებით პრესაში აღნუსხვით, თან-და-თან და კვალდაკვალ ირჩეოდა საქმე ყაჩაღური კონტრ-რევოლიუციონური ორგანიზაციისა, რომელმაც მკვიდრათ მოიკალათა საბჭოთა კავშირის ენერგეტიულ ცენტრში— დონბასში. უდიდესი დაკვირვებით მრავალჯერ შემჩნეულ იქნა ამ საქმის ყველა გარემოება და ფაქტი, საბრალმდებლო დასკვნის ყოველი მუხლი და ადგილი.

მერე, როგორია შედეგები ამ პროცესისა, რას ამბობს პროლეტარული სასამართლოს განაჩენი? შეურყეველად და დანამდვილებით დამტკიცდა და დადასტურდა კონტრ-რევოლიუციონური საზიანო ორგანიზაციის არსებობა დონეცის ქვა-ნახშირის მრეწველობის ტეხნიკურ ხელმძღვანელთა წრეში,—არსებობა ორგანიზაციის, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში დაჟინებით, სისტემატიურად და ორგანიზაციულად, აფერხებდა დონბასის აღდგენას, აგრეთვე მის რეკონსტრუქციას. განზრახ წყლის შეშვება მაღაროებში, დაფარვა საბჭოთა ხელისუფლებისაგან ფასიანი ფენებისა, მექანიზმების და მანქანების გაფუჭება, ქვა-ნახშირის თვითღირებულების გადიდება, ამავე ქვა-ნახშირის ღირსების გაუარესება, შეგნებულად დახანება ახალი მაღაროების პროექტებისა და ამ მაღაროებში გასავლელების გაყვანის დაგვიანება, ხარჯთ-აღრიცხვის დამახინჯება, სახალხო ქონების უნაყოფოდ დახარჯვა, მოწყობილებათა უმართებულო იმპორტი, ვალიუტის არანაყოფიერად ხარჯვა, საბჭოთა კავშირის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის შეფერხების და შეჩერების ცდა,—ყოველივე ეს სარწმუნოდ და დაურღვევლად დამტკიცდა სასამართლოში საბუთებით, მოწმეთა ჩვენებით, უპირველეს ყოვლისა კი თვით ბრალდებულთა ჩვენებით.

თეთრგვარდიელთა და ბურჟუაზიული პრესის ცდა,—გაებათილებიათ ბრალდების დასაბუთება, მარცხით დამთავრდა.

ასევე დანამდვილებით გამოირკვა სასამართლოში, რომ „კაპიტალის ობერ-ოფიცრებმა“ (როგორც თითონ უწოდებენ თავიანთ თავს), რომლებიც დონბასის ქვა-ნახშირის მრეწველობაში მუშაობდნენ, კავშირი გააბეს მოსკოვთან და საბჭოთა კავშირის ცენტრალურ სამეურნეო ორგანიზაციებთან, ხოლო უკანასკნელ პერიოდში ისინი დაბეჯითებით ცდილობდნენ ძაფები გაებათ მძიმე ინდუსტრიის სხვა დარგებთან და გაევრცელებიათ იქ თავიანთი კონტრ-რევოლიუციონური საზიანო მუშაობის მეთოდები.

სასამართლოში ზედმიწევნით გამოირკვა აგრეთვე, რომ დამზიანებელთა ჯგუფი—დამზიანებელთა კონტრ-რევოლიუციონური ორგანიზაცია—რამდენიმე წლის განმავლობაში კავშირს ამაგრებდა ქვა-ნახშირის მაღაროების ყოფილ მეპატრონეებთან, თეთრგვარდიელებთან, ემიგრანტებთან და სამხრეთ რუსეთის მთა-მადნის ყოფილ მრეწველების ყრილობათა საბჭოს ნაშთებთან, ხოლო ამ უკანასკნელის საშუალებით—ევროპის კაპიტალის სხვადასხვა კაპიტალისტურ ორგანიზაციებთან. დამტკიცებულია, რომ პროლეტარული მართლმსაჯულების მიერ დასჯილ კონტრ-რევოლიუციონურ ორგანიზაციას სისტემატიურად აწვდიდენ ფულს უცხოეთიდან მაღაროების ყოფილ მესაკუთრეთა გაერთიანება და მათი მფარველები ევროპის კაპიტალიზმის რიგებიდან. სასამართლო გამოძიების დროს, განსაკუთრებით დახურულ სხდომაზე, დამტკიცდა, რომ პროლეტარული სახელმწიფოს დამცველი ორგანოების მიერ განადგურებული კონტრ-რევოლიუციონური ორგანიზაცია სისტემატიურად ეწეოდა აშკარა გამცემლობას, სახელმწიფო ღალატს, ჯაშუშობას და ამზადებდა დივერსიულ აქტებს საბჭოთა კავშირის მიმართ მტრულად განწყობილ საერთაშორისო კაპიტალის ძალების სასარგებლოდ.

თეთრგვარდიელთა პრესა საზღვარგარეთ და და რეაქციონური ობივატელური ელემენტები ჩვენს ქვეყანაში ცილისწამებითა და ფაქტების დამახინჯებით ცდილობდენ საქმის ისე დახატვას, თითქოს შახტის პროცესზე ჩვენი ქვეყნის ინტელიგენციას ასამართლებდნენ. ეს კონტრ-რევოლიუციონური სისულელეა. პროლეტარული დიქტატურისა და საბჭოთა მშენებლობის პირველივე ათი წლის თავი აღინიშნა უდიდესი მიღწევებით ჩვენი ქვეყნის ინტელიგენციის გასაბჭოებისა და მშენებლობაში სოციალისტური საზოგადოების ჩაბმის საქმეში. ვერ შესძლეს და ვერც შესძლებდენ შახტის კონტრ-რევოლიუციონერებმა ჩვენი ქვეყნის ინტელიგენციის ზურგს უკან ამოფარებას, მიუხედავად იმისა, რომ ამ ინტელიგენციას ისტორიული მერყეობა ახასიათებს. „კაპიტალიზმის მოწინავე რაზმი“ საბჭოთა კავშირში, როგორც უწოდებდენ კონტრ-რევოლიუციონურ ორგანიზაციას მისი უცხოელი ჭირისუფალნი, გარიყული აღმოჩნდა არა მარტო მუშურ-გლეხური მასებისაგან, არამედ იმ საბჭოთა ინტელიგენციის ფართო კადრებისაგანაც, რომელმაც მჭიდროდ დაუკავშირა თავისი ბედი ძლევამოსილი პროლეტარიატის ბედს.

წინასწარი გამოძიების დროს ზოგიერთი ბრალდებული ცდილობდა კონტრ-რევოლიუციონურ მავნებელ ორგანიზაციაში შესვლა გაემართლებია იმით, რომ მას არ სწამდა, რომ საბჭოთა ხელისუფლება შესძლებდა მეურნეობის აღდგენას და ქვეყნის საწარმოო ძალთა განვითარებას. არის საფუძველი ვიფიქროთ, რომ მათ განიზრახეს სწორედ ამ აზრის დემონსტრაცია სასამართლოში თავის დასაცავად. მაგრამ საბჭოთა სასამართლოს საჯარო სხდომაზე ვერც ერთმა ბრალდებულმა (პირდაპირ ვერც ერთმა) ვერ გაბედა ამ ვერსიის მხარის დაჭერა, ვერ გაბედა საბჭოთა ეკონომიური სისტემის წინააღმდეგ გამოსვლა. პირიქით, ყველა ბრალდებული (უკლებლივ ყველა) იძულებული იყო ეღიარებია საბჭოთა ეკონომიური სისტემის უდიდესი უპირატესობა და სახალხო მეურნეობის სწრაფი განვითარება, რომელმაც გადალახა ყველა დაბრკოლება მათ შორის მათი საზიანო მუშაობაც.

მეტიც: სახალხო მეურნეობის (კერძოდ დონბასის) სწორედ ამ სწრაფი განვითარებით ცდილობდენ ბრალდებულები თავის ოდნავად მაინც გამართლებას და დანაშაულის შემსუბუქებას. ბრალდებულთა ჩვენება და უკანასკნელი სიტყვები მაჩვენებელი იყო იმის, რომ ისინი სრულიად განიარაღდენ მორალურად და პოლიტიკურად პროლეტარული სასამართლოსა და საბჭოთა ხელისუფლების წინაშე.

ორ დღე-ღამეზე მეტი თათბირობდა სასამართლო განაჩენის გამოტანაზე და სათანადო შედეგების გამოყვანაზე.

ამ ჯაშუშებს და კონტრ-მზვერავებს, რომელთაც უშუალო კავშირი ჰქონდათ ზოგიერთ კაპიტალისტურ სახელმწიფოს დაზვერვის ორგანოებთან. სასამართლოს დახურული სხდომების ამ გმირებს მიესაჯათ სოციალური დაცვის უმაღლესი ზომა—დახვრეტა. დაე, მტკიცედ დაიხსომოს ეს ყველა იმან, ვინც იფიქრებს კაპიტალიზმის ამ აგენტების კვალზე სიარულს. პროლეტარული დიქტატურის მახვილი ხელი დაუნდობლად სჯის ყველას, ვინც ინტერვენციის მომზადებით და თავდაცვის უნარის შესუსტების ცდით განიზრახავს ჩვენი ქვეყნის მშენებლობის ჩაშლას.

პროლეტარულ სასამართლოს არ შეეძლო სხვა სასჯელის გამოტანა იმათ მიმართ, ვინც ამ ბოროტმოქმედებისა და კონტრ-რევოლიუციონური საქმის ორგანიზატორი და სულის ჩამდგმელი იყო ჩვენი ქვეყნის ენერგეტიულ ცენტრში. ჩვენი ქვეყნის ქვანახშირის მეურნეობის ტეხნიკურ საჭესთან დაყენებულ ხალხს რომელმაც ბოროტად გამოიყენა მუშათა კლასისა და მისი ხელისუფლების ნდობა მშენებლობის ამ მეტად მნიშვნელოვან დარგში,—ამ ხალხს არ შეუძლია იქონიოს სასამართლოს მსუბუქი განაჩენის იმედი. და მხოლოდ მათმა მორალურმა და პოლიტიკურმა განიარაღებამ სასამართლოში, დანაშაულის აღიარებამ და მონანიებამ მისცა სასამართლოს უფლება ზოგიერთ მათგანის მიმართ აღეძრა შუამდგომლობა საკავშირო ცაკის წინაშე სიცოცხლის შენარჩუნების შესახებ.

მრავალ მონაწილეს, კონტრ-რევოლიუციონური ორგანიზაციის უბრალო მონაწილეს, რომელთა უდიდესმა უმრავლესობამაც აღიარა აგრეთვე თავისი დანაშაული, მიესაჯათ თავისუფლების აღკვეთა სხვადასხვა ვადით, ნაწილს კი—პირობითი სასჯელის სხვადასხვა ნორმა.

ცალკე სდგას საკითხი ბრალდებულ უცხოელთა შესახებ. სასამართლო პროცესის მსვლელობამ და განაჩენმა გვიჩვენა, თუ რამდენად უსაფუძვლო იყო ის ჭორები, რომლებსაც ავრცელებდა პროცესის გარშემო ევროპის პრესის ერთი ნაწილი.

შახტის პროცესს ახასიათებდა ის თავისებურება, რომ ტეხნიკის ელემენტები და ტეხნიკური შეფასების საკითხები პროცესზე მეტად დიდ როლს თამაშობდენ, ცნობილია, რა სიფრთხილით ეკიდებოდა სასამართლო ამ მომენტებს და რა მნიშვნელობას აძლევდა მთელ რიგ საკითხებში ტეხნიკურ ექსპერტიზას. ტეხნიკურ შეცდომებს, ტეხნიკურ ინიციატივას, ტეხნიკურ რისკს ჩვენს ქვეყანაში არ ასამართლებენ. პირიქით, ტეხნიკური ინიციატივა განსაკუთრებით დიდათ ფასდება დიდი მშენებლობის ხანაში. განაჩენი გამსჭვალულია ამ შეგნებით მთელ რიგ ბრალდებულთა მიმართ და სპეციალურად ხაზს უსვამს ამ მომენტს.

სასამართლომ სთქვა თავისი სიტყვა. დამაზიანებელთა კონტრ-რევოლიუციონური ორგანიზაცია განადგურებულია და მისი მონაწილენი—მსჯავრდადებულნი. პარტია და მუშათა კლასი ამ საქმიდან გამოიტანენ გაკვეთილს და გაათკეცებენ სიფხიზლეს სამეურნეო მშენებლობის ფრონტზე. საბჭოთა ქვეყნის მტრებმა მიიღეს დამსახურებული სასჯელი. ჩვენი ქვეყნის სოციალისტური ეკონომიკის მშენებლობა, რომელმაც თავიდან აიცილა საზიანო საქმის შედეგები, იმედიანად და მტკიცედ მიდის წინ.

„პრავდა“, 6 ივლისი.

საერთაშორისო კოოპერატიული დღე

ერთის მხრით კომინტერნი, მეორე მხრით მე-2 ინტერნაციონალი. ერთი მხრით პროფინტერნი, მეორე მხრით ამსტერდამის გაერთიანება—ერთი მეორეს წინააღმდეგ დარაზმულნი გააფთრებით ებრძვიან ერთმანეთს მუშათა პოლიტიკურ და პროფესიონალურ მოძრაობაზე გავლენის მოსაპოვებლად. აქ მსოფლიო მასშტაბით ერთი-მეორეს უპირდაპირდება ორი შეურიგებელი მოწინააღმდეგე; ესენი არიან ერთი მხრით კომუნისტები და მეორე მხრით მენშევიკ-რეფორმისტები. თუ კომუნისტებს მიზნად აქვთ ბურჟუაზიის დამხობა და მუშათა კლასის გაბატონება, მენშევიკები მიისწრაფიან მუშათა კლასი ბურჟუაზიას დაუმორჩილონ. თუ კომუნისტები ცდილობენ გააერთიანონ მთელი ქვეყნის მუშათა კლასი, შექმნან ერთი მთლიანი მუშათა ფრონტი კაპიტალისტების წინააღმდეგ, მენშევიკ-რეფორმისტები მთელი ძალღონით ეწინააღმდეგებიან ამ ფრონტის შექმნას და თავის მხრით მუშებს ერეკებიან ბურჟუაზიის ბანაკში.

ამნაირად, ამ ორ სფეროში (პოლიტიკურსა და პროფესიონალურში) სრული გათიშვაა მსოფლიო მასშტაბით, და არავითარ გაერთიანებას ადგილი არა აქვს.

კოოპერატიულ ფრონტზე საქმე თითქოს სხვანაირად არის. არსებობს საერთაშორისო კოოპერაციის გაერთიანება, ალიანსი, სადაც შედის კაპიტალისტური ქვეყნების და საბჭოთა კავშირის კოოპერატიული ორგანიზაციები და სადაც სხვადასხვა ორგანოებში ერთად სხედან და მუშაობენ კომუნისტები და მენშევიკ-რეფორმისტები. მაგრამ ეს მხოლოდ ზერელე, გარეგნული შეხედვით. არსებითად კი აქაც სწარმოებს იგივე შეურიგებელი ბრძოლა, რომელიც საერთოდ ყოფს კომუნიზმს, როგორც მუშათა კლასის წარმომადგენლობას, მენშევიზმიდან, რომელიც წარმოადგენს ბურჟუაზიულ ფრაქციას.

დღეს ალიანსის ორგანოები ხელში ჩაგდებული აქვთ ძველ კოოპერატორებს, პოლიტიკური მიმართულებით კონსერვატორ-ლიბერალ - რეფორმისტებს (მენშევიკებს), რომელნიც, მიუხედავად მათი პოლიტიკური ფიზიონომიის სხვადასხვაობისა, მუდამ მტკიცედ და ერთსულოვნად გამოდიან კომუნისტების წინააღმდეგ.

მაშ, რად შედის საბჭოთა კოოპერაცია ასეთ კავშირში, რა მიზანს ისახავს ის სამოქმედოთ? საქმე იმაშია, რომ მთელი ქვეყნის კოოპერატივთა დიდი უმრავლესობა თავისი საფუძვლით და შემადგენლობით მუშათა კოოპერაციას წარმოადგენს, მისი წევრები მომეტებულ შემთხვევაში თითქმის მარტო მუშები არიან. მართალია, მის დღევანდელ ხელმძღვანელთა წყალობით ის ყოველივე მუშურ ელფერს მოკლებულია, მაგრამ სწორედ ამიტომ ცდილობს საბჭოთა კოოპერაცია შეიტანოს მასში ახალი სული, ჩააყენოს იგი ახალ კალაპოტში, გააცხოველოს მისი მოქმედება, მისცეს მას ახალი პროგრამა, დააკავშიროს ის როგორც ადგილობრივ მუშათა ორგანიზაციებთან, ისე საერთაშორისო პროფესიონალურ ორგანიზაციებთან. ამიტომ ალიანსის შიგნით მუდამ სწარმოებს ბრძოლა: ერთი მხრით მენშევიკური დიდი უმრავლესობა და მეორე მხრით საბჭოთა კოოპერაცია, რომელსაც სხვა ქვეყნებიდან უერთდება რეფორმისტების სურვილის წინააღმდეგ არჩეული მცირე რიცხვი კომუნისტებისა — ასეთია ჯერჯერობით ის ძალთა განწყობილება, რომელშიაც სწარმოებს ალიანსის მოქმედება.

ალიანსი ყოველწლიურად ნიშნავს კოოპერაციის დღესასწაულს, რომელშიაც მთელი ქვეყნის კოოპერატიული ორგანიზაციები იღებენ მონაწილეობას. მიმდინარე წელს ეს დღესასწაული 7 ივლისს, ესე იგი დღეს მოდის. სხვადასხვანაირია კაპიტალისტურ და საბჭოთა კოოპერაციის მდგომარეობა და ამის მიხედვით სხვადასხვა ელფერი და შინაარსი აქვს ამ დღესასწაულს სხვადასხვა ქვეყნებში. მაშინ, როდესაც ბურჟუაზიულ ქვეყნებში კოოპერაციას უხდება არსებობისათვის ბრძოლა გაბატონებული კაპიტალიზმის გვერდით და იძულებულია დასჯერდეს იმ მიგდებულ კუნძულებს, რომელიც კაპიტალიზმისათვის სახარბიელო ღირსებას არ წარმოადგენს, საბჭოთა კავშირში ის მოწოდებულია თვით სახელმწიფოს მიერ შეიქნეს ერთ უმთავრეს ფაქტორად მთელი სოციალისტური სამეურნეო მშენებლობისა.

მიუხედავად ასეთი დიდი განსხვავებისა, საბჭოთა კოოპერაციას მის მუშაობაში თან ახლავს თავისი სიძნელეები. მან უნდა გააერთიანოს ქალაქის და სოფლის მშრომელი ხალხი და მიაწოდოს მათ ერთი-მეორეს ნაწარმოები; აქ აღებ-მიცემის სფეროში მან ფეხი უნდა ამოაკვეთინოს ძველ ვაჭარს, ჩარჩს, მევახშეს და საერთოდ კერძო კაპიტალის წარმომადგენელს; მან უნდა გააერთიანოს შინაური მრეწველები და გააუმჯობესოს მათი მდგომარეობა; მან უნდა შექმნას საბინაო კავშირები და ნაცვლად ძველი ჭუჭყიანი სარდაფებისა დააბინავოს მშრომელი ხალხი ახალ, სალ და ჰიგიენურად მოწყობილ ბინებში; ის უნდა შეებრძოლოს სოფლის მეურნეობის ჩამორჩენილობას და იქ მანქანების და ახალი ტეხნიკური იარაღების შეტანით გადაიყვანოს სოფლის მშრომელი ხალხი კოლექტიურ ნიადაგზე სამოქმედოთ. ყოველივე ამას წინ ეღობება ჩვენი ხელმოკლეობა და უსწავლობა.

მაგრამ დიდი ენერგიის დახარჯვით შეიძლება ამ დაბრკოლებათა გადალახვა. მართალია, თვითეულად ღარიბნი ვართ, მაგრამ შეერთებული გზით ჩვენი გროშები მილიონებად იქცევა. ჩვენს კოოპერატივებში საწევრო გამოსაღები არ არის ისე დიდი, რომ მისი გადახდა არ შეეძლოს თვით უღარიბეს მცხოვრებს. ღარიბებისათვის დაწესებულია განსაკუთრებული შეღავათები, მაგრამ ბოლო დრომდი საპაიო გასაღები მეტად დაბალ დონეზე იდგა, აპრილ-მაისში გატარებულმა საპაიო კამპანიამ ცხადყო, რის გაკეთება შეგვიძლია, თუ კი საქმეს სათანადოთ მოვკიდებთ ხელს. თვენახევრის განმავლობაში შეგროვილი იქნა მარტო საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციაში ნახევარი მილიონი მანეთი. ამ მხრით ჩვენ კიდევ ბევრი გვაქვს გასაკეთებელი და კოოპერაციის საერთაშორისო დღე უნდა შეიქნეს ერთ ხელშემწყობ ძალად, რომელიც ჩვენი საპაიო კამპანიის მიღწევებს კიდევ უფრო გააძლიერებს.

ჩვენს გონებრივ ჩამორჩენილობას ნამდვილი ბრძოლა უნდა გამოუცხადოთ. ამ მხრივ დიდ თანხებს ხარჯავს სახელმწიფო, მაგრამ საჭიროა კოოპერაციამაც მიიღოს აქ თავისი მხრით აქტიური მონაწილეობა. საჭიროა მან უფრო მეტის ენერგიით აწარმოოს კულტურულ - განმანათლებელი მუშაობა და სავსებით ამოსწუროს მთელი თავისი შესაძლებლობა.

საერთაშორისო კოოპერატიული არმია 45 მილიონი წევრისაგან შესდგება, აქედან თითქმის ნახევარი მოდის საბჭოთა კოოპერატივზე. ჩვენ უნდა დავამტკიცოთ, რომ მატერიალური და კულტურულ განმანათლებელი მხრით ჩვენ მეტ ღირებულებას წარმოვადგენთ, ვიდრე კაპიტალისტური ქვეყნების ძველი კოოპერაცია. ამას შევსძლებთ გაძლიერებული მუშაობით მთელ კოოპერატიულ ფრონტზე.

მ. ტოროშელიძე.

გენსაბჭო განაგრძობს მოლაპარაკებას მრეწველებთან

კუკის გამოსვლა „სამრეწველო მშვიდობიანობის“ პოლიტიკის წინააღმდეგ

ინდოეთის დელეგაციამ დასტოვა ინგლისის მუშათა საიმპერიო კონფერენცია

კამათი მიულერის დეკლარაციის გარშემო გერმანიის რეიხსტაგში

„მშვიდობიანობა მრეწველობაში“

გენსაბჭო განაგრძობს მოლაპარაკებას მრეწველებთან

კუკის გამოსვლა

ლონდონი, 5 ივლისი. 4 ივლისს ლონდონში შესდგა პლენარული სხდომა ეგრედწოდებულ „მონდის კონფერენციისა“, ესე იგი იმ ორგანოსი, რომელშიაც შედიან ტრედუნიონთა კონგრესის გენსაბჭო და ჯგუფი მრეწველებისა, რომლებმაც ალფრედ მონდის მეთაურობით ხელი მოაწერეს ცნობილ დეკლარაციას „მრეწველობაში მშვიდობიანობის“ შესახებ.

სხდომას თავმჯდომარეობდა გენსაბჭოს თავმჯდომარე **ბენ-ტერნერი**. სხდომაზე გაკეთებულ იქნა მოხსენება იმ მუხლების შესახებ, რომლებშიაც მიღწეულია შეთანხმება მოლაპარაკების დროს. ამ მუხლებს შორის არის სამრეწველო ნაციონალური საბჭოს დაარსების პროექტი. ეს საბჭო უნდა გადაიქცეს „შემარიგებელ“ ინსტანციად მრეწველობაში კონფლიქტების თავიდან აცილების მიზნით. ეს მოხსენება მიღებულ იქნა ერთი ხმის წინააღმდეგ. რამოდენიმემ თავი შეიკავა. მოხსენების წინააღმდეგ ხმა მისცა სამთამადნო მუშათა წარმომადგენელმა კუკმა.

თავის სიტყვაში კუკმა, სხვათა შორის, აღნიშნა, რომ **მაღაროებში სამუშაო ხელფასი შესამჩნევად შემცირდა, რაც კაპიტალისტური რაციონალიზაციის შედეგათ უნდა ჩაითვალოს.** კუკის სიტყვით, მოხსენების ყველა წინადადება გაჟღენთილია იდეით, თითქოს მუშათა კლასის ინტერესებს ყველაზე უფრო კარგათ დააკმაყოფილებს „მშვიდობიანობა მრეწველობაში“ კაპიტალისტური სოციალიზაციის საფუძველზე. ამის წინააღმდეგ კუკმა წამოაყენა იდეალი მრეწველობის „საზოგადოებრივი ორგანიზაციისა“, რომელიც სოციალურ მიზნებს უნდა ემსახურებოდეს. **კუკმა აღნიშნა, რომ მრეწველობის ნაციონალური საბჭო, რომლის დაარსებას ცდილობს მონდის კონფერენცია, იქნება კაპიტალისტების განუსაზღვრელი ბატონობის საფარი მრეწველობაში. შემდეგ კუკმა აღნიშნა, რომ სამრეწველო მშვიდობიანობის შესახებ თეზისის მიღება უდრის მწარმოებელთა პოლიტიკისათვის მხარის დაჭერას და სოციალიზმზე ხელის აღებასო“** (ადს).

კამათი მიულერის დეკლარაციის გარშემო

გერმანიის აღმოსავლეთის პოლიტიკა

ბერლინი, 5 ივლისი. ვოლფის სააგენტო იუწყება: რეიხსკანცლერს მიულერს ნაციონალისტების ლიდერმა **ვესტარპმა** უსაყვედურა, რომ ახალმა მთავრობამ თავის დეკლარაციაში ხმა არ ამოიღო გერმანიის აღმოსავლეთის პოლიტიკის შესახებ. რეიხსკანცლერმა უპასუხა, რომ აღმოსავლეთის პოლიტიკა ეკუთვნის უკანასკნელი წლების იმ საგარეო პოლიტიკის საფუძვლებს, რომელსაც ახალი მთავრობა მისდევს.

„ტანვარჯიშობა მიულერის სისტემით“

ბერლინი, 5 ივლისი. მიულერის მთავრობის დეკლარაცია არა ერთხელ შეაწყვეტინეს კომუნისტმა დეპუტატებმა.

როდესაც მიულერი ლაპარაკობდა საგარეო პოლიტიკის შესახებ, ერთმა კომუნისტმა დეპუტატმა შენიშნა: „ეს ხომ შტრეზემანის ძველი კურსია!“. როდესაც მიულერმა ახსენა უბედურ შემთხვევათა დაზღვევის გაფართოვება, კომუნისტმა დეპუტატმა **ტოგლერმა** წამოიძახა: „ეს არ ეხება მთავრობას, თუ მან უბედური შემთხვევა განიცადა“.

როდესაც მიულერი ლაპარაკობდა ეროვნული დღესასწაულის შესახებ (ვეიმარის კონსტიტუციის წლის თავი), ერთ-ერთმა კომუნისტმა დეპუტატმა ჰკითხა—ხელფასს მისცემენ თუ არა მუშებს ამ უქმე დღისო.

როდესაც მიულერი ლაპარაკობდა ახალგაზრდობის ფიზიკური აღზრდის საჭიროების შესახებ, ერთ-ერთმა კომუნისტმა შენიშნა: **„ტანვარჯიშობა მიულერის სისტემით“.**

რამდენიმე ასეთი შენიშვნის შემდეგ რეიხსტაგის თავმჯდომარემ კომუნისტ დეპუტატს **ტოგლერს** წესიერებისაკენ მოუწოდა. (ადს).

ჰილფერდინგის გამოსვლა

ბერლინი, 5 ივლისი. მთავრობის დეკლარაციის გამო რეიხსტაგში გამართული კამათის დროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის სახელით გამოვიდა **ჰილფერდინგი**.

ჰილფერდინგმა უპასუხა ნაციონალისტებს, რომლებიც ჰილფერდინგის, როგორც ფინანსთა მინისტრის როლს, ინფლიაციის პერიოდში კარგის თვალით არ უყურებდნენ, და განაცხადა: „სოციალ-დემოკრატებმა, როცა ისინი კუნოს კაბინეტის დაცემის შემდეგ მთავრობაში შევიდნენ, „ქვეყანა იხსნეს“, „რადგან „მუშათა მასები უკვე ამოძრავდნენ“ (ლაპარაკია 1923 წლის შემოდგომის შესახებ). **ჰილფერდინგის ამ განცხადებამ კომუნისტ-დეპუტატების სკამებზე ძლიერი აღშფოთება გამოიწვია. რეიხსტაგის თავმჯდომარემ არა ერთხელ მოუწოდა წესიერებისაკენ ბევრ კომუნისტ-დეპუტატს. სოციალ-დემოკრატებს აშკარა შეშფოთება დაეტყოთ.**

შემდეგ გამოვიდა კომუნისტი დეპუტატი **შტეკერი**, რომელმაც აღნიშნა სოციალ-დემოკრატების ორაზროვანი საქციელი განიარაღებისა და ჯავშნოსანის აგების საკითხში.

მთავრობის დეკლარაციის მოწონების შემდეგ რეიხსტაგმა უარჰყო კომფრაქციის მოთხოვნილება, იმის შესახებ, რომ რეიხსტაგის პლენარული სხდომა დაუყოვნებლივ შესდგომოდა ფრაქციის იმ რეზოლიუციის განხილვას, რომელიც ნახშირისა და რკინის ფასების აწევის წინააღმდეგ არის მიმართული და მოითხოვს, რომ ჯავშნოსანის ასაგებად გადადებული თანხები მოხმარდეს უსასყიდლო კვებას სკოლებში. ამ რეზოლიუციის გამო კენჭის ყრის შედეგმა კომუნისტი დეპუტატების მხრით ძლიერი ძახილი გამოიწვია: „სირცხვილი!“

რეიხსტაგის შემდეგი სხდომა დანიშნულია სამშაბათისათვის, როდესაც განხილული იქნება ამნისტიის საკითხი. (ადს).

შეიდემანი—რეიხსტაგის საგარეო კომისიის თავმჯდომარე

ბერლინი, 5 ივლისი. რეიხსტაგის საგარეო საქმეთა კომისიამ თავის თავმჯდომარედ ამოირჩია სოციალ-დემოკრატი დეპუტატი შეიდემანი. (ადს).

რეიხსტაგის ფრაქციების რეზოლიუციები

ბერლინი, 5 ივლისი. 5 ივლისს რეიხსტაგში კვლავ სწარმოებდა კამათი მთავრობის დეკლარაციის შესახებ.

კომფრაქციისა და ნაციონალისტთა ფრაქციის წარმომადგენლებმა უნდობლობის რეზოლიუცია შეიტანეს. ნაციონალ-სოციალისტებმა (ფაშისტური ჯგუფი) შეიტანეს ნდობის ვოტუმი აშკარა პროვოკაციული მიზნით, რათა გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩაეყენებინათ მთავრობის პარტიები, უმთავრესად, ცენტრის პარტია და სახალხო პარტია, რომლებიც სრულიადაც არ აპირებენ, რომ ხმა მისცენ მთავრობისათვის ნდობის გამოცხადებას. როგორც ამბობენ, მთავრობის პარტიები შეთანხმდნენ, რომ არ შეიტანონ ნდობის ფორმალური ვოტუმი და მხარი დაუჭირონ სოციალ-დემოკრატების წინადადებას, რომელიც ამბობს, რომ რეიხსტაგი იწონებს მთავრობის დეკლარაციას და გადადის მორიგ საქმეებზე. (ადს).

მემარცხენეთა გამარჯვება გერმანიის მელითონეთა კავშირში

ბერლინი, 5 ივლისი. გერმანიის მელითონეთა პროფესიონალური კავშირის ყრილობაზე დელეგატების არჩევნების დროს **პროფკავშირთა მემარცხენე უმცირესობამ გაიმარჯვა ბერლინში, ჰალეში, შტუტგარტში, ზოლინგენში, რემშეიდში, გოტში, ზულში და განაუში. აქამდის არჩეულია მემარცხენე უმცირესობის 37 დელეგატი.** (ადს)

ინგლისის მუშათა საიმპერიო კონფერენცია

ინდოეთის დელეგატებმა დასტოვეს კონფერენცია

ლონდონი, 5 ივლისი. მუშათა საიმპერიო კონფერენციის სესიაზე ინდოეთის დელეგატებმა შეიტანეს რეზოლიუცია, რომელიც გმობს მუშათა პარტიის დეპუტატების მონაწილეობას ინდოეთის საპარლამენტო რეფორმების გადამსინჯველ კომისიაში (საიმონის კომისია). **სესიამ გადასწყვიტა, არ განიხილოს რეზოლიუცია იმ საბაბით, რომ ინდოეთის დელეგატები არ სარგებლობენ ხმის უფლებით კონფერენციაზე. ინდოეთის დელეგაციამ პროტესტის ნიშნად დასტოვა კონფერენცია** (ადს).

პოლონეთის პრესა პილსუდსკის განცხადების შესახებ

ვარშავა, 5 ივლისი. პილსუდსკის გამოსვლას პირველი გამოეხმაურა სამხედრო სამინისტროს ორგანო **„პოლსკა სბროინა.“** 2 ივლისის ნომერში გაზეთმა სეიმს უწოდა **„პილსუდსკის და ხალხს შორის ჩახირული ეკალი“**, ხოლო **კონსტიტუციას — აბსურდი**, განაცხადა რა ამავე დროს, რომ **პილსუდსკის შეუძლია იქონიოს არმიის იმედი.**

ებრაელთა ბურჟუაზიული გაზეთი „ნაშ-პშეგლონდ“ ფიქრობს, რომ პოლონეთმა უნდა ისწავლოს პარლამენტარიზმი, მაგრამ აღნიშნავს, რომ პილსუდსკის პედაგოგიური უნარი არა აქვსო.

პოლონეთის სოციალისტური პარტიის ორგანო „რაბოტნიკ“-ი იმ წერილში, რომელსაც კონფისკაცია უყვეს, აცხადებს, რომ ახალი გადატრიალების შემთხვევაში პოლონეთს კატასტროფა მოელისო.

„ილიუსტროვვან კურიერ პოდზენი“ სწერს: **„პილსუდსკიმ დაჰკარგა სეიმის ნდობა. თუ სეიმი არ გააჯანსაღებს კონსტიტუციას, პილსუდსკი გარეკავს საკანონმდებლო დაწესებულებებს და პოლონეთს თავზე მოახვევს ახალ კონსტიტუციას.** ბარტელის მთავრობა უნდა შეეცადოს გადაათვალიეროს კონსტიტუცია სეიმის საშუალებით. თუ ეს ცდა უნაყოფო აღმოჩნდა, პილსუდსკი კვლავ გამოვა სცენაზე“.

„კურიერ ვარშავსკი“ აღნიშნავს, რომ პილსუდსკი მხოლოდ აკრიტიკებს და არ იძლევა არავითარ წინადადებებს სახელმწიფოს გაჯანსაღების შესახებ.

სასტიკად აკრიტიკებს პილსუდსკის ნაციონალურ-დემოკრატების ორგანო „კურიერ პოზნანსკი“. გაზეთი სწერს: **„პილსუდსკი სახელს უტეხს პოლონეთს საზღვარგარეთ.** ჩვენ ეჭვი არ გვეპარება, რომ საზღვარგარეთ უკმაყოფილონი იქნებიან პილსუდსკის გამოსვლით, განსაკუთრებით იმიტომ, რომ პილსუდსკიმ შეინარჩუნა ზეგავლენა საგარეო პოლიტიკაზე. თუ პილსუდსკის მართლაც ჰქონდა ისეთი ავტორიტეტი, როგორც თითონ ფიქრობს, მას კონსტიტუციის გადათვალიერება ლეგალური გზით უნდა გაეტარებია; ეხლა კი ის ამჯობინებს ლაპარაკს გადატრიალების შესახებ.

ოპოზიციონური გაზეთები აღნიშნავენ, რომ ამ ცოტა ხნის წინად ერთ-ერთი მონარქისტული გაზეთის რედაქტორს მიუსაჯეს სამი თვის ციხე იმისთვის, რომ მან სეიმს „პროსტიტუტკა“ უწოდა. ეხლა მსჯავრ-დადებული, გაზეთების სიტყვით, მოითხოვს თავის საქმის გადათვალიერებას. ამ შემთხვევაში ის პილსუდსკის განცხადებას ეყრდნობა (ადს).

პილსუდსკი შვებულებაში

ვარშავა, 5 ივლისი. საბოლოოდ გამოირკვა, რომ პილსუდსკი თავის შვებულებას გაატარებს რუმინეთის კუროტზე ტირგოვისტში, რომელიც ბუქარესტიდან 70 კილომეტრზე მდებარეობს (ადს).

ვენა, 5 ივლისი. ვენის პრესის ცნობით პილსუდსკი ჩამოვა ვენაში, საიდანაც წავა ბუქარესტში, რომლის მახლობლად გაატარებს თავის ხანგრძლივ შვებულებას. (ადს)

სტანოევიჩის მისია

ვენა, 5 ივლისი. ბელგრადიდან მიღებული ცნობით, სამხრეთ- სლავიის მეფემ რადიკალური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეს სტანოევიჩს მიანდო ნაციონალური კონცენტრაციის (ე. ი. ყველა ბურჟუაზიული პარტიების მონაწილეობით) მთავრობის შედგენა.

სამხრეთ-სლავიის პოლიტიკურ წრეებში საეჭვოთ მიაჩნიათ, რომ სტანოევიჩმა წარმატებით შეასრულოს დაკისრებული მისია, ვინაიდან გლეხურ- დემოკრატიული კოალიცია, რომელსაც **რადიჩი და პრებიჩევიჩი ხელმძღვანელობენ, ძირითად პირობად მთავრობაში მონაწილეობისათვის აყენებს სკუპშჩინის დათხოვნას და კატეგორიულ დაპირებას, რომ სამხრეთ-სლავიის კონსტიტუცია შეცვლილი იქნება.** (ადს)

მოსკოვი

(ტელეგრაფით საკუთარი კორესპონდენტისაგან)

მთავრობის ნდობის საკითხი გერმანიის რეიხსტაგში

კომუნისტები გამორიცხეს სხდომიდან

მოსკოვი, 6 ივლისი. გაზეთ „იზვესტია“-ს ბერლინელი კორესპონდენტი **კაიტი** იტყობინება:

კამათის დასრულების შემდეგ, შეტანილ იქნა წინადადება მთავრობის დეკლარაციის მოწონების და მორიგ საქმეებზე გადასვლის შესახებ.

ასეთ წინადადების წინააღმდეგ კომუნისტური პარტიის ფრაქციის გარდა ხმა მისცა სხვათა შორის, ქრისტიან-ნაციონალისტების პარტიამ და განოვერის ჯგუფმა. ხმის მიცემისაგან სრულიად შეიკავა თავი სამეურნეო-გლეხურ პარტიამ.

კენჭის ყრა საერთოდ მშვიდათ და უეჭველოდ ჩატარდა. სამაგიეროთ იგივე არ ითქმის მიულერის საპასუხო სიტყვისა და ჰილფერდინგის გამოსვლის შესახებ. მიულერსა და ჰილფერდინგს ხშირად აწყვეტინებდენ სიტყვას გესლიანი და მოხდენილი რეპლიკებით კომუნისტი დეპუტატები.

აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებთან დამოკიდებულების შესახებ, რაზედაც დეკლარაციაში არაფერი იყო ნათქვამი, მიულერმა საპასუხო სიტყვაში განაცხადა: აღმოსავლეთის ლოკარნოს საკითხში მთავრობა იზიარებს შტრეზემანის წინანდელ პოზიციასო.

პოლონეთთან დამოკიდებულების შესახებ, მიულერმა სთქვა, რომ შემდეგ კვირაში დაიწყება თათბირი პოლონეთ-გერმანიის მოლაპარაკების გაგრძელების შესახებო.

განსაკუთრებით დიდი მღელვარება ატყდა რეიხსტაგში, როცა ჰილფერდინგმა თავის ფინანსიური მოღვაწეობის მიმოხილვის დროს განაცხადა, რომ მან იხსნა სახელმწიფო მაშინ, როდესაც მუშები იდგა ხელისუფლების კარებთან.

კომუნისტ დეპუტატებმა მოითხოვეს, რომ თავმჯდომარეს ჰილფერდინგი წესრიგისაკენ მოეწოდებია. ამის გარშემო ატეხილ შეხლა-შემოხლის გამო კომუნისტი დეპუტატები გამორიცხეს სხდომიდან.

რეიხსტაგის შემდეგი სხდომა შესდგება ათ ივლისს, მომავალი კვირის სამშაბათს.

პრაქტიკული ღონისძიებები ლოთობის წინააღმდეგ

მოსკოვი, 6 ივლისი. ლოთობის წინააღმდეგ მებრძოლ საზოგადოებამ საკავშირო სახალხო კომისართა საბჭოში შეიტანა თავისი პროექტი ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ. სახკომსაბჭოს მიერ ამ საკითხის მოსაგვარებლად გამოყოფილია სპეციალური კომისია. აღნიშნულ კომისიამ განიხილა ლოთობის წინააღმდეგ მებრძოლ საზოგადოების პროექტი და ზოგიერთი პუნქტები ამ პროექტიდან დაამტკიცა.

პროექტის თანახმად სპირტის სასმელების დამამზადებელი წარმოება თანდათან უნდა შეიკვეცოს. მომავალ წლიდან მაგარი სასმელების წარმოებათა პროდუქცია უნდა შემცირდეს 42 მილიონი ვედროს რაოდენობით. მიმდინარე წლის ოქტომბრიდან 2 კაპეიკით უნდა მომატებულ იქნეს აქციზი მაგარ სასმელზე. სასტიკად უნდა აიკრძალოს ფასების დაკლება დამათრობ სასმელებზე. აღარ უნდა იქნეს დაშვებული მაგარი სასმელების გავრცელება რეკლამებისა და პრეისკურანტების საშუალებით. 15 წლის შემდეგ კი სრულიად უნდა აღიკვეთოს სპირტიან სასმელით ვაჭრობა.

მართალია სახკომსაბჭოს სპეციალურ კომისიამ მიიღო პროექტის ზოგიერთი პუნქტები, მაგრამ იმისათვის, რომ ლოთობის წინააღმდეგ მიღებული ღონისძიებები უფრო მიზანშეწონილი და პოპულიარული იყვეს, გადაწყვეტილია, პროექტი დაეგზავნოს ადგილობრივ მუშათა ორგანიზაციებს, რათა ფართე მშრომელ მასებმა გამოსთქვან თავიანთი აზრი მის შესახებ.

დარჩება თუ არა გრძელვადიანი სესხის ბანკი თბილისში

მოსკოვი, 6 ივლისი. საკავშირო მუშათა და გლეხთა ინსპექციამ ზედმეტად სცნო გრძელვადიან სესხის ბანკის არსებობა თბილისში. საკავშირო სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო მუშგლეხინის წინადადებას არ ეთანხმება. ამ უკანასკნელმა წინადადება შეიტანა სახკომსაბჭოში იმის შესახებ, რომ თბილისში დარჩეს გრძელვადიან კრედიტის ბანკი.

45 ათასი ტონა სასუქი მებამბეობას

მოსკოვი, 6 ივლისი. მებამბეობის მთავარ კომიტეტმა შუამდგომლობა აღძრა საკავშირო სახალხო მეურნეობის საბჭოს წინაშე იმის შესახებ, რომ გაძლიერებულ იქნას სასუქის მიწოდება მებამბეობის რაიონებისათვის. სულ მიმდინარე წლის განმავლობაში მებამბეებმა უნდა მიიღონ 45 ათასი ტონა მიწის სასუქი.

უცხოეთის გუნდები საკავშირო სპარტაკიადაზე

მოსკოვი, 6 ივლისი. სრულიად საკავშირო სპარტაკიადაში მონაწილეობას მიიღებს 19 უცხო სახელმწიფოს სხვადასხვა სასპორტო ორგანიზაცია. უცხოელ ფიზკულტურელებს შორის, რომელნიც მოსკოვში მოემგზავრებიან, სჭარბობენ მუშათა გუნდები.

იმის დასახასიათებლად, თუ რამდენად დიდია უცხოეთის მონაწილეობა სპარტაკიადაში, საკმარისია აღნიშნოს, რომ მანჯურიაც კი გზავნის სასპორტო გუნდებს მოსკოვში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განაჩენი შახტის საქმეზე

მოსკოვი, 6 ივლისი. 5 ივლისს, შუაღამეების 1 საათსა და 20 წუთზე, საბჭოთა კავშირის უზენაეს სასამართლოს სპეციალურმა საკრებულომ გამოიტანა შემდეგი განაჩენი შახტის საქმის გამო:

პოტიომკინი, შტელბრინგი, ოტო და [illegible]ერი გამართლებულად ჩაითვალონ;

თეჩარეკს მისაჯოს 1 წლით თავისუფლების აღკვეთა სასტიკი იზოლიაციით, უფლებების აუყრელად. განაჩენი პირობითად ჩაითვალოს —3 წლის ვადით.

ბადშტიბერს—1 წლით თავისუფლების აღკვეთა სასტიკი იზოლიაციით, [illegible] და უფლებების აუყრელად. განაჩენი პირობითად ჩაითვალოს— 1 წლის ვადით.

ნიკიშინს—2 წლით თავისუფლების აღკვეთა სასტიკი იზოლიაციით, უფლებების აუყრელად. განაჩენი პირობითად ჩაითვალოს—3 წლის ვადით.

გორლოვს 2 წლით თავისუფლების აღკვეთა სასტიკი იზოლიაციით, უფლებების აუყრელად. განაჩენი პირობითად ჩაითვალოს — 3 წლის ვადით.

ფაერმანს—1 წლით თავისუფლების აღკვეთა სასტიკი იზოლიაციით უფლებების აუყრელად.

იმენიტოვს 1 ნახ. წლით თავისუფლების აღკვეთა სასტიკი იზოლიაციით, უფლებების აუყრელად.

კუზმას და ბელენკოს—3 წლით თავისუფლების აღკვეთა სასტიკი იზოლიაციით, უფლებების აუყრელად და ქონების ერთი მეხუთედის კონფისკაცია.

კალინინს — 3 წლით თავისუფლების აღკვეთა სასტიკი იზოლიაციით, უფლებების აუყრელად.

ელიაძეს—3 წლით თავისუფლების აღკვეთა სასტიკი იზოლიაციით, უფლებების აუყრელად.

ევმენჩენკოს, ლიურის, რეეპეცკის და ვლადიმირსკის — 3 წლით თავისუფლების აღკვეთა სასტიკი იზოლიაციით, უფლებების აუყრელად და ქონების ერთი მეხუთედის კონფისკაცია.

[illegible]ოდროვს და ივან ნეკრასოვს 4 წლით თავისუფლების აღკვეთა სასტიკი იზოლიაციით, უფლებების აუყრელად, და ქონების ერთი მეხუთედის კონფისკაცია.

ბაბენკოს, ჩერნოკნიჟნიკოვს, პეტროვს, ვასილიევს, კუვალდინს, სტოვანოვსკის, სოკოლოვს, ვალიკოვსკის და სამოილოვს—5 წლით თავისუფლების აღკვეთა სასტიკი იზოლიაციით, უფლებების აუყრელად, და ქონების ერთი მესამედის კონფისკაცია.

ემელიან კოლოდუბს— 5 წლით თავისუფლების აღკვეთა სასტიკი იზოლიაციით, უფლებების აყრა 3 წლით და ქონების ერთი მესამედის კონფისკაცია.

მეშკოვს, ჩინოკალს, ანტონოვს და ნაშივოჩნიკოვს — 6 წლით თავისუფლების აღკვეთა სასტიკი იზოლიაციით, უფლებების აყრა 3 წლის ვადით და ქონების ერთი მესამედის კონფისკაცია.

რაბინოვიჩს — 6 წლით თავისუფლების აღკვეთა სასტიკი იზოლიაციით, უფლებების აყრა 3 წლით და ქონების ერთი მესამედის კონფისკაცია.

ანდრია კოლოდუბს, ალექსანდრე ნეკრასოვს, კალგანოვს და ბაშკინს — 8 წლით თავისუფლების აღკვეთა სასტიკი იზოლიაციით, უფლებების აყრა 5 წლით და ნახევარი ქონების კონფისკაცია.

სკორუტოს — 10 წლით თავისუფლების აღკვეთა სასტიკი იზოლიაციით, უფლებების აყრა 5 წლით და მთელი ქონების კონფისკაცია.

დეტერსა და სუშჩევსკის 10 წლით თავისუფლების აღკვეთა, უფლებების აყრა 5 წლით და მთელი ქონების კონფისკაცია.

გორლეცკის, ბერეზოვსკის, შადლუნს, კაზარინოვს, ბოიარშინოვს, მატოვს, ბრატანოვსკის, ბოიარინოვს, კრუჟილინოვსკის, იუსევიჩს და ბუდნის — სოციალური დაცვის უმაღლესი ზომა—დახვრეტა მთელი ქონების კონფისკაციით.

ამასთანავე საბჭოთა კავშირის უზენაეს სასამართლოს სპეციალური საკრებულო საჭიროდ სთვლის წარუდგინოს საბჭოთა კავშირის ცაკის პრეზიდიუმს შემდეგი მოსაზრება:

იმ მსჯავრდადებულთა უმრავლესობამ, რომელთაც ამ საქმის გამო სოციალური დაცვის უმაღლესი ზომა—დახვრეტა მიესაჯათ, ჯერ კიდევ წინასწარი გამოძიების დროს არამც თუ აღიარა თავისი დანაშაული პროლეტარული სახელმწიფოს წინაშე, არამედ ცდილობდა გადაეშალა მისთვის თავისი მძიმე დანაშაულის ყოველი გარემოება.

საბჭოთა კავშირის უზენაეს სასამართლოს სპეციალური საკრებულო ითვალისწინებს ამ გარემოებას, აგრეთვე იმას, რომ მსჯავრდადებულთა დიდი უმრავლესობა წარმოადგენს კვალიფიციურ ტეხნიკურ ძალას, რომელიც შეიძლება სათანადო პირობებში გამოყენებულ იქნას პრაქტიკულ მუშაობაში, და შუამდგომლობს, რომ ბერეზოვსკის, კაზარინოვს, მატოვს, ბრატანოვსკის, შადლუნს და ბოიარშინოვს დახვრეტა შეეცვალოთ სოციალური დაცვის სხვა ზომით.

ყველას, ვისაც მისჯილი აქვს თავისუფლების აღკვეთა განსაზღვრული ვადით, ჩაეთვალოს წინასწარი პატიმრობის დრო.

განაჩენი საბოლოოა, მისი განაჩივრება არ შეიძლება.

ჩინეთში

მანჯურიის საკითხის „მშვიდობიანათ გადაჭრა"

პეკინი, 5 ივლისი. იაპონიის სააგენტოს ნიპონ-დემპოს წარმომადგენელთან საუბარში პეკინის პოლიტიკური საბჭოს თავმჯდომარემ ლი-ცზუნ-ჟენმა განაცხადა, რომ მან ჩჟან-სუე-ლიანისაგან მიიღო წერილი, რომელშიაც ჩჟან-სუე-ლიანი თანახმაა დაემორჩილოს ნანკინის მთავრობის ბრძანებებს და დაიცვას გომინდანის პრინციპები. ლი-ცზუნ-ჟენმა განაცხადა, რომ მას შესაძლოდ მიაჩნია მანჯურიის საკითხის „მშვიდობიანად მოგვარება" (ადს).

ჩრდილოეთის ექსპედიციის დამთავრების დღესასწაული

პეკინი, 5 ივლისი. 7 ივლისისთვის დანიშნულია გრანდიოზული სახალხო დღესასწაული „ჩრდილოეთის ექსპედიციის წარმატებით დამთავრების" გამო.

„წითელი დღე" პრაღაში

„წითელი დღის" აკრძალვა

პრაღა, 5 ივლისი. ჩეხო-სლოვაკიის დეპეშათა სააგენტო იუწყება, რომ პოლიციის მიერ „წითელი დღის" აკრძალვა საბოლოოდ შევიდა ძალაში, ვინაიდან შინაგან საქმეთა სამინისტრომ უარჰყო კომუნისტური დეპუტატების აპელაცია.

დამოუკიდებლობის დღესასწაული

ჩრ.-ამერიკის შეერთებულ შტატებში

ნიუ-იორკი, 5 ივლისი. ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებული შტატების დამოუკიდებლობის დღესასწაულის დროს 4 ივლისს ადგილი ჰქონდა მრავალ უბედურ შემთხვევებს, დაიღუპა 205 კაცი, აქედან 11 კაცი მოკვდა მზის ხაღებისაგან 106 კაცი—სიცხისაგან, 3 მეხმა მოკლა, 4 დაიღუპა აეროპლანების ავარიის დროს და 15—სხვა მიზეზების გამო (ადს).

პოლონეთ-ლიტვის მოლაპარაკება

პესიმისტური განწყობილება ვარშავაში

ვარშავა, 5 ივლისი. პოლონეთის პრესა პესიმისტურად უყურებს პოლონეთ-ლიტვის მოლაპარაკების პერსპექტივებს (ადს).

ყუმბარის აფეთქება

ვარშავა, 5 ივლისი. კატოვიცის მახლობლად ბავშვებმა გახსნეს აუფეთქებელი ყუმბარა. ყუმბარის აფეთქების დროს ექვსი ბავში ნაფლეთებად იქცა, 11 მძიმედ დაშავდა. (ადს).

დინგჰოფერის გადადგომა

ვენა, 5 ივლისი. ავსტრიის დეპეშათა სააგენტო იუწყება, რომ პრეზიდენტი დასთანხმდა იუსტიციის მინისტრის დინგჰოფერის გადადგომაზე. დინგჰოფერი გადადგა პანგერმანელთა ფრაქციის მოთხოვნით მას შემდეგ, რაც იუსტიციის სამინისტრომ არ დაამტკიცა ვენის სასამართლოს დადგენილება კუნის გადაცემის შესახებ უნგრეთის მთავრობისათვის.

ვეჭილ სლამის კანდიდატურა

ვენა, 5 ივლისი. ეროვნული კრების მთავრობის კომისიამ იუსტიციის მინისტრის თანამდებობაზე დაასახელა ვეჭილ სლამის (პანგერმანული პარტია) კანდიდატურა დინგჰოფერის მაგიერ, რომელიც გადადგა ბელა კუნის საქმესთან დაკავშირებით (ადს).

სემიონოვის განცხადება

პარიზი, 5 ივლისი. ვოიცეხოვსკის თავდასხმასთან დაკავშირებით პოლონეთიდან გადასახლებული სემიონოვი— „რუსეთის კომიტეტის" თავმჯდომარე, პოლონეთში, თეთრგვარდიელთა გაზეთ „ვოზროჟდენიე"-ში აცხადებს, რომ კომიტეტების მოღვაწეობა პოლონეთში დროებით შეჩერებულია და რომ პოლონეთის სამინისტროს არა აქვს განზრახული კომიტეტის დახურვა. (ადს)

ინგლისი და საბჭოთა კავშირი

შეკითხვა საბჭოთა ასანთის შესახებ

ლონდონი, 5 ივლისი. რეიტერის სააგენტოს ცნობით, თემთა პალატის წევრმა— კონსერვატორმა ხოლმა ვაჭრობის მინისტრს მისცა შეკითხვა— აქცევს თუ არა ის ყურადღებას საბჭოთა ასანთის შემოტანას, რომელიც ხოლის სიტყვით, იმგვარადაა შეხვეული, რომ საზოგადოებას შეუძლია შევიდეს შეცდომაში მისი წარმოშობის შესახებ და მიღებულია თუ არა ზომები იმის წინააღმდეგ, რომ ინგლისის ასანთის გასაღება არ ჩაიშალოს.

მინისტრმა უპასუხა, რომ მის განკარგულებაში არსებულ ცნობების მიხედვით, საბაჟო სამმართველო მოითხოვს ამ ასანთის წარმოშობის უფრო გარკვევით აღნიშვნას. (ადს)

ნობილეს ექსპედიციის დასახმარებლად

„კრასინი" და „მალიგინი".

მოსკოვი, 6 ივლისი. 5 ივლისს საღამოთი „იტალიის" დამხმარე კომიტეტმა ცნობა მიიღო საბჭოთა ორივე ექსპედიციის მდგომარეობის შესახებ. „კრასინი" სდგას იმავე ადგილას, ყინულში. ყინულის მჭიდრო რაიონში დიდძალი ყინული გაჩნდა. ეს გარემოება მუშაობის საშუალებას არ აძლევს თვითმფრინავებს.

ყინულის მჭრელი „კრასინი", 6 ივლისი. „კრასინი" ისევ ყინულით არის გარშემორტყმული და ისე მიიმართება. თვითმფრინავი მზადაა გასაფრენად, მაგრამ უახლოეს ხანში გაფრენა შეუძლებელია, ვინაიდან ყინულის მდგომარეობა საშუალებას არ იძლევა მოზადდეს მოედანი სტარტისათვის, ხოლო ყინულზე ჩამოშვება მეტის-მეტად გაძნელებულია. (ადს)

ნობილეს მოხსენება

რომი, 5 ივლისი. სტეფანის სააგენტო იუწყება, რომ ნობილემ გამოგზავნა დაწვრილებითი მოხსენება დირიჟაბლ „იტალია"-ს დაღუპვის შესახებ. ამ მოხსენებაში ნობილე იმ დასკვნამდე მიდის, რომ როდესაც მისი გონდოლა ჩამოშორდა დირიჟაბლს, „იტალია" ინჟინერ ალექსანდრინის ჯგუფით ჰაერში დარჩა არა უმეტეს ნახევარი საათისა და მაშინდელი ქარის ძალის მიხედვით 20—30 კილომეტრის მანძილზე უფრო შორს ვერ წავიდოდა კატასტროფის ადგილიდან. მალე ჰორიზონტზე გამოჩნდა სქელი კვამლის სვეტი, რომელიც მაშინ ნობილემ იმით ახსნა, რომ დირიჟაბლს ჩამოვარდნისას ცეცხლი გაუჩნდა. ამ შემთხვევაში იმედი არ არის, რომ ინჟინერ ალექსანდრინის ჯგუფიდან ვინმე ცოცხალი დარჩა. შესაძლებელია ისიც, რომ ბენზინიანი და ზეთიანი რეზერვუარები ან ჩამოვარდა, ან ეკიპაჟმა გადმოაგდო დირიჟაბლის ჩამოვარდნის შესანელებლად, და ყინულზე დაცემის გამო რეზერვუარებს ცეცხლი გაუჩნდა. ამ შემთხვევაში შეიძლება ვიქონიოთ იმედი, რომ დირიჟაბლი ჩამოვარდნის დროს არ დამწვარა და მასზე მყოფი ჯგუფი გადარჩა. თუ კვამლის სვეტი დირიჟაბლისათვის ცეცხლის გაჩენის შედეგი იყო, დირიჟაბლის ჩონჩხი რომელიც სიმაღლე რამდენიმე მეტრს უდრის, ხოლო სიგრძე 106 მეტრს, მაინც უნდა იქნეს ნახული. (ადს).

დახმარება ვილიერის ჯგუფს

რომი, 5 ივლისი. სტეფანის სააგენტოს ცნობით, 5 ივლისს შვეციის ორმა აეროპლანმა ისევ გადაუგდო ვილიერის ჯგუფს სურსათი, მედიკამენტები და აკუმულიატორები. შვეციის მესამე აეროპლანი და ალპინისტები დაეძებდნენ აეროპლან „ლატამ"-ს და მარიანოს ჯგუფს, მაგრამ მათი კვალი ვერ აღმოაჩინეს. (ადს).

კოოპერაციის საერთაშორისო დღე

სამომხმარებლო კოოპერაცია

(მისი მიღწევები და უახლოესი ამოცანები)

სამომხმარებლო კოოპერაცია გაიზარდა შეუდარებლად, იგი გადაიქცა ერთ მთავარ იარაღად სახალხ. მეურნეობის სოციალისტურ ლიანდაგზე გადასაყვანად.

სამომხმარებლო კოოპერაციის აბსოლუტურ და შედარებითი ზრდის პროცესში რადიკალური გადაჯგუფება მოხდა განსაზღვრულ და კერძო სექტორის ბრუნვებს შორის: კოოპერაცია გადაიქცა საქონლის ძირითად გამტარებელ არხად.

საკავშირო შინავაჭრობის სახალხო კომისარიატის ცნობებით საშუამავლო ბრუნვა ოთხი უკანასკნელი წლის განმავლობაში იძლევა შემდეგ სურათს:

	1924/25	1925/26	1926/27	1927/28
მთელი ბრუნვა:				
I. განსაზღვრებული სექტორი	72,2	75,2	81,5	84,2
აქედან კოოპერაცია	26,7	30,3	35,6	38,4
II. კერძო სექტორი	27,8	24,8	18,5	15,8
საბითუმო ბრუნვა:				
I. განსაზღვრებული სექტორი	91,5	92,1	95,2	96,1
აქედან კოოპერაცია	20,3	23,9	28,3	31,4
II. კერძო სექტორი	8,5	7,9	4,8	3,9
საცალო ბრუნვა:				
I. განსაზღვრებული სექტორი	51,5	55,6	63,0	66,7
აქედან კოოპერაცია	33,5	37,6	45,4	48,5
II. კერძო სექტორი	48,5	44,4	37,0	33,5

მოყვანილი ციფრები თვალსაჩინოდ ღაღადებენ საშუამავლო ბრუნვაში სოციალისტურ და კაპიტალისტურ ელემენტების ისეთ გადაჯგუფებაზე, რომლისაც განსაზღვრებულ სექტორს უჭირავს უმთავრესი მწვერვალები ვაჭრობაში, ხოლო კოოპერაცია არის ერთი უდიდესი ერთეული განსაზღვრებულ სექტორში და ყველაზე მეტი საცალო ბაზარზე.

სახელმწიფო და კოოპერატიულმა ვაჭრობამ გაანადგურა კერძო კაპიტალი საბითუმო ალებ-მიცემაში, ხოლო საცალო ვაჭრობიდან უკანასკნელის განდევნა წარმოადგენს მნიშვნელოვან მორიგ ამოცანას ჩვენს მუშაობაში; ამ ამოცანის წარმატებით გადაჭრის მაჩვენებელია ცხრილში მოცემულ სამომხმარებლო კოოპერაციის მატებითი და კერძო ვაჭრობის კლებითი მწკრივები.

	1924/25	1927/28
სამომხმარებლო კოოპერაცია	33,5	48,5
კერძო ვაჭრობა	48,5	33,3

სავაჭრო წერტილები საკავშირო მასშტაბით გაფართოვდა 51,458-დან 71.148-მდე, ე. ი. თითქმის 40 პროცენტით, ხოლო საკუთარი თანხები გაიზარდა 280.000.000 მანეთიდან 593.000.000 მანეთამდე და შეადგენს შერთებულ ბალანსის 36 პროცენტს.

ყველაფერი ეს არ წარმოადგენს სავაჭრო პროცესის უბრალო ცვლილებებს, არამედ შედეგია ფართო მასების კოლექტიური შემოქმედებისა. კოოპერაციამ დარაზმა მოსახლეობის ფართო წრეები. წევრთა რიცხვი გაიზარდა 9.435.000-დან 16.000.000-მდე, მუშა-მოსამსახურეთა კოოპერატიულად შეკავშირება მოიმატა 49,4 პროცენტიდან 59,7 პროცენტამდე, ხოლო მეურნეობათა კოოპერატიულად შეკავშირების ხარისხი გაიზარდა 22,7 პროცენტიდან 38 პროცენტამდე. მოსახლეობა ფართო და აქტიურ მონაწილეობას იღებს კოოპერატიულ მშენებლობაში. რაოდენობითი მიღწევებს თან სდევს კოოპერატიულ მეურნეობის ხარისხობრივი უპირატესობა ახალ სოციალურ განაწილების სისტემაში.

საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაცია ვითარდება ჩქარი ტემპით, კოოპერატიულ მოძრაობის ყველა დამახასიათებელი მაჩვენებლები ამის უტყუარ სურათს იძლევიან.

საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის წევრთა რიცხვის ზრდა უკანასკნელ წლების განმავლობაში ვითარდებოდა შემდეგი სახით:

1 ოქტ. 1925	140.365
1 ოქტ. 1926	195.936
1 ოქტ. 1927	251.487
1 აპრ. 1928	292.813

ივნისის 1-სათვის წევრთა რიცხვი აღემატება 300.000-ს და შეადგენს მოსახლეობის მეურნეობათა და ოჯახების 58 პროცენტს, კოოპერატივების რაოდენობა უდრის 150-ს, 1.834 სავაჭრო წერტილით, ე. ი. 1925 წლიდან დღემდე დუქნების რიცხვი გაიზარდა 505 ერთეულით.

განსაკუთრებით აღსანიშნავია სამომხმარებლო კოოპერაციის საპაიო თანხების სწრაფი ზრდა და წევრთა მატერიალური მონაწილეობის გაძლიერება კოოპერატიულ მეურნეობებში:

სულ საპაიო თანხა შეადგენდა:

1 ოქტ. 1925	311.000 მან.
1 ოქტ. 1926	531.700 მან.
1 ოქტ. 1927	855.300 მან.
1 აპრ. 1928	1.451.100 მან.

ა.-წ. ივნისის 1-სათვის საპაიო კამპანიის შედეგად საპაიო თანხა გაიზარდა 1.800.000 მანეთამდე, რაც მეტად დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს.

საშუალოდ საპაიო გამოსაღები მოდიოდა თითო სულზე:

1 ოქტ. 1925 წ.	2—26
1 ოქტ. 1926 წ.	2—76
1 ოქტ. 1927 წ.	3—74
1 აპრ.	4—66

ა.-წ. 1-ლ ივნისისათვის თითო წევრზე დაახლოებით მოდის 6 მანეთი.

სამომხმარებლო კოოპერაციის მთელი საქონლის ბრუნვა საცალო ბაზარზე გამოიხატება მიმდინარე სამეურ. წ. 1-ლ ნახევარში 34.584.000 მანეთში 1926-27 მთელი წ. 54.098.000 მანეთის მაგიერ და 1924-25 წლის 28.898.000 მანეთის ნაცვლად. როგორც ვხედავთ, სავაჭრო ბრუნვები სამომხმარებლო კოოპერაციაში ვითარდებიან შეუდარებელი სწრაფი ტემპით.

კოოპერაციის ფინანსიური მდგომარეობა საკმაოდ ნორმალური და მტკიცეა; დიდი მიღწევებია აგრეთვე საშუამავლო ხარჯების შემცირების, აპარატის გამარტივებისა და კოოპერაციაში ჩაბმულ მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლების საქმეში.

წევრთა აქტივობა და თვითმოქმედება დღითი-დღე იზრდება; სწრაფად ვითარდება მათი კავშირი კოოპერატიულ მეურნეობასთან და მოსახლეობის ფართო ფენები იჩენენ დიდ აქტივობას კოოპერაციის მართვა გამგეობის და კონტროლის საქმეში; კულტურულ-განმანათლებელ და მასიურ კოოპერატიულ მუშაობას ეყრება მტკიცე საფუძველი; ყველაფერი ეს კი მომასწავებელია იმისა, რომ სამომხმარებლო კოოპერაციამ საბოლოოდ გაიმტკიცა თავისი ნიადაგი მოსახლეობაში.

მიუხედავად ასეთი მიღწევებისა კოოპერატიულ მოძრაობას ჩვენში კვლავ მეტად მძიმე და საპასუხისმგებლო ამოცანები აქვს გადასაწყვეტი, შემდეგი მუშაობა მოითხოვს მეტ სიღრმეს, საზოგადოებრივობის ელემენტების უფრო მეტად გაძლიერებას; წინამდებარე საქმიანობის შინაარსი მდგომარეობს მიღწეულ შედეგების განმტკიცებასა და მისი რაოდენობის თვისებად გადაქცევაში.

სამომხმარებლო კოოპერაციის უახლოესი ამოცანები მოცემულია მე-15 პარტკრილობის დადგენილებებში: კოოპერაციის გავლენის გაძლიერება ბაზარზე, კოოპერატიულ მეურნეობის გადაქცევა ნამდვილ საზოგადოებრივ და კულტურულ ორგანიზაციად, საკუთარ საშუალებათა მაქსიმალურად გაძლიერება და საპაიო თანხების დაგროვება, მუშაობის ხარისხის გაუმჯობესება, საშუამავლო ხარჯების შემდეგი შემცირება, რაციონალიზაციის ჩატარება და გეგმიანი მუშაობის განმტკიცება.

ყველა ამ საკითხების გადაწყვეტა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც კოოპერაცია გადაიქცევა ნამდვილ საზოგადოებრივ-მასიურ ორგანიზაციად. ამისათვის საკმაო ორგანიზაციული და მატერიალური შესაძლებლობანი მოეპოვება სამომხმარებლო კოოპერაციას. საჭიროა მხოლოდ გაძლიერებულ იქნეს კოოპერაციაში მოსახლეობის ნამდვილ შესაკავშირებლად მიმართული მუშაობა.

უპირველეს ყოვლისა უახლოეს ღონისძიებათა მიზნად უნდა დავისახოთ მუშა-მოსამსახურეთა და უღარიბეს გლეხობის სრული შეკავშირება და ქალების და ახალგაზრდობის ხვედრითი წონის და გავლენის გაძლიერება კოოპერაციის წევრთა მასაში.

რომ ეს მიზანი წარმატებით იქნეს მიღწეული, საჭირო ხდება მატერიალურ დაინტერესების მეთოდების მაქსიმალური გამოყენება, არა მარტო საქონლით წევრების სამსახურის გაწევაში უპირატესობის მინიჭება, ღარიბთა ფონდების გაძლიერება, ოჯახის მორეწევრეთათვის პაის გადახდაში შეღავათების დაწესება და კულტმუშაობის გაძლიერებისათვის და ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესებისათვის სპეციალურ გადარიცხვების წარმოება კოოპერაციის მოგებიდან.

სამომხმარებლო კოოპერაცია თავის მუშაობაში მეტ წილად უნდა დაეყრდნოს მოსახლეობის აქტივობას, თვითმოქმედებას და უახლოეს მონაწილეობას. ამ მიზნების მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ ადგილობრივი საბჭოთა, პროფესიონალურ და საზოგადოებრივი ორგანიზაციების უშუალო თანამშრომლობით და დახმარებით.

კულტურულ-განმანათლებელ დარგში მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს კოოპერაციის მუშაკთა ახალი კადრების შექმნას და ძველი თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლებას; გაძლიერებულ უნდა იქნეს კოოპერატიულ წრეების მუშაობა და მოსახლეობაში ფართოდ უნდა იქნეს შეტანილი კოოპერატიული ცოდნა და განათლება.

სამომხმარებლო კოოპერაცია უახლოეს ხანაში მაქსიმალურად უნდა დაეყრდნოს მოსახლეობის საშუალებებს პაიების, ანაბარების ავანსების და სესხის სახით, რაც უდიდეს როლს ითამაშებს კოოპერატიულ ამოცანების გადაწყვეტაში.

მორიგი ამოცანა, რომელსაც მთელი ჩვენი ყურადღება უნდა მიექცეს, მდგომარეობს რაციონალიზაციის გატარებასა და გეგმიანი მუშაობის განმტკიცებაში; რაციონალიზაცია უნდა შეეხოს ქსელის, აპარატის და შტატის სტრუქტურის ნორმალურ აგებას, სავაჭრო ტეხნიკის გაუმჯობესებას, მმართვა-გამგებლობის და კონტროლის მიზანშეწონილ ორგანიზაციას, მუშაობის და შრომის პროცესების გამარტივებას, საშუალებათა გონივრულ გამოყენებას და სხვა; ყველაფერი ეს მოითხოვს სისტემატიურ მუშაობას სამომხმარებლო კოოპერაციისაგან.

კოოპერაცია ამ ამოცანების გადაწყვეტის და კაპიტალისტურ ელემენტების ბრძოლის შედეგებში განმტკიცდება როგორც სოციალისტურ მშენებლობის იარაღი. ამ მუშაობის პროცესში ფართოდ გამოყენებულ უნდა იქნეს თვითკრიტიკა და მოსახლეობის კონტროლი. მასების ინიციატივა და თვით-მოქმედება ერთადერთი თავდებია ზემოაღნიშნულ დიდ საზოგადოებრივ ამოცანების გადაწყვეტისა.

ნ. ჭავჭანიძე.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია

(მიღწევები და ამოცანები)

თუ 1924 წ. 1 იანვარს მთელი საბჭოთა კავშირის სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია აერთიანებდა 1,200 ათას გლეხურ მეურნეობას, 1926 წ. ოქტ. ეს რიცხვი გაიზარდა 7,360 ათასამდე, რაც მთელი გლეხური მოსახლეობის 33,1 პროცენტს შეადგენს, შეკავშირების ასეთი ჩქარი ზრდა უნდა მიეწეროს, ერთის მხრივ, იმ გარემოებას, რომ ამ პერიოდის განმავლობაში განსაკუთრებული სისწრაფით ვითარდება სოფლის მეურნეობის ცალკე დარგების საქონლიანობა, და მეორეს მხრივ კი იმ საზოგადოებრივ როლს, რომელიც ეკისრება სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციას.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციას საბჭოთა სახელმწიფოში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. თუ რევოლუციამდე ის იმყოფებოდა სოფლის მოსახლეობის კულაკურ ნაწილის ხელში და ხელს უწყობდა შეძლებულთა მეურნეობის განვითარებას, სამაგიეროდ თანამედროვე საბჭოთა კოოპერაციამ თავიდანვე აიღო კურსი ღარიბ და საშუალო გლეხობის შეკავშირებისაკენ. დღეს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ხელმძღვანელი ღარიბი და საშუალო გლეხობაა და სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის მთელი საქმიანობა მიმართულია ამ უკანასკნელთა სამეურნეო მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისაკენ.

1926—27 წელში სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციამ, სასოფლო-სამეურნეო ბანკის და სახელმწიფო მრეწველობის საშუალებით გლეხობას მიეცა 670 მილიონი მანეთი, რომლიდანაც 10 მილიონი გადადებულ იქნა მხოლოდ ღარიბთა საკრედიტო ფონდში, იმ უპირატესობის საშუალებით, რომელსაც სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია აძლევს ღარიბ და საშუალო მოსახლეობას, მისი მთავარი დასაყრდენი ბაზა არის ეს ორი უკანასკნელი ფენა. წევრთა საერთო რიცხვში ამ ორ უკანასკნელ ფენის ხვედრითი წონა უდრის 90 პროცენტზე მეტს.

დახმარება, რომელსაც სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია აძლევს მათ, გამოიხატება როგორც მათ შეკავშირებისთვის სპეციალური ფონდების შექმნაში, ისე კრედიტების და სოფლის მეურნეობაში საჭირო მასალა-იარაღის მხოლოდ მათთვის მიწოდებაში.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია სოფლის მეურნეობის თითქმის ყველა დარგებში შეიჭრა. ამჟამად საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე მოქმედობს 67,000 პირველი საფეხურის ამხანაგობა სოფლის მეურნეობის 40 სხვადასხვა დარგებში, რომლებიც გაერთიანებულნი არიან 400 კავშირში და 18 რესპუბლიკანურ ცენტრში. ამავე დროს მნიშვნელოვანი მიღწევები აქვს მას აგრეთვე სამეურნეო საქმიანობაშიაც, 1925—26 წელში საქონლის ბრუნვა უდრიდა —2 მილიონ მანეთს.

დღეს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის მონაწილეობა სოფლის მეურნეობის ნაწარმოებთა დამზადება-გასაღების დარგში ნახევრიდან სამ-მეოთხედამდე აღწევს და ამით იგი ხელს უწყობს სოფლის მეურნეობის გარდაქმნას სოციალისტურ საფუძველზე.

ჩვენი კოოპერაციის მიზანი მარტო გასაღება მიწოდების მოგვარებით არ განისაზღვრება, როგორც ეს კაპიტალისტურ ქვეყნებში ხდება. მას გაცვლა-გამოცვლის კოოპერატიულ სფეროში მოქცევა იმდენად აინტერესებს, რამდენადაც ის უფიქრობს საფუძვლად საწარმოო პროცესების კოოპერატიულად გაერთიანებისათვის. ამჟამად საწარმოო პროცესების შეკავშირებას ჯერ ისეთი მასიური ხასიათი არ აქვს, როგორც კოოპერატიულ დამზადება-გასაღების დარგში, 7,690 ათას გაერთიანებულ გლეხურ მეურნეობიდან მხოლოდ 140 ათასი მეურნე შეკავშირებული კოლექტიურ მეურნეობებში, რაც კოოპერატიულად შეკავშირებულ მოსახლეობასთან შედარებით 1,8 პროცენტს შეადგენს.

კერძოდ საქართველოში სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის განვითარება 1924 წლიდან იწყება.

1927 წლის 1 ოქტომბერს საქართველოში (აფხაზეთის გამოკლებით) არსებობდა 192 ამხანაგობა 37,554 წევრით, ესე იგი მასში გაერთიანებული იყო საქართველოს სოფლის მოსახლეობის 25,63 პროც. ამავე დროს მიავე ამხანაგობებში გაერთიანებულა არის 263 სხვადასხვა სახის ორგანიზაცია (სამანქანო და სამელიორაციო ამხანაგობანი, კულტმეურნეობანი და სხვა) 40.579 წევრით. კოოპერატიული შეკავშირება განსაკუთრებული სწრაფი ტემპით ვითარდება იქ, სადაც მეურნეობის საქონლიანობის ხასიათი დიდია. ამ მხრივ პირველი ადგილი უჭირავს აღმოსავლეთ საქართველოში ტელავის მაზრას (49,69 პროც.) და დასავლეთ საქართველოში ოზურგეთის მაზრას (41,07 პროც.).

სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის განვითარება ჩვენში ორი მიმართულებით მიმდინარეობს; ერთის მხრივ უნივერსალური (სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობათა სახით) და მეორის მხრივ სპეციალური ორგანიზაციების სახით. უკანასკნელი სახის კოოპერატივები ვითარდებიან განსაკუთრებით სოფლის მეურნეობის იმ დარგებში, რომლებსაც თავის მოცულობით და სახალხო მეურნეობაში განსაკუთრებული მნიშვნელობის მიხედვით დიდი ხვედრითი წონა აქვთ. ასეთია, მაგალითად, მეცხვარეობა-მესაქონლეობა, მევენახეობა-მეღვინეობა, წველა-დღვების არტელები და სხვა.

საქართველოში არის 53 სხვადასხვა სპეციალური ამხანაგობა, რომლებიც აერთიანებენ 14.255 მეურნე გლეხებს, დანარჩენი კი (139) სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობაა —23.299 წევრით.

წევრთა სოციალური შემადგენლობის შესახებ სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციას, მართალია, ჯერ არ აქვს საბოლოო ცნობები, მაგრამ იმ მასალების მიხედვით, რომლებიც მას 49 სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობაზე მოეპოვება, შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია ამ მხრივ ცდილობს შეასრულოს პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების დავალება მოსახლეობის ღარიბ და საშუალო ფენებისათვის სამსახურის გაწევის შესახებ.

აღნიშნულ ამხანაგობებში ნათესების და მეურნის სხვა შესაძლებლობათა მიხედვით წევრთა სოციალური მდგომარეობა შემდეგ პროცენტებში გამოიხატება: ღარიბი 45 პროც., საშუალო 48 პროც., და შეძლებული 7 პროც. ამრიგად ღარიბი და საშუალო მოსახლეობა შეადგენს ერთად 93 პროცენტს. ჩვენი სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია ვერ დაკმაყოფილდება ღარიბთა ამ რაოდენობით და მისი მუშაობა განუწყვეტლივ უნდა იყოს მიმართული იქითკენ, რათა წევრთა საერთო მასაში ღარიბთა ხვედრითი წონა გადიდებულ იქნას. ამ მხრივ მას აქვს სხვადასხვა საშუალებები, როგორც სასოფლო-სამეურნეო კრედიტის სისტემის მიერ გადადებული ღარიბთა საკრედიტო ფონდი, ისე თვით ამხანაგობებში შექმნილი ღარიბთა კოოპერატიულად შეკავშირებისათვის სპეციალური ფონდი. ამჟამად ასეთი ფონდი მთელ ჩვენს სისტემაში შექმნილია 32.221 მან. 90 კ. ეს თანხა, ცხადია, დიდი ვერ არის, მაგრამ იმ მოგებასთან შედარებით, რომელიც სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციას ჰქონდა გასული წლის დასასრულს და რომლიდანაც აწარმოებდა აღნიშნულ ანარიცხებს, საგრძნობლად უნდა ჩაითვალოს.

ჩვენმა სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციამ სამეურნეო მუშაობა გასაღება-მიწოდებით დაიწყო. ამ დარგში ხდება მთავარი ძალად. მისი როლი აქ მუდმივად იზრდება. თუ 1925—26 წელში ძირითად ქსელის საქონლის ბრუნვა უდრიდა 8,324,1 ათას მანეთს, 1926—27 წელში იგი გაიზარდა 12,381,81 ათას მანეთამდე, ესე იგი ზრდა გამოიხატა 48,1 პროცენტში, მიწოდება-მომარაგების ოპერაციებში პირველი ადგილი უჭირავს გაუმჯობესებულ იარაღ მანქანებს,—767,670 მან. ანუ 26,7 პროც. შემდეგ სათესლე მასალებს—434,501 მან., ანუ 15,2 პროც. და სხვ.

აღნიშნულ მიღწევებით ჩვენი სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია ვერ დაკმაყოფილდება. მისი მთავარი ამოცანაა, მეურნეობის კოლექტიური ორგანიზაცია და აქედან გამომდინარე შრომისა და წარმოების განსაზოგადოება ამასთან ტეხნიკის განვითარებისა და საწარმოო პროცესების გაერთიანების საშუალებით სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციამ უნდა განავითაროს კოოპერატიული მრეწველობა და მასში მოიზიდოს წევრთა საწარმოო საშუალებები.

მართალია, დიდია სახელმწიფოს დახმარება სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციისადმი, მაგრამ სახელმწიფოს საშუალებები არ იქნება საკმაო, რომ ეს ფრიად მნიშვნელოვანი საქმე შესრულებული იქნას. ამისთვის საჭიროა, რომ მოსახლეობამ, რომელიც გაერთიანებულია სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციაში, თვით მიიღოს მონაწილეობა კოოპერატიულ კაპიტალის დაგროვებაში როგორც სავალდებულო პაის სახით, ისე თავისუფალ თანხების ამხანაგობებში მოთავსებით—ანაბრების სახით საკუთარ თანხების დაგროვებას და სხვის საშუალებების გამოყენებას სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის მიზნის განხორციელებისათვის მხოლოდ მაშინ აქვს მნიშვნელობა როცა ყველა ეს საშუალებები ხმარდება სოფლის მეურნეობის განვითარების საქმეს. ცხადია, რომ ის საშუალებები, რომლებსაც სახელმწიფო აწვდიდა კოოპერაციას სოფლის მეურნეობის საჭიროებებისათვის, სავსებით არ ხმარდებოდა პირდაპირ მიზანს, რის გამოც ჩვენ დღეს საგრძნობი რაოდენობა გვაქვს ვადა გადაცილებულ სესხებისა.

საკუთარ საშუალებების ზრდასა და საწარმოო პროცესების განვითარებასთან ერთად სდგას საკითხი აგრეთვე მოსახლეობის მეტი ნაწილის სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციაში მოზიდვის შესახებ. ჩვენში დღეს გაერთიანებულია მოსახლეობის თითქმის ერთი მესამედი, ეს ოთხი წლის მუშაობის შედეგია. ყოველი ღონე უნდა იხმაროს ჩვენმა კოოპერაციამ წევრთა მასის განსაკუთრებით მის ღარიბ და საშუალო ფენებით უფრო მეტი რაოდენობით მოზიდვისათვის. სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია, მართალია, გახდა მძლავრი ფაქტორი ჩვენს სოფლის მეურნეობის ახალ საფუძველზე გარდაქმნის საქმეში, მაგრამ მისი განვითარების ტემპი საერთოდ დაჩქარებულ უნდა იქნას, რომ მან შესძლოს მეურნეობის საჭიროებათა სრული დაკმაყოფილება. კოოპერატიულ შეკავშირების ზრდასთან ერთად საჭიროა, რომ თვით კოოპერაციის მუშაობას მიეცეს მეტი კოოპერატიული შინაარსი.

ჩვენს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციას გზები აქეთკენ აქვს აღებული და მისი სავსებით განხორციელება შესაძლებელია მაშინ, თუ თვით მოსახლეობა გამოიჩენს სათანადო შეგნებას და კოოპერატიულ თვითმოქმედებას.

ვ. ც—ძე.

სარეწაო კოოპერაცია

დღეს უკვე ყველას ესმის ის დიდი მნიშვნელობა, რომელიც კოოპერაციას ეძლევა ჩვენს გარდამავალ ხანაში. კოოპერაციის საშუალებით ცხოვრება უნდა მოეწყოს კოლექტიურ საფუძველზე; ხალხი უნდა მიეჩვიოს საერთო საქმის საერთო ძალით კეთებას და ცხოვრების ყველა სფეროებიდან კერძო კაპიტალი განდევნოს. ამ მიმართულებით მუშაობა განაწილებულია სხვადასხვა სახის კოოპერატიულ სისტემებს შორის და ყოველი მათგანი თავის სახით დაკისრებულ მოვალეობათა შესასრულებლად გაცხოველებულ მუშაობას აწარმოებს.

გადამეტებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ საქართველოს სხვა კოოპერატიულ სისტემებს შორის, სარეწაო კოოპერაციას ამ საერთო მიზნის შესრულების საქმეში თავის მნიშვნელობით საპატიო ადგილი უკავია.

რა ამოცანები სდგას სარეწაო კოოპერაციის წინაშე საბჭოთა ქვეყნებში საერთოდ და კერძოდ კი საქართველოში?

შემდეგი ორი მთავარი ამოცანა:

1) მრეწველობის განვითარება ვინაიდან სახელმწიფო მრეწველობა საქონელზე მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებს, სარეწაო კოოპერაცია მოწოდებულია შეავსოს ეს ნაკლებობა და

2) უმუშევრობასთან ბრძოლა.

პირველ ამოცანასთან დაკავშირებულია ღარიბ და საშუალო შინამრეწველებისა და ხელოსნების როგორც ქალაქად, ისე სოფლად (მაღის, აბრეშუმის, ნოხის და სხვ. მქსოველები და სხვ.) სარეწაო კოოპერაციაში გაერთიანება და წარმოების ტეხნიკის გაუმჯობესება და სხვ.

მეორე ამოცანასთან (უმუშევრობასთან ბრძოლა) დაკავშირებულია სოფლის შინამრეწველობის კოოპერატიულად შეკავშირება. საქმე ის არის, რომ საქართველოს სოფელი მიწის ნაკლებობის გამო დიდ გაჭირვებას განიცდის. უკანასკნელი გარემოება იწვევს სოფლის დატოვებას. აყარებული ხალხი სტოვებს სოფელს, სამუშევრის საძებნელად აწვება ქალაქს და ართულებს მდგომარეობას. ამიტომ სარეწაო კოოპერაციის ერთ ერთი ამოცანას შეადგენს: კოოპერატიულად შეკავშიროს და განავითაროს შინამრეწველობა და ხელოსნობის ის ჩანასახი, რომელსაც ადგილი აქვს სოფლად, მისცეს გლეხს ცხოვრების საშუალება და ამით გააუმჯობესოს მდგომარეობა.

ყოველივე ეს კი თავის მხრივ შექმნის მომუშავეთა იმ კადრსა და ტრადიციებს, ურომლისოდაც ძნელია დიდი საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობის განვითარება. აი, ის მუშაობა რომლის საწარმოებლადაც მოწოდებულია სარეწაო კოოპერაცია.

საქართველოს კოოპერატიულ ცხოვრებაში არც ერთი კოოპერატიული სისტემა არ წარმოადგენს ისეთ ახალ მოვლენას, როგორც სარეწაო კოოპ. 1925 წ. ბოლოს შეიქმნა სარეწაო კოოპერატიული სისტემის საორგანიზაციო ბიურო. ბიურომ უნდა მოეწყო სარეწაო კოოპერაციის ძირითადი ორგანიზაციები, მოეწვია მათ წარმომადგენლების დამფუძნებელი კრება. 1927 წ. 1-ლ თებერვალს თბილისში შეიკრიბა დამფუძნებელთა კრება და დაარსდა საქართველოს სარეწაო კოოპერატიული კავშირი.

სარეწაო კოოპერატიული სისტემის მშენებლობა ორ საფეხურიანია: 1) რესპუბლიკანური ცენტრი—საქართველოს სარეწაო კოოპერატიული კავშირი და სხვადასხვა ტიპის პირველი საფეხურის კოოპერატიული ორგანიზაციები.

სარეწაო კოოპერაციის პირველი საფეხურის კოოპერატიული ორგანიზაციები შემდეგი სამი ტიპის ამხანაგობებიდან შედგება: ა) სარეწაო კოოპერატიული ნადი (არტელი), ბ) სარეწაო მომმარაგებელ-გამსაღებელი კოოპერატიული ამხანაგობანი და გ) სარეწაო საკრედიტო კოოპერატიული ამხანაგობანი.

აღნიშნულ სამი ტიპის ორგანიზაციებიდან ყველაზე მეტი სოციალური ღირებულება აქვს სარეწაო ნადებს. სარეწაო ნადში წევრები თავს იყრიან საერთო სახელოსნოში და ერთად აწარმოებენ მუშაობას. მასში ყველაზე უფრო მოხერხებულია შრომის განაწილება, წარმოების მექანიზაცია და, მაშასადამე, მეტი რაოდენობისა და გაუმჯობესებული ფაბრიკატის გამოშვება, მაგრამ რამდენადაც ტეხნიკურად იდეალურია, იმდენად ძნელია კოოპერატიულად მისი მოწყობა: სარეწაო ნადი არღვევს შინამრეწველის და ხელოსნის ჩვეულებას, თავს უყრის ერთ სახელოსნოში და ერთგვარ დისციპლინის ქვეშ აყენებს. ამას ძნელად ეგუება განსაკუთრებით სოფლის შინამრეწველი და სარეწაო ნადი ძნელად ვითარდება.

დანარჩენი ორი—სარეწაო მომმარაგებელ-გამსაღებელი და სარეწაო საკრედიტო კოოპერატიული ამხანაგობანი სარეწაო კოოპერატიული სისტემის უფრო მარტივი ფორმებია. ასეთი ტიპის ამხანაგობათა შექმნის დროს არ ხდება შინამრეწველებისა და ხელოსნების ერთ სახელოსნოში თავის მოყრა; ისინი განაგრძობენ თავიანთ ოჯახში თუ სახელოსნოში მუშაობას. ამგვარად გაერთიანებული მუშაობა არ სცვლის მათ მდგომარეობას: პირიქით ხელს უწყობს მათ გამაგრებას, რაში მდგომარეობს ამ ტიპის ამხანაგობათა მუშაობა? ისინი იმარაგებენ წევრების წარმოებისათვის საჭირო მასალას, ხელსაწყოს და სხვ. ხანდახან აწყობენ წევრებისათვის დამხმარე წამოწყობებს (მაგალითად, სატრიკოტაჟო მრეწველობაში—საერთო სამღებროს; იმის მაგივრად, რომ წევრებმა ნაწარმოების შესაღებად სათითაოდ მოაწყონ ოჯახებში სამღებროები, აღნიშნული ამხანაგობანი აწყობენ საერთო სამღებროებს, რაც გაცილებით იაფი უჯდებათ და არც საერთო სახელოსნოში უხდებათ თავის მოყრა და სხვ.); ეს ამხანაგობები ეძებენ ბაზარს და ასაღებენ წევრთა ნაწარმოებს.

თვით ამ ორი სახის კოოპერატიულ-ორგანიზაციებთა—სარეწ. მომმარაგ. გამსაღებელ და სარეწაო საკრ. კოოპერატიულ ამხანაგობას შორის განსხვავება მხოლოდ ერთი მთავარი ფუნქციის შესრულებაში მდგომარეობს: სარეწაო საკრედიტო ამხანაგობა, ზევით აღნიშნულ ფუნქციებზე დამატებით, აწყობს კოოპერატიულ კრედიტს, ესე იგი წევრთა საერთო პასუხისმგებლობის ქვეშ აწარმოებს ანაბრების მიღებას და სესხის გაცემას. დღეს საქართველოში არ მოიძებნება არც ერთი ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი პუნქტი, სადაც შინამრეწველები და ხელოსნები თავმოყრილი იყოს და მათ არ ჰქონდეთ საკრედიტო კოოპერატიული ამხანაგობა.

ამა წლის პირველ მაისისათვის სარეწაო კოოპერატიული ქსელი ჩვენში რაოდენობა 151 კოოპერატიულ ორგანიზაციას უდრის; ამათში:

ა) სარეწაო კოოპერატიული ნადები—129 ამხანაგობა;

ბ) სარეწაო მომმარაგებელ-გამსაღებელ კოოპერატიული ორგანიზაცია—5 ამხანაგობა და

გ) სარეწაო საკრედიტო კოოპერატიული ორგანიზაცია—17 ამხანაგობა.

ამნაირად, თუ სარეწაო კოოპერატიული სისტემის ქსელს მიუდგებით რაოდენობის თვალსაზრისით, დავინახავთ, რომ ყველაზე მეტი სარეწაო კოოპერატიული ნადები ყოფილა. მაგრამ თუ წევრების კოოპერატიულად შეკავშირების თვალსაზრისით მიუდგებით სრულიად სხვა სურათს მივიღებთ, იმავე პირველ მაისისათვის წევრები შეკავშირებულია:

ა) სარეწაო კოოპერატიულ ნადებში—1.898, ანუ 37,7 პროც.

ბ) სარეწაო მომმარაგებელ-გამსაღებელ კოოპერატიულ ამხანაგობაში—478, ანუ 9,5 პროც. და.

გ) სარეწაო საკრედიტო კოოპერატიულ ამხანაგობაში—2,667, ანუ 52,8 პროც.

აქედან ვხედავთ, რომ სარეწაო კოოპერატიული სისტემის მთავარი ორგანიზაციები—სარეწაო საკრედიტო კოოპერატიული ამხანაგობანი ყოფილა. მიუხედავად მათი სიახლისა (დიდი უმრავლესობა ამ წლის დასაწყისშია ჩამოყალიბებული) და მატერიალურ შევიწროებისა, საკრედიტო ამხანაგობაში შეკავშირებულია, შინამრეწველთა და ხელოსანთა მნიშვნელოვანი რაოდენობა.

თუ რა სამრეწველო დარგებია, კოოპერატიულად შეკავშირებული, ამის სურათს გვაძლევს შემდეგი ცხრილი:

საქართველოს სარეწაო კოოპერაციის ქსელის მდგომარეობა და წევრთა რიცხვი 1928 წლის 1-ლ მაისისათვის.

სამრეწველო დარგების სახელწოდება	ამხანაგობ. რიცხვი	შეკავშ. ხელოსანთა რიცხვი 1/V—28 წ.	მათ შორის ქალები
საფეიქრო-სატრიკოტაჟო.			
საფეიქრო	13	185	166
სატრიკოტაჟო	10	171	118
ნოხებ. წარმოება	2	37	37
ძაფის წარმოება	2	16	10
სატყეო-საფეხსაც.			
სატყეო	9	87	—
საფეხსაცმელო	21	280	—
ლითონის დამუშავება:	6	41	—
საპნის ხარშვა	1	6	—
კერამიკული	4	29	—
სამშ. მასალების წარმოება	3	51	—
ხის დამუშავება	15	301	—
ტანსაცმელის კერვა	9	274	155
თამბაქოს და მუყაოს წარ.	3	59	32
ბამბის გადამუშავება	1	9	—
პურის ცხობა	18	529	61
ქიმიური	3	16	2
სხვადასხვა:			
სატრანსპორტო	3	81	—
სურს. სანოვ. წარმ.	4	26	5
ფოტოგრაფიული	2	130	—
დანარჩენი	6	48	4
სარეწაო-საკრედ. ამხ.	17	2667	18
სულ	151	5043	606

სარეწაო კოოპერატიული სისტემის საორგანიზაციო პერიოდი (საორგანიზაციო ბიუროს მუშაობა) დეფიციტით დამთავრდა. დეფიციტით ჩატარდა ახლად დაარსებულ კავშირის პირველი პერიოდის მუშაობაც. მიზეზი? ძნელი იყო მუშაობის პირობები. ეს ის დრო იყო, როცა სარეწ. კოოპერატიული სისტემის დამოუკიდებელი არსებობა იჭვს ბადებდა: იგი ძალიან მცირე რიცხვსა სწამდა, მაგრამ საბოლოოდ სარეწაო კოოპერაციის არსებობა მაინც დაკანონდა.

ამ ხნიდან მოყოლებული სარეწაო კოოპერატიული კავშირი აწარმოებდა დეფიციტის დასაფარავ მუშაობას. დიდი მსხვერპლის გაღებით კავშირმა დასძლია ამ დაბრკოლებას და საოპერაციო წელიწადი (პირველი ხანვარი 1928 წელი) მოგებით დაამთავრა. თუ ამრიგად კავშირი გამოვიდა გაჭირვებულ მდგომარეობიდან, ჯერ კიდევ უმწეო მდგომარეობაში იმყოფება მისი პერიფერია. და სანამ პერიფერია ასეთ მდგომარეობაშია, ვერც კავშირი იგრძნობს თავს ძლიერად.

საკავშირო მთავრობის შარშანდელ განკარგულებათა განხორციელება ჯერ ჯეროვნად არ მოხერხდა. სხვას რომ თავი დავანებოთ სარეწაო კოოპერაციის საკრედიტო სექტორსაც კი არაფერი აქვს მიცემული სესხად არა თუ ძირითად კაპიტალში, არამედ უბრალო გრძელვადიან სესხის სახითაც კი.

აქედან გამომდინარეობს სარეწაო კოოპერაციის წინაშე მდგარი მორიგი ამოცანები: საკავშირო მთავრობის 1927 წლის 5 მაისისა და 1928 წლ. 21 მაისის დადგენილებათა საქართველოს სინამდვილეში გატარება, სარეწაო კავშირის სამეურნეო საქმიანობის უფრო მეტად გადაბმა პერიფერიასთან, არა სავაჭრო დარგის მუშაობის გაცხოველება და, რაც მთავარია, სოფლად მუშაობის წარმოება ასეთია მორიგი ამოცანების ის მთავარი ხაზები, რომლებიც ისახება სარეწაო კოოპერატიულ სისტემების წინაშე საერთაშორისო კოოპერაციის დღესასწაულის მეექვსე წლის თავზე.

ალ. ცაგარეიშვილი.

სასოფლო-სამეურნეო კრედიტის სისტემის მიღწევები

მსოფლიო ომმა, რომელმაც მთელი სახალხო მეურნეობა დაანგრია, ლახვარი ჩასცა საკრედიტო ამხანაგობებსაც. ფულის ღირებულების კატასტროფიულმა დაცემამ, ფულად მეურნეობაში შექმნილმა ანარქიამ სრულებით დაშალა მთელი საკრედიტო სისტემა სოფლად კერძოდ საქართველოში. სადაც ომამდე იყო 284 საკრედიტო ამხანაგობა და შემნახველ-გამსესხებელი სალარო, რომლებშიაც გაერთიანებული იყო 109 ათასზე მეტი გლეხური მეურნეობა,—საკრედიტო სისტემა სავსებით დაიშალა და მხოლოდ ცალკე ერთეულები განაგრძობდენ უბადრუკ არსებობას.

საბჭოთა ხელისუფლება სასოფლო-სამეურნეო კრედიტის მოწყობას შეუდგა 1924 წლის მარტში და ამ 4 წლის განმავლობაში უკვე დიდი მიღწევები გვაქვს. საკრედიტო ამხანაგობების რიცხვის ზრდა ამ წლების განმავლობაში შემდეგ სურათს იძლევა:

1924 წლის 1 ოქტომბრისათვის იყო 24 საკრედიტო ამხანაგობა 3.245 წევრით. 1925 წ. 1 ოქტ. 120 ამხ. 39.000 წ., 1926 1 ოქტ. 124 ამხ. 59.287 წ., 1927 წ. 1 ოქტ. 137 79.758 წ. 1928 წ. 1 აპრ. 153 ამხ. 114.942 წ.

როგორც მოყვანილი ცნობებიდან სჩანს, 1928 წლის 1 აპრილისათვის არსებობდა 153 საკრედიტო ამხანაგობა, რომლებშიაც გაერთიანებული იყო 114.942 მეურნეობა, რაც შეადგენს საქართველოს გლეხურ მეურნეობათა მთელი რიცხვის 27,7 პროცენტს. საკრედიტო ამხანაგობების წევრთა რიცხვის ასეთი სწრაფი ზრდა იძლევა იმის გარანტიას, რომ უახლოეს წლებში სასოფლო-სამეურნეო კრედიტის სისტემა შესძლებს ღარიბ და საშუალო გლეხობის დანარჩენი ნაწილის გაერთიანებას.

რაც შეეხება საკრედიტო ამხანაგობათა სოციალურ შემადგენლობას, 4 მაზრაში, სადაც სპეციალური გამოკვლევა ჩატარდა, გვაქვს შემდეგი სურათი: ღარიბი მეურნეობანი—64 პროცენტი, საშუალო—32,1 პროც. და შეძლებული—3.9 პროც. როგორც ვხედავთ, წევრთა შემადგენლობა უზრუნველჰყოფს ღარიბ და საშუალო გლეხობის განსაკუთრებულ გავლენას სასოფლო-სამეურნეო კრედიტის სისტემის პოლიტიკაზე. მაგრამ ამ საკითხში ადგილი აქვს უდიდეს ნაკლს, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ შეძლებულ გლეხთა ხვედრითი წონა სესხის მიმღებთა შორის უფრო მაღალია, ვიდრე მათი ხვედრითი წონა საკრედიტო ამხანაგობათა შემადგენლობაში, ეს ნაკლი უნდა გამოსწორდეს. სასოფლო-სამეურნეო კრედიტის სისტემა უნდა ემსახურებოდეს მხოლოდ და მხოლოდ თავის ღარიბ და საშუალო შეძლების წევრებს და არც ერთი კაპეიკი არ უნდა აძლევდეს კულაკს. იმ სახსრების სიდიდე, რომლებსაც აბანდებს სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო კრედიტის მეშვეობით წლიდან წლამდე იზრდება. თუ 1925 წელში კოოპერაციაში ჩაბმულ თვითეულ მეურნეობაზე 43 მან 50 კ. მოდიოდა, 1928 წელში ეს ციფრი უკვე 66 მანეთამდე გაიზარდა. თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ 1925 წლიდან 1928 წლამდე წევრთა რიცხვი ოთხჯერ გაიზარდა, აშკარა გახდება,—რამდენად დიდ სახსრებს აბანდებს სახელმწიფო სოფლის მეურნეობაში.

რაც შეეხება თვით კრედიტის სახეობას, ის სავსებით განისაზღვრება იმ ეკონომიური პოლიტიკით, რომელსაც საბჭოთა ხელისუფლება ატარებს. კრედიტების ძირითადი მასა ხმარდება სოფლის მეურნეობის ინდუსტრიალიზაციას (მანქანები) და ძირითად კულტურებს—ჩაის მეურნეობის, მეცხვარეობის, მეთამბაქოეობის, მევენახეობის და სხვა განვითარებას.

სასოფლო-სამეურნეო კრედიტის სისტემის ერთ ერთ მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს სოფლის მეურნეობის თავისუფალ სახსრების მობილიზაცია საკრედიტო ამხანაგობებში ანაბრების მიზიდვის სახით. სამწუხაროდ, აქ რაიმე ხელშესახები შედეგები არა გვაქვს. 1924 წლის 1 ოქტომბრისათვის ანაბრები შეადგენდა 50 მან., 1925 წ. 1 ოქტ. 20.773 მ., 1926 წ. 1 ოქტ 75:202 მ:, და 1927 წ. 1 ოქტომბრისათვის 180.000 მან.

თვითეულ წევრზე 1925 წელში მოდიოდა 53 კაპ., ხოლო 1927 წელში—2 მან. 18 კაპ. თუმცა ანაბრების ზრდას ადგილი აქვს, მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ 1915 წელში თვითეულ წევრზე 12 მან. 50 კაპ. მოდიოდა, აშკარა გახდება—რამდენად დიდი მუშაობა უნდა აწარმოოს ამ დარგში სასოფლო-სამეურნეო კრედიტის სისტემამ.

სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობათა საკუთარ სახსრების ზრდა საკმაოდ ჩქარი ტემპით მიმდინარეობს: 1924 წლის 1 ოქტომბრისათვის შეადგენდა 30.000 მან., 1925 წ. 1 ოქტ. 317.000 მ. 1926 წ. 1 ოქტ. 795.000 მ. და 1927 წ. 1 ოქტომბრისათვის 1.414.000 მან.

ბოლო დროს სოფლის მეურნეობაში უდიდესი მნიშვნელობა ეძლევა მეურნეობის კოლექტიურ ფორმებს კომუნების, არტელების და სამანქანო ამხანაგობების სახით, სასოფლო-სამეურნეო კრედიტის სისტემის წინაშე სდგას განსაკუთრებული მნიშვნელობის ამოცანა, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ ხსენებულმა სისტემამ ყოველმხრივ უნდა შეუწყოს ხელი მეურნეობის ახალი ფორმების განვითარებას. თუ 1927-28 წელში სასოფლო-სამეურნეო კრედიტის სისტემა მეურნეობის ამ ახალ ფორმებში 1.000.000 მანეთს აბანდებს, მომავალში ეს ციფრი ბევრად უნდა გადიდდეს. ვინაიდან თუ ჩვენ ვლაპარაკობთ სოფლის მეურნეობის საწარმოო ძალთა აღდგენის საჭიროებაზე, ეს აღდგენა წარმოუდგენელია კოლექტივიზაციის გარეშე.

თავის შემდგომ მუშაობაში სასოფლო-სამეურნეო კრედიტის სისტემამ ამოცანად უნდა დაისახოს, რომ ყოველმხრივ და სრულიად შეუწყოს ხელი კოლექტიურ მეურნეობებს, ვინაიდან მხოლოდ მეურნეობის ამ ფორმების საშუალებით არის შესაძლებელი სოციალიზმის განმტკიცება სოფლად.

ნ. კალატოზოვი.

კოოპერაციის დღე და კოლმეურნეობანი

საბჭოთა კავშირის კოოპერატიული მოძრაობა საგრძნობ ძალად რომ გადაიქცა, ამას კარგად ხედავენ ჩვენი მტრებიც და მოყვრებიც. საკმაოდ მტკიცე და მრავალრიცხოვანია ჩვენში სამომხმარებლო კოოპერაცია. ძლიერია სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო კოოპერაციის ქსელიც, საკმაოდ განმტკიცდა შინამრეწველობის და საბინაო კოოპერაცია და ამ უკანასკნელ 2—3 წელში გიგანტური ნაბიჯებით მიდის წინ კოოპერატიული მოძრაობის ახალი სახე—კოლექტიური მეურნეობა, რომელიც მოწოდებულია სოფლის მეურნეობის სოციალისტურ ნიადაგზე გარდასაქმნელად და შეადგენს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატიულ მოძრაობის განვითარებულ, სრულ სახეს. თუ ევროპის ბურჟუაზიისათვის მიუღებელია საბჭოთა კავშირის სამომხმარებლო კოოპერაცია, ცხადია, რომ კოლმოძრაობას იმათი აზროვნება სრულებით ვერ შეეგუება.

წარსული წლის კოოპერატიულ ლოზუნგებს წელს საქართველოს კოოპერაცია უმატებს ნორჩი კოლმეურნეობების ზრდის ახალ ლოზუნგს: „ღარიბ და საშუალო გლეხებისაგან შემდგარ მსხვილი კოლმეურნეობების გზით სოციალიზმისაკენ", ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ სწრაფი განვითარების გზაზე შემდგარი კოლმეურნეობა საქართველოში შესძლებს ახლო მომავალში გადაიქცეს მასიურ მოვლენად და გააერთიანოს მშრომელი გლეხობა მსხვილ მეურნეობებათ, გაუმჯობესებულ მანქანა-იარაღებით, გაშენებული ძვირფასი კულტურებით, ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესებით და წევრთა კულტურული დონის ამაღლებით.

მშრომელმა მოწინავე გლეხობამ საკმაოდ შეიგნო განსაზოგადოებული შრომის უპირატესობა და ის გულწრფელად ებმის კოლმეურნეობებში.

წელს საქართველოს კოლმეურნეობები, პირველად ორგანიზაციულად შეკავშირებულნი, დგებიან კოოპერაციის რიგებში და საბჭოთა კავშირის სხვა სახის კოოპერატიული ორგანიზაციებთან ერთად დაუშრეტელი ენერგიით იმუშავებენ სამეურნეო ფრონტზე ჩვენი ქვეყნის სოციალისტურ საფუძველზე გარდასაქმნელად. ასეთივე მტკიცე და მთლიანი იქნება კოლმეურნეობათა რიგები, თუ ამას ოდესმე მოითხოვს სამხედრო ფრონტიც მშრომელთა სახელმწიფოს თავდაცვისათვის.

ვ. ც.

კოოპერაცია აფხაზეთში

სოხუმი, 6 ივლისი. კოოპერაციის საერთაშორისო დღის გამო, „აფხაზეთის კავშირის" თავმჯდომარემ ამხ. მინასიანმა აფხაზეთის სამომხმარებლო კოოპერაციის მდგომარეობის შესახებ ამიერ-კავკასიის დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელს აცნობა შემდეგი:

„საერთო მდგომარეობა სამომხმარებლო კოოპერაციისა აფხაზეთში ხასიათდება სავაჭრო საფინანსო და საორგანიზაციო დარგების შეუჩერებელი ზრდით. ამჟამად კოოპერატივის ქსელით მოფენილია აფხაზეთის ყველა რაიონი. აფხაზეთის კავშირის სისტემაში ითვლება: 7 სავაჭრო წერტილი, 64 პურის საცხობი, 21 სამომხმარებლო კოოპერატივი და 16 საწარმოო. ვაჭრობის ბრუნვამ, წარსულ წელთან შედარებით, იმატა: ცენტრში —400 პროცენტით, პერიფერიებში— 200 პროცენტით. წლიური საცალო ბრუნვა შეადგენს 6 მილიონ მანეთს. ბაზრის ფართოდ დაპყრობა იმედს იძლევა, რომ მომავალ წელს საცალო ვაჭრობა 50 პროცენტით იმატებს.

კოოპერატიული მუშაობა მიმდინარეობს მშრომელთა ფართო ფენების კოოპერაციაში ჩაბმის ნიშნის ქვეშ. ამჟამად კოოპერაციას ჰყავს 17.600 წევრი 96.000 მანეთის საპაიო თანხით. ღარიბთა ფონდები მთლიანად განაღდებულია. კოოპერაციაში მიღებულია 1.000 ღარიბი გლეხი. ამჟამად მთავარ ამოცანას წარმოადგენს საპაიო კამპანიის ჩატარება, რომელიც დანიშნულია 7 ივლისიდან 7 სექტემბრამდე.

მუშკოოპის ლატარია

დღეს დილიდან მუშკოოპის ყველა მაღაზიებში დაიწყება მუშკოოპის სალატარიო ბილეთების დარიგება. ბილეთები უფასოდ დაურიგდება მუშკოოპის იმ წევრებს, რომლებიც კოოპერატივში შეიძენენ 2 მანეთზე მეტი ღირებულების საქონელს.

ლატარიის მოსაწყობათ მუშკოოპს გადადებული აქვს 4.000 მანეთი. ლატარიაში გათამაშებულ იქნება შემდეგი ნივთები: ახალი რკინის საწოლები, სერვიზები, სატუალეტო მოწყობილობები, ჭურჭლეულობა, სუფრის მორთულობა, ფეხსაცმელები, ქალის ჩულქები და სხვა. ლატარიის გასათამაშებელ ადგილებათ არჩეულია მუშკოოპის 1 მაღაზია (ზემელის აფთიაქთან), რუსთაველის პასსაჟი, სადგურის პასსაჟი, მაღაზია № 7 (ავლაბარში) და ცენტრალური მაღაზია (კირკასთან).

მუშკოოპში საქონლის შეძენისა და სალატარიო ბილეთების დარიგებისას მომხმარებლები მიიღებენ ცნობას, თუ რომელ მაღაზიაში შეუძლიანთ მათ მონაწილეობა მიიღონ ლატარიის გათამაშებაში.

ლატარიის გათამაშების შედეგები გამოქვეყნებული იქნება საღ. 8 საათისათვის.

მოხსენებები

კოოპერაციის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით თბილისის ყველა წარმოება-დაწესებულებებში და მუშათა კლუბებში ჩატარდება სპეც. მოხსენებები კოოპერაციის მნიშვნელობის შესახებ.

დღესასწაულის ჩამტარებელმა კომისიამ გამოჰყო ამხ.: ვ. კანდელაკი, ბუკრეევი, ერისთავი, პიჩიკიანი, აკიმოვი, გიკი, ძაგანია და იარალოვი.

კოოპერაციის დღე სამხედრო ნაწილებში

სამხედრო სამომხმარებლო საზოგადოება კოოპერაციის საერთაშორისო დღის აღსანიშნავად სამხედრო ნაწილებში და წითელ არმიისა და ფლოტის სახლში აწყობს კონცერტ-მიტინგს. ბანაკად მყოფ წითელარმიელებს დაეგზავნება ბროშიურები კოოპერაციის შესახებ, ბანაკებში გაიგზავნება მოძრავი კინო და სხვ.

სატრანსპორტო კოოპერაციაში

კოოპერაციის საერთაშორისო დღის აღსანიშნავად ამიერ-კავკასიის საგზაო-სატრანსპორტო სამომხმარებლო საზ-ბის გამგეობამ გადასწყვიტა 7, 8 და 9 ივლისს თავის მაღაზიებიდან სრული პაის შემტანი წევრებს საქონელი მისცეს 10 პროცენტის დაკლებით.

ამავე დროს ყველა მაღაზიებში იწარმოებს საპაიო გადასახადის მიღება.

ბიბლიოთეკა

პარტიული ცხოვრება

დროის მფლანგველობის წინააღმდეგ

(წერილი სიღნაღიდან)

პარტ-მუშაობის რაციონალიზაციასთან დაკავშირებით, ისმება დროის მფლანგველობის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხი.

მართლაც, როგორია მდგომარეობა ამ მხრივ?

გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ რესპუბლიკანურ კონფერენცია-თათბირებიდან დაწყებული უჯრედის კრებამდე, ადგილი აქვს, როგორც სხდომების გაგრძელებას და სიმრავლეს, ისე დაგვიანების შემთხვევებს.

მოვიყვანოთ ორი დამახასიათებელი ფაქტი: საქ. კ. პ. (ბ) ცეკას სამდივნოს მიერ პარტაპარატისა და პარტ-მუშაობის რაციონალიზაციის შესახებ მიღებულ ღონისძიების თანახმად, სიღნაღის სამპროფბიუროსთან არსებულ კომუჯრედმა დაადგინა, რომ უჯრ. კრება გაიხსნას 6 ს. კომუნისტები, რომლებიც 10 წუთზედ მეტს დაიგვიანებდენ—უნდა დასჯილიყვნენ. ამ გადაწყვეტილების შემდეგ ჩატარდა რამდენიმე კრება, მაგრამ არც ერთი მათგანი 7 საათზე ადრე არ გახსნილა. ამგვარად ზოგიერთი ამხანაგების გვიან „მობრძანების" წყალობით, ერთი საათი ტყუილ-უბრალოდ გაფლანგა. მეორე მაგალითი: როდესაც ვატარებთ რამე კამპანიას და თემებში ვატყობინებთ, რომ დილის 9 საათისათვის მოიწვიონ პარტ-ორგანიზაციის კრება, ხშირად ცენტრიდან მივლინებული პირი დანიშნულ ადგილს ცხადდება 12 საათზე ან საღამოთი.

აქ აღარას ვიტყვით სხდომების გაგრძელების შესახებ, რომელიც აუცილებლად უნდა აღმოიფხვრას, აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ეს გარემოება ნაწილობრივ ზემოხსენებული მდგომარეობით არის გამოწვეული.

ცეკას მიერ პარტმუშაობის რაციონალიზაციის შესახებ მიღებულ ღონისძიებაში გარკვევითაა აღნიშნული, რომ „გადამწყვეტი ბრძოლა გამოეცხადოს ისეთ მოვლენებს, როგორიცაა სხდომებისა და თათბირების თავის დროზე გაუხსნელობა. დაგვიანებულთა წინააღმდეგ მიღებულ იქმნეს პარტსასჯელის სასტიკი ზომები. მიღებულ იქმნეს აგრეთვე ყოველივე ზომები რეგლამენტის სავსებით შესასრულებლათ, რისთვისაც, აცილებული იქმნეს თავიდან სხდომების გაჭიანურება და სხვა". ეს დადგენილება ათასჯერ ადიდებს ჩვენს პასუხისმგებლობას დროის მფლანგველობის წინააღმდეგ ბრძოლაში. ამ პასუხისმგებლობას უნდა გრძნობდეს თვითეული უჯრედი, თვითეული კომუნისტი.

— ვ. ალპანი.

ხაშურის რაიკომის პლენუმი

რამდენიმე ხნის წინად შესდგა საქ. კომპარტიის ხაშურის რაიკომის გაფართოებული პლენუმი, პლენუმის დღის წესრიგში იდგა: ხაშურის რაიონის სას.-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობის მოხსენება, ბიუროების გადარჩევის შედეგები და ქალთა შორის მუშაობის საკითხი.

სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობის გამგეობის მოხსენებიდან, გამომკვლევ კომისიის თანამოხსენებიდან და კამათიდან გამოირკვა, რომ ამ ამხანაგობის მუშაობა სუსტია. არავითარი ყურადღება არ ექცევა კოოპერაციის წევრთა ზრდას, არ არის გატარებული საპაიო თანხის გადიდების კამპანია, სუსტია ხელმძღვანელობა სას.-სამ. ამხანაგობების და კოლექტივების მუშაობაზე.

გამგეობა არ ამოწმებს თუ რა მიზნებს ხმარდება გატანილი სესხი, საკრედიტო ამხანაგობა იძენდა მხოლოდ ტრაქტორებს, წვრილმან სას.-სამ. მანქანა-იარაღების შეძენაზე კი არ ზრუნავდა, მიუხედავათ იმისა, რომ მანქანა - იარაღების მოთხოვნილება დიდია.

პლენუმმა საკრედიტო ამხანაგობის მუშაობა სუსტად ჩასთვალა და მიიღო პრაქტიკული წინადადებები აღნიშნულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

ბიუროების გადარჩევის შედეგებზე პლენუმმა აღნიშნა, რომ ეს კამპანია ჩატარდა განსაკუთრებული აქტივობით, ფართოდ იყო გაშლილი შინაპარტიული დემოკრატია და თვითკრიტიკა.

ქალთა შორის მუშაობაში პლენუმმა ხაზი გაუსვა კომუჯრედების სუსტ ხელმძღვანელობას და დასახა მთელი რიგი ღონისძიებანი.

ირა.

კომკავშირში

ქორწილი „დაკვრითი წესით"

(კირბოულის თემი, შორ. მაზრა)

ძნელი არის სიყვარული—გადმოგვცემენ ძველთაგან.

მით უმეტეს თუ შეჩვენებული სატრფო ცოტა ლამაზიც არის, მთლად დაგიბნევს თავგზას. ისე როგორც მან აურდაურია გზა-კვალი უამისოდაც თავგზადაბნეულ კომკავშირელ სეკარიონ ნოზაძეს.

გრილი ზაფხულის დილა იყო. სიო ოდნავ არხევდა გადაფურჩქნულ ხის მწვერვალებს. საგონებელში ჩავარდნილ სეკარიონს არ ჰქონდა საშუალება დამტკბარიყო ბუნების სილამაზით.

მის წინაშე საშინელი დილემა დაისვა.

სატრფომ პირობის მიცემის დროს, მოკლე, მაგრამ თავსატეხი მოთხოვნილება წარუდგინა: 1) ჯვრის წერა ეკლესიით და 2) ძველებური ქორწილი. მთელი თავისი ატრიბუტებით.

მე-2 პუნქტი არც ისე ძნელი იყო: ქორწილი, ეს უბრალო ქეიფის სახეს მიიღებდა და მორჩა, გათავდა.

მთელი სიძნელე პირველი პუნქტის გადაწყვეტაში მდგომარეობდა: კომკავშირის რიგებში ყოფნა, თუ სატრფოს დაკარგვა?..

სეკარიონის „იდეოლოგიურმა კერპობამ", სიმტკიცე-გამობრძედილობამ, ვერ გაუძლო სიყვარულის მოზღვავებულ გრძნობას. სეკარიონმა საცოდავად... დაიჩოქა თავისი დულსინეს სურვილების წინაშე.

გაბუნებულ ანაფორაში გახვეული მღვდელი გაჩქარებით ბუტბუტებდა ეკლესიაში: „ქრისტიანულად მოიქცა" სეკარიონი. შესრულდა ისე, რაც სიძნელეს წარმოადგენდა.

ამის შემდეგ ლაპარაკიც ზედმეტი იყო.

რა კი შესტოპა სეკარიონმა, ეხლა უკან აღარ დაიხევს. შეუპოვარი ნაბიჯებით წავა წინ და „ვაი მას, ვისაც მოხვდეს ხელი მისი მახვრალი".

გაიმართა ქორწილი; დიდი ქეიფი გაფართოებული პროგრამით მღვდელ-დიაკვნისა და სეკარიონის უახლოესი მონაწილეობით.

გულუხვი სუფრა, რიხიანი მრავალ-ჟამიერი, ცეკვა, ოხუნჯობა, აი სეკარიონის ქორწილის დამახასიათებელი ნიშნები.

რამდენიმე ხნის შემდეგ ღვინომ მთელი თავისი ძლიერებით დაიწყო მოქმედება.

ბევრს აერ-დაერია ჭკუა-გონება. ასტყდა ხმაური, რომელიც რაღაც გაურკვეველ ყბედობათ გადაიქცა.

შეზარხოშდა სეკარიონიც, ღვინომ აალოდვილა და მოისურვა რაიმე საგმირო საქმის გაკეთება სატრფოს წინაშე.

უდღეური გამოდგა ღვდლის აღფრთოვანება, რომელიც თავის გამარჯვებას დღესასწაულობდა. (განა პატარა საქმეა სამღვდელოებისათვის ერთი კომკავშირელის მაინც „ქრისტიანული მონათვლა"? რასაკვირველია, დიდი იყო ეს გამარჯვება).

ვინ არ იცის რა მიუწვდომელი ციხე-სიმაგრეა სამღვდელოებისათვის კომკავშირი, რომლის მარტო ხსენებაზედაც-კი ელეთ-მელეთი მოსდით „ტაბლათ-მოყვარე" წმინდანებს.

მაგრამ ნახეთ უბედურება...

არც ამ გადაგვარებულმა კომკავშირელმა დააყენა კაი დღე—გამარჯვებულ ღვდელს. ერთი ისეთი ლაზათიანათ მოსთელა, რომ გადარეული მღვდელი გიჟივით დარბოდა და არ იცოდა რომელ კარებში გამხტარიყო.

ამით არ დაკმაყოფილდა სეკარიონი; რა ხან არის, ბარემ სულ იყვეს,—გაიფიქრა და განზრახვაც სისრულეში მოიყვანა, იშიშვლა პრიალა რევოლვერი და დაერია სტუმრებს. აბა ვინ უფრო მარდია, ვინ უფრო მალე გაასწრებს სეკარიონს.

ოჰ რა წიოკი შეიქნა ქალებში! ვის გული შეუღონდა, ვინ ძლივს მოასულიერეს. „უზომო იყო მწუხარება თვით დედოფლისა";

ასე უსიამოვნოდ დასრულდა სეკარიონის ქორწილი.

ჩაშხამდა ქეიფი სტუმრებსაც და გულმონადირებულ მღვდელსაც.

ბრალი ღვდლისა, იმან იჩივლოს თავისი დაჟეჟილი გვერდები, თორემ ჯვარდაწერილ კომკავშირელს „არაფერი წაუგია",—ასეთი იდეოლოგიური სიმტკიცისათვის სეკარიონი კინწის კვრით გაუძახეს ორგანიზაციის რიგებიდან.

იონ-ზაალ.

თათბირი მეძაობასთან ბრძოლის შესახებ

5 ივლისს საქ. ცაკ-ში ამხ. ფილიპე მახარაძის თავმჯდომარეობით შესდგა მეძაობასთან ბრძოლის შესახებ მოწვეულ თათბირის მეორე სხდომა.

მეძაობასთან ბრძოლის გაძლიერების მიზნით ახალი ორგანიზაციის მოწყობის შესახებ მოხსენება გააკეთა ჯანმრთელობის კომისარიატის წარმომადგენელმა ექ. ბერიძემ.

ექ. ბერიძის მოხსენება

მომხსენებელი შეჩერდა მეძაობასთან ბრძოლის გაძლიერების მიზნით ახალი ორგანიზაციის დაარსების საჭიროებაზე და აღნიშნა, რომ ასეთი ორგანიზაცია (მეძაობასთან მებრძოლი საბჭო), დაარსებული უნდა იქნეს ჯანმრთელობის კომისარიატთან. აღნიშნული საბჭო, მომხსენებლის აზრით, მუშაობას აწარმოებს ვენერიულ დისპანსერების საშუალებით და გააძლიერებს პროფილაქტიურ მუშაობას.

პროსტიტუციასთან ბრძოლის გაძლიერებლად მომხსენებელს საჭიროდ მიაჩნია პროფილაქტორიების მოწყობა, ვენდისპანსერების გაფართოება და მათი რიცხვის გადიდება.

ამხ. ფილიპე მახარაძის სიტყვა

ექ. ბერიძის მოხსენებისა და საბჭოს ორგანიზაციულად ჩამოყალიბების პროექტის შესახებ გამართულ კამათის დროს ამხ. ფ. მახარაძემ სთქვა:

მიუხედავად იმისა, რომ მოხსენება მთლიანად ეხებოდა პროსტიტუციის წინააღმდეგ მებრძოლ საბჭოს დაარსების აუცილებლობას, საკითხი მაინც გაურკვეველი და ბუნდოვანი დარჩა. ეს იმიტომ, რომ მომხსენებელი ამ საკითხს — საბჭოს დაარსებასა და მის მიზნებს მიუდგა ცალმხრივად, უკეთ—მედიცინის თვალსაზრისით. ეს არ არის სწორი.

არ შეიძლება პროსტიტუციასთან ბრძოლის საკითხს მიუდგეთ მხოლოდ საექიმო საშუალებების გამოყენების თვალსაზრისით.

ვენერიული ავადმყოფობანი შედეგია პროსტიტუციის გავრცელების და არა მისი წარმომშობი, ე. ი. პროსტიტუცია ავრცელებს ვენერიულ ავადმყოფობას და არა პირიქით. მაშასადამე ახალი ორგანიზაციის დაარსება უმთავრესად საჭიროა იმ პირობებთან საბრძოლველად, რომლებიც ხელს უწყობენ პროსტიტუციის გავრცელებას.

ვენერიულ სენებთან საბრძოლველად ჩვენ გვაქვს დისპანსერები, რომელთაც ხელმძღვანელობს თვითონ ჯანმრთელობის კომისარიატი. თუ ეს დისპანსერები ვერ მუშაობენ სათანადოდ, საჭიროა მათი მუშაობის გამოცოცხლება, თუ არ კმარა მათი რიცხვი, უნდა გაიხსნას ახალი დისპანსერები. ეს ჯანმრთელობის კომისარიატის საქმეა და ამისათვის ზედმეტია ახალი ორგანიზაციის დაარსება.

რა თქმა უნდა, მედიცინას თავისთავად დიდი მნიშვნელობა აქვს პროსტიტუციასთან ბრძოლის საქმეში. ამას არავინ უარყოფს. მაგრამ ჩემის აზრით პროსტიტუციის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხი ამჟამად სდგას როგორც ერთ-ერთ სოციალურ ბოროტებასთან ბრძოლის საკითხი. ამიტომ მის წინააღმდეგ ბრძოლა უნდა სწარმოებდეს უფრო ფართო მასშტაბით სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ მასშტაბით.

ბრძოლა პროსტიტუციის წარმომშობ მიზეზებთან და მის გავრცელების ხელის შემწყობ პირობებთან,—აი როგორ სდგას ეხლა საკითხი. ახალმა ორგანიზაციამ მთელი თავისი მუშაობა უნდა აწარმოოს ამ ხაზით, ამ თვალსაზრისით. თუ ეს ორგანიზაცია დაინტერესებული იქნა მარტო ვენერიულ სენებთან ბრძოლით, აქედან ახალი არაფერი გამოვა ეს ვერ უშველის საქმეს. ეს იქნება ჯანმრთელობის კომისარიატის მოვალეობის განხვავება პარალელიზმი.

როგორც წინა სხდომაზე აღვნიშნე, ჩვენ გვაქვს უკვე ისეთი ხასიათის ორგანიზაცია, რომლის დაარსებასაც ეხლა ვფიქრობთ. ეს არის ქალთა ყოფა-ცხოვრების და მდგომარეობის გამაუმჯობესებელი კომისია. მაგრამ მისი მუშაობა არ არის მასიური. ეს იმიტომ, რომ სათანადო ორგანიზაციები მასში არ ღებულობენ აქტიურ მონაწილეობას.

ახალ ორგანიზაციაში ჩაბმული უნდა იქნენ ყველა კომისარიატების და სათანადო ორგანიზაციების წარმომადგენლები. ამ ორგანიზაციებში წარმომადგენლები უნდა იყვნენ მუდმივი, ისინი არ უნდა იცვლებოდნენ ყოველ დღე.

ახალმა ორგანიზაციამ უნდა იზრუნოს ქალთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, აწარმოოს საგანმანათლებლო მუშაობა და ებრძოლოს იმ მიზეზებს, რომლებიც ხელს უწყობენ პროსტიტუციის გავრცელებას.

—:—

შემდეგ კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხ. გრ. კუჭაიძემ, თენიეშვილმა, ზურაბიანმა, ლიბერმანმა, თალაკვაძემ, კალიაუნაიამ, ნარიმანოვამ, ჩერქეზიშვილმა და სხ. ყველა ორატორმა სავსებით გაიზიარა ამხ. ფ. მახარაძის აზრი.

თათბირის დადგენილება

თათბირმა დაადგინა საქართველოს ცაკ-თან დაარსებული იქნეს მეძაობასთან მებრძოლი საბჭო. რესპუბლიკანური საუწყებათაშორისო საბჭოში უნდა შევიდნენ: პროფკავშირების, ქალთა განყოფილების, ჯანმრთელობის კომისარიატის და თბ. ჯანმრთელობის განყოფილების, წითელი ჯვარის, შრ. სახ. კომისარიატის, სოც. უზრუნველყოფის, განათლების ინსტიტუციის და სხ. ორგანიზაციების წარმომადგენელნი.

თათბირმა საბჭოს თავმჯდომარედ აირჩია ჯანმრ. სახ. კომისარი ამხ. გრ. კუჭაიძე.

საბჭოს ევალება შეიმუშაოს თავის მოქმედების დებულება და მაზრებში სამაზრო საბჭოების დაარსების პროექტი.

თათბირის დადგენილებით საბჭოს მჭიდრო ურთიერთობა ექნება ქალთა ყოფა-ცხოვრების და შრომის პირობების გამაუმჯობესებელ კომისიასთან.

დამატებითი სამუშაოები ზაჰესში

(თათბირი ზაჰესის სამმართველოში)

ამ დღეებში ზაჰესის სამმართველოში ინჟ. გ. შიშინაძის თავმჯდომარეობით შესდგა სპეციალისტთა თათბირი ზაჰესში ზოგიერთი დამატებითი სამუშაოების შესასრულებლად.

თათბირზე პირველად განხილულ იქნა საკითხი მთავარი საგუბარის რკინის ფაცარახთან ყინულის მჭრელი მოწყობილობის დადგმის შესახებ. დიდი ყინვების დროს მთავარი საგუბარის ფაცარახთან წყალს მოაქვს ყინული, რომელიც ხელს უშლის წყლის გასვლას მთავარ არხში, რაც თავის მხრივ იწვევს ტურბინების მუშაობის შეწყვეტას. გასულ ზამთარში ასეთ მოვლენას ადგილი ჰქონდა რამოდენიმეჯერ.

თათბირზე ამ საკითხის შესახებ გაკეთებული მოხსენებიდან გამოირკვა, რომ ზაჰესის სამმართველო უკვე შეუდგა სამზადისს მოწყობილობათა შესაძენათ საზღვარ გარედ. შეკითხვები გაეგზავნა მრავალ ევროპიულ ფირმებს თუ როგორ ან რა პირობებში შეუძლიათ მათ საჭირო მოწყობილობის დამზადება. ზოგიერთი ფირმებისაგან უკვე მიღებულია პასუხი.

თათბირმა დაადგინა დაჩქარებით იქნეს აღნიშნული მოწყობილობის შეძენა და ამასთანავე შესდგეს სპეციალისტთა კომისია, რომელიც შეისწავლის ფაცარის მდებარეობის ადგილს, წყლის რეჟიმს საგუბარში და მოაგროვებს საჭირო მეტეოროლოგიურ ცნობებს, რომელთა საფუძველზედაც იმავე კომისიას დაევალება გამოსძებნოს ყინულებთან ბრძოლის ახალი საშუალება და შეადგინოს სათანადო პროექტი. პროექტის შესამოწმებლათ და იმ საკითხის გამოსარკვევად, თუ რამდენათ იქნება შესაძლებელი პროექტით გათვალისწინებული მოწყობილობის დამზადება საბჭოთა კავშირის ქარხნებში, თათბირმა საჭიროდ სცნო კომისიის წარმომადგენლების მივლინება მოსკოვში.

გარდა ამისა, თათბირზე განხილული იყო კიდევ რამოდენიმე საკითხი ზაჰესის სხვადასხვა ნაგებობებთან წვრილმანი სამუშაოების ჩატარების შესახებ.

სტაჟიორების და პრაქტიკანტების ხელფასი

საკავშირო სახ. მეურნეობის უმაღლესმა საბჭომ შრომის კომისარიატთან შეთანხმებით შეიმუშავა დებულება პრაქტიკანტებისა და სტაჟიორების ხელფასის შესახებ. ამ დებულებით, სტაჟიორებისათვის შემუშავებულია ხელფასის მტკიცე განაკვეთი სპეციალობისა და ამა თუ იმ რაიონის თავისებურობის მიხედვით. ასეთივე განაკვეთები, მხოლოდ უფრო დაკლებული რაოდენობით, დაწესებულია პრაქტიკანტებისათვისაც. წარმოებებს უფლება აქვთ სტაჟიორის ან პრაქტიკანტის ინდივიდუალური შეფასების მიხედვით გაადიდოს მათი მტკიცე განაკვეთი, მაგრამ არა უმეტეს ერთი მესამედით.

მუშათა ცხოვრება

წვრილმანი მაგრამ საყურადღებო

ფაბრიკა-ქარხნებში შრომის ნაყოფიერების ზრდა, ნაწარმოების ხარისხის გაუმჯობესება და მისი თვითღირებულების გაიაფება დიდათ არის დამოკიდებული საწარმოო იარაღებისა და ნედლი მასალის რაციონალურად გამოყენებაზე, საწარმოო თათბირების მთავარი ამოცანაც სწორედ ამაში მდგომარეობს. თათბირები განსაკუთრებულ ყურადღებას უნდა აქცევდნენ ნედლი მასალის მიზანშეწონილად გამოყენებას და ყოველგვარ ზომებს უნდა ღებულობდნენ, რათა მასალა არ ფუჭდებოდეს და ნადგურდებოდეს უყურადღებოდ.

ამ მხრივ საწარმოო თათბირებს არ ეთქმით საყვედური. ისინი მართლაც დიდ ყურადღებას აქცევენ ნედლი მასალის გამოყენებას, მაგრამ ეს თითქმის მხოლოდ იმ მასალაზე, რომელიც გამოაქვთ საწყობებიდან. ფაბრიკა-ქარხნებში კი მიყრებული ძველი მასალა ყრია, რომლის გამოყენებაც დიდ ნაყოფს მოუტანს წარმოებას. რკ. გზის მთავარ სახელოსნოს, 26 კომუნარის სახ. ქარხნის და სხვა ფაბრიკა-ქარხნების ეზოებში ფეხს ვერ აუქცევთ ძველ, მაგრამ წარმოებისათვის გამოსადეგ მასალას. მთავარ სახელოსნოს საწარმოო თათბირმა დროზე მიაქცია ამ გარემოებას ყურადღება და დაადგინა, რათა უვარგისად ცნობილი მასალა მოთავსებულიყო დახურულ შენობაში, მაგრამ ადმინისტრაციას ჯერაც არ გაუტარებია ეს დადგენილება.

ასეთივე მდგომარეობაა ბორჯომის სატკეჩე ქარხანაში. აქ, საშრობი საამქროს გამგის უყურადღებობით ნადგურდება და ზიანდება საუცხოვო ტკეჩები. ნაფოტში, რომელიც იყრება, ან იყიდება კერძო პირებზე, აყრებილი ტკეჩები ურევია. ყველა ამას ქარხნის გამგე ხედავს, მაგრამ არავითარი ზომებს არ ღებულობს მასალის განადგურების თავიდან ასაცილებლად.

უნდა ითქვას, რომ ამაში მარტო გამგეს არ მიუძღვის ბრალი. საწარმოო თათბირსაც ეტყობა ამ მხრივ სისუსტე, ასეთ პირობებში რასაკვირველია, რომ ქარხანაში შრომის ნაყოფიერება ვერ იქნება სასურველი.

საწარმოო თათბირებმა ყურადღება უნდა მიაქციონ არა მარტო მასალის დაცვას, არამედ ამ მასალის დაცვის და დადგენილებების ცხოვრებაში გატარებასაც. ზოგიერთი საწარ. თათბირები კი ამას ნაკლებ ყურადღებას აქცევენ.

ამ წვრილმან, მაგრამ საყურადღებო საკითხს, ადგილობრივმა პროფორგანოებმა ყურადღება უნდა მიაქციონ.

ლ—ი.

—:—

ყურადღება არ ექცევა

(ბორჯომის სატკეჩე ქარხანა)

ბორჯომის სატკეჩე ქარხნის საშრობ განყოფილების გამგე ამხ. კ. დიმიანი ძალიან დაუდევრად ეპყრობა ქარხნის ქონების დაცვის საქმეს. საამქროში აშკარად ფუჭდება და იფანტება ძვირფასი ტკეჩები, საშრობიდან გამოტანილი ტკეჩი გაშავებულია და ხშირად არ ვარგა, მაგრამ ამხ. დიმიანი ამას არ აქცევს შესაფერ ყურადღებას.

ქარხანაში ბლომად წაწყდებით ნაფოტებში გაბნეულ სრულიად საღ სავერდე ტკეჩებს, რომლებიც გადასაყვანად არიან გამზადებული. გარდა ამისა ქარხანა, გარეშე პირზე ხშირად ჰყიდის ხე-ტყის ჩამონაჭრებს. ამ მასალაშიც ბლომად ურევია საკასრე საღი ტკეჩები.

საამქროს გამგე ყოველივე ამას გულგრილად ეკიდება. ის არავითარ ზომებს არ ღებულობს ქარხნის ქონების დასაცავად, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს ქარხნის ნაყოფიერების აწევაში და მასალის თვითღირებულების გაიაფებაში.

მათეს ამხანაგი.

ჩვენი მუშკორები ქალაქის მესამე საავადმყოფოში

4 ივლისს გაზ. „კომუნისტი"-ს მუშკორებმა დაათვალიერეს ქალაქის კანის სნეულებათა საავადმყოფო. მუშკორთა ექსკურსია დიდი ხალისით მიიღო საავადმყოფოს გამგემ ექ. დისამიძემ, რომელმაც მუშკორებს დაათვალიერებია საავადმყოფოს განყოფილებები და მისცა ყოველგვარი ახსნა-განმარტება ავადმყოფებისა და საავადმყოფოს მდგომარეობის შესახებ. ექიმის სიტყვით ამჟამად საავადმყოფოში მოთავსებულია 65 ავადმყოფი. მოთხოვნილება კი გაცილებით მეტია.

საავადმყოფოს დათვალიერების შემდეგ ექ. დისამიძემ, ექსკურსიას წაუკითხა ვრცელი ლექცია ვენერიული სენის გამომწვევ მიზეზების შესახებ. ექიმმა ნათლად გააცნო მუშკორებს ვენერიული სენის მავნებლობა და აღნიშნა, რომ ამ სენის გამომწვევი მთავარი წყარო, ეს არის პროსტიტუცია, რომლის წინააღმდეგ ამჟამად სასტიკი ბრძოლა სწარმოებს, მუშკორებმა და პრესამ ხელი უნდა შეუწყონ ამ ბრძოლას და გაადვილონ კაცობრიობის ამ სოციალური სენისაგან განკურნება. ვენეროლოგები ამ მხრივ გაცხოველებულ მუშაობას აწარმოებენ. არც ერთი ხელისუფლების დროს ვენეროლოგებს არ ჰქონიათ მუშაობის ისეთი პირობები, როგორიც აქვთ დღეს; წინედ ვენეროლოგებს მასხარად იგდებდნენ, დღეს კი მათ ყველაზე მეტ ყურადღებას აქცევენ მაგრამ ეს არ კმარა. ვენეროლოგების მუშაობა უმთავრესად ვენერიულის სენით ავადმყოფების მკურნალობაში გამოიხატება. კერძოდ პროსტიტუციის წინააღმდეგ ბრძოლაში კი დიდი მნიშვნელობა აქვს მუშკორთა ორგანიზაციებს.

მუშკორებმა რამოდენიმე შეკითხვა მისცეს ექიმს, რომელმაც ყველას დამაკმაყოფილებელი პასუხი გასცა.

უნდა აღინიშნოს, რომ როგორც ექ. დისამიძის ცნობებიდან ჩანს საავადმყოფო ოდნავადაც ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილებას. საჭიროა საავადმყოფოს გაფართოება და საწოლების რიცხვის მომატება. თბილისის აღმასკომმა და ჯანმრთელობის სათანადო ორგანოებმა დროზე უნდა მიიღონ ზომები საავადმყოფოს ახალ უფრო შესაფერ შენობაში გადასატანად.

კინო.

—:—

კონკურსი საუკეთესო შეგირდზე

(კალინინის სახ. ქარხანა)

ამხ. კალინინის სახელობის სამექანიკო ქარხანაში, ყველა საამქროდან არჩეულ დახელოვნებულ ოსტატებიდან შესდგა საკონკურსო კომისია. კომისიამ განიხილა და შეამოწმა შეგირდების ნაწარმოები. განხილვის დროს აღმოჩნდა, რომ შეგირდების ნაწარმოების ხარისხი საგრძნობლად გაუმჯობესებულია. მაგრამ ამ კომისიის დასკვნით ჯილდო მიეცა მხოლოდ შვიდ მოწაფეს.

ჯილდო განაწილებული იქნა შემდეგნაირად: ავაკოვს, სარქისოვს ბანდარენკოს და ბალოიანს მიემატა თითო თანრიგი, ბაბაიანს და პოლოსოვს თანრიგიც მოემატა და სახუქარიც მიეცათ. კომისიის გადაწყვეტილებას ადმინისტრაცია სიამოვნებით შეხვდა.

უნდა ითქვას, რომ ასეთი კონკურსები ახალისებს შეგირდებს და მატებს ენერგიას შემდეგი მუშაობის გასაცხოველებლად, ამიტომ ასეთი კონკურსები რაც შეიძლება ხშირად უნდა ეწყობოდეს.

შაქრო ნავთლუღელი.

რას მივაწეროთ

(გორი)

მიმდინარე წლის 26 მაისს, გორის შრომის სასამართლოში ირჩეოდა შრომის საქმე წითელი ჯვრის გორის საავადმყოფოს 33 მუშა-მოსამსახურეებისა. აღნიშნულ დაწესებულებაში, ადმინისტრაციამ თანამშრომლები ამუშავა ზედმეტად. არ დაემორჩილა შრომის ინსპექტორის დადგენილებას ზედმეტი მუშაობის დაუშვებლობის შესახებ და არც გადაუხდია გასამრჯელო. ამაზე მუშა - მოსამსახურეებმა აღძრეს საჩივარი. ადმინისტრაცია პასუხისგებაში იქნა მიცემული შრომის კანონების დარღვევისათვის. ადმინისტრაციამ აგრეთვე უკანონოდ დაითხოვა სამსახურიდან მოწყალებას და წულაია, რომელიც გადაეცა აგრეთვე სასამართლოს.

სასამართლომ პირველად ვერ გამოარკვია საკითხი — შეიძლებოდა თუ არა პასუხი ეგო ადმინისტრაციას ამ დაწესებულებაში, სადაც ოცდაათზე მეტი მუშა - მოსამსახურეა. ამიტომ პირველად საქმე გადაიდო. მეორედ, როდესაც წ. ჯვრის ც. კომიტეტის წარმომადგენელმა უარი განაცხადა პასუხისგებაზე, ადგილობრივი ადმინისტრაცია იქნა მიცემული პასუხისგებაში და საქმეს მსვლელობა მიეცა. მიუხედავად ამისა სასამართლომ საქმე მაინც ვერ გაარჩია. ერთმა მსაჯულთაგანმა ოფიციალური პროტესტიც დაურთო საქმეს, რადგან მუშა - მოსამსახურეებს უარს ეუბნებოდნენ სამართლიან ძიებაზე.

ამ საქმეზედ შეტანილი იქნა კასაცია 29 მაისს, სასამართლოს კი საქმეები დღესაც არ გადაუგზავნია. როდესაც მომჩივანი მოწყალება და, წულაია მივიდა საქმის საკითხავად, მდივანმა უპასუხა: „საქმეს ვერ გადავგზავნი, ვინაიდან მოსამართლე ხელს არ მიწერს"-ო.

აღსანიშნავია ის, რომ საავადმყოფოს ადმინისტრატორი აშინებს ადგილკომს და მუშა - მოსამსახურეებს: „საქმე გამოიტანეთ უკან თორემ მე თქვენ გიჩვენებთ სეირსო".

შეიძლება ადგილკომი და მუშები შეუშინდნენ საავადმყოფოს ადმინისტრატორის ელიოზიშვილს (რას იზამთ „დიდი" კაცია), მაგრამ ნუ თუ სასამართლოსაც ეშინია, რომ შრომის საქმეს, რომელიც ორ თვეზე მეტია განსახილველი, არ გზავნის კასაციაში. რას მივაწეროთ სასამართლოს ასეთი საქციელი? დაუდევრობას თუ ვისიმე გავლენას? საჭიროა ამ საკითხს სერიოზული ყურადღება მიაქციოს იუსტიციის სახკომმა და რესპუბლიკის შრომის პროკურორმა.

მაყურებელი.

—:—

მუშკორთა წერილებიდან

სახლი ინგრევა. აკოფ-აკოფიანის ქ. სახლი № 10 ინგრევა. სახლის პატრონი მოქ. საკაიანი, არავითარ ყურადღებას არ აქცევს სახლს. ამ ნიადაგზე თბ. აღმასკომმა ერთხელ პასუხისგებაშიც მისცა სახლის პატრონი, მაგრამ სახლს მაინც არაფერი ეშველა.

ფ. იქაური.

დაეხმარეთ. თბილისი ცენტრალური ტელეგრაფის თანამშრომელი ამხ. ნ. ნონიკაშვილი აუტანელ მდგომარეობაშია. იგი ჭლექით არის დაავადებული და განიცდის უკიდურეს გაჭირვებას. კავშირო, დაეხმარე კავშირის წევრ, ნონიკაშვილს და გაგზავნე იგი სანატორიუმში.

ლეხაურელი.

ვისთვის გინდათ საზაფხულო კლუბი. აღმშენებელთა კლუბის გამგეობამ, საზაფხულო კლუბი გახსნა პლეხანოვის პროსპექტზე, სადაც ავლაბარში მცხოვრები მუშები ძალიან იშვიათად ხვდებიან. აღმშენებელთა კავშირო, ვისთვის გინდათ საზაფხულო კლუბი პლეხანოვის პროსპექტზე?

კლუბის წევრი.

ბრძოლა წერა-კითხვის უცოდინარობასთან

პოლიტგანათლების მთავარმმართველობა შეუდგა მოსამზადებელ მუშაობას მომავალ წლიდან წ.-კითხვის უცოდინარობის წინააღმდეგ ბრძოლის გასაძლიერებლად.

ამ მიზნით პოლიტგანათლების მთავარმმართველობამ შეისწავლა გასულ წელში წ.-კ. უცოდინარობასთან ჩატარებულ ბრძოლის შედეგები. შემჩნეულ დეფექტების მომავალში გამოსასწორებლად მუშავდება შესაფერი ღონისძიებები.

წ.-კ. უცოდინარობასთან ბრძოლის გაძლიერების მიზნით შრომის სკოლების მასწავლებელთა გადასამზადებელ კურსებზე შემოღებული იქნება წ.-კ. უცოდინარობასთან ბრძოლის მეთოდიური კურსები.

პოლიტგანათლების მთავარმმართველობა ამჟამად გამოსაცემად ამზადებს წ.-კ. უცოდინარობასთან ბრძოლის სახელმძღვანელოებს.

მომავალ წლიდან განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა წ.-კ. უცოდინარობის ლიკვიდაციის მოჯამაგირეთა შორის.

წ.-კ. უცოდინარობასთან ბრძოლის კამპანია დაიწყება 1 ოქტომბრიდან.

თბილ. სის საბჭოს მასიური მუშაობის გამოცოცხლებისათვის

საბჭოს მასიური მუშაობა პირველ ყოვლისა დამოკიდებულია სექციების საქმიანობაზე. ამიტომაც მასიური მუშაობის გამოცოცხლების აუცილებელი წინასწარი პირობაა სექციების გამოცოცხლება და მათი სათანადო სიმაღლეზე დაყენება.

ვერ ვიტყვით, რომ თბილისის საბჭოს სექციები ცუდათ მუშაობდენ, მიუხედავად მრავალი დაბრკოლებისა სექციების მუშაობა საკმაოდ ნაყოფიერი იყო და დღესაც ცხოვლად მიმდინარეობს. ეს დამტკიცდა ამ წლის აპრილში ჩატარებული კონკურსის დროს, ეს აღიარა ჩვენი საბჭოს დელეგაციამ საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქების საბჭოების მუშაობასთან გაცნობის შემდეგ. მართალია დიდი მიღწევები აქვს მოსკოვ-ლენინგრადის და ბაქო როსტოვის საბჭოების სექციებს, ჩვენ კიდევ ბევრი რამ უნდა ვისწავლოთ მათგან, მაგრამ შეიძლება თამამად ითქვას, რომ არც ჩვენი სექციები არიან დიდათ ჩამორჩენილი.

მიუხედავად „ახალგაზრდობისა", ჩვენს სექციებსაც ეტყობა წინსვლა, მათაც აქვთ ზოგიერთი მიღწევა. მაგრამ ცხადია, მარტო მიღწეულ წარმატებით დაკმაყოფილება შეუძლებელია. სექციების მასიური მუშაობა კიდევ უფრო უნდა გაცხოველდეს და გაღრმავდეს. ამას კი ხელს უშლის სხვადასხვა ნაკლი.

ძირითადი ნაკლულოვანება იმაში მდგომარეობს, რომ სექციების ზოგიერთი წევრები გულგრილად ეპყრობიან მუშაობას და სრულ პასივობას იჩენენ. ამგვარ მოვლენას ვერ შეხვდებით საკავშირო რესპუბლიკის სხვა ქალაქებში. აუცილებლად დროზედ უნდა იქნეს მიღებული ზომები ამ ფრიად სერიოზული ნაკლის გამოსასწორებლად.

მეორე ნაკლი, რომელიც აფერხებს სექციების მუშაობას, არის სამეურნეო და სხვა დაწესებულებათა სათავეში მდგომ ამხანაგების უყურადღებობა სექციებს და მათი ბიუროების საქმიანობისადმი.

აღმასკომის განყოფილების ხელმძღვანელი ამხანაგები არ ესწრებიან ბიუროების სხდომებს და საერთოდ ნაკლებად უწევენ ანგარიშს სექციების მუშაობას.

ასეთი მიდგომა დაუშვებელია. განყოფილების ხელმძღვანელი ითვლება საბჭოს წევრად, არის სექციის წევრი, ის აუცილებლად უნდა შედიოდეს ბიუროს შემადგენლობაშიც, ესწრებოდეს ბიუროს ყველა სხდომას და ატარებდეს ცხოვრებაში მის დადგენილებებს. ყოველი საკამათო საკითხი,— რომელიც წამოიჭრება განყ. ხელმძღვანელსა და სექციის ბიუროს შორის, უნდა გადაჭრას აღმასკომის პრეზიდიუმმა.

მესამე ხელის შემშლელი მოვლენა იყო ის გარემოება, რომ სექციას არ ჰყავდა განთავისუფლებული ხელმძღვანელი და არც მდივანი. სექციას ან ბიუროს გამოქონდა დადგენილებები, მაგრამ არავინ იყო ამ დადგენილებათა სისწორით შესრულების თვალყურის მდევნელი. რასაკვირველია მუშაკების არ ყოლას თან სდევდა მრავალი შეცდომა და საქმის გაჭიანურება. დღესდღეობით ეს მდგომარეობა გაუმჯობესებულია, სექციებს უკვე აქვს საკუთარი აპარატი, რომელსაც შეუძლია ბევრი რამ გააკეთოს მასიურ მუშაობის გაცხოველების საქმეში.

საჭიროა აღვნიშნოთ კიდევ ერთი საყურადღებო ნაკლი: დეპუტატებს არჩევნების დროს ეძლევათ სხვადასხვა დავალება— ნაკაზი. ამ ნაკაზების შესრულებას დღემდე ძლიერ მცირე ყურადღება ექცევა, ბევრი ხელმძღვანელი ამხანაგი არც კი იცნობს ნაკაზის შინაარსს, მაშინ როდესაც მის პირდაპირ მოვალეობას შეადგენს ამომრჩეველთა დავალებების განხორციელება.

ნურავინ იფიქრებს, რომ ნაკაზებში მოთხოვნილია რამე ისეთი, რაც აღემატება ჩვენს შესაძლებლობას. არა. მუშები მოთხოვნილებათა წამოყენების დროს ყოველთვის უწევენ ანგარიშს არსებულ პირობებსა და საბიუჯეტო საშუალებებს. ნაკაზების უდიდესი ნაწილის შესრულება დღევანდელი ბიუჯეტის ფარგლებშიაც არის შესაძლებელი, საჭიროა მხოლოდ მეტი ყურადღება მიექცეს ამ საქმეს სექციებისა და მთლიანად საბჭოს მხრივ.

ხ. დოლიძე.

ლატარია უმწეო ბავშვთა სასარგებლოდ

საქართველოს ცაკთან არსებულ უმწეო ბავშვთა დამხმარე კომისია უმწეო ბავშვთა დახმარების ფონდის გასაძლიერებლად აწყობს დიდ ლატარიას.

ლატარიაში გასათამაშებლად სხვადასხვა ორგანიზაციებმა და კომისარიატებმა კომისიას შესწირეს სხვადასხვა ნივთები.

ლატარიაში გასათამაშებლად სოცუზრუნველყოფის კომისარიატმა კომისიას გადასცა სუფრის და ჩაის ვერცხლის სერვიზი, ბუფეტის შკაფი, და სხ. ნივთები ღირებული 4.000 მანეთად.

კომისიას საკურორტო სამმართველომ ლატარიაში გასათამაშებლად გადასცა 1000 მანეთის ნივთები.

უმწეო ბავშვთა დამხმარე კომისიის ცნობით, ლატარიის ბილეთები უკვე განაწილებულია თბილისში ყველა წარმოება-დაწესებულებათა ადგილკომებს შორის, ხოლო მაზრებში განათლების განყოფილებებს შორის. ბილეთების გავრცელება წარმატებით მიმდინარეობს.

ა.-კ. სახკომსაბჭოში

ვალის გადახდა

იმ ორგანიზაციებს, რომლებმაც გასულ ზამთარში საკვების უქონლობის გამო ისესხეს თივა კავკასიის წითელ დროშოსან არმიისაგან, ა. კ. სახ. კომისართა საბჭომ წინადადება მისცა გადაუხადონ ვალი აღნიშნულ არმიას.

მატყლის დამზადება

ა.-კ. სახ. კომისართა საბჭომ წინადადება მისცა აზერბეიჯანის და სომხეთის მატყლის დამამზადებელ ორგანიზაციებს არ შეიძინონ მატყლი საქართველოს მეცხვარეთაგან, რომლებიც ვალდებული არიან მთელი დამზადებული მატყლი ჩააბარონ თავის კავშირს. (ბორჩალო, მწყემსი და თერგის ხევი) ა. კ. ვაჭრობის კომისარიატს დაევალა თვალყური ადევნოს ამ დადგენილების შესრულებას.

35.000 მან. ავანსი „უკრვოზდუხ. პუტ"-ს

ა. კ. სახკომსაბჭომ დაადგინა ბაქოს ჰაეროდრომზე ანგარის შენობის დასამთავრებლად მისცეს „უკრვოზდუხპუტ"-ს ავანსი 35.000 მან. რაოდენობით.

შრომისა და თავდაცვის საბჭოს კომისიის ჩამოსვლა

გუშინ, თბილისში ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის შრომისა და თავდაცვის საბჭოს სავეტერინარო კომისია, რომელშიაც შედიან სავეტერინარო კომიტეტის წევრი დოც. დ. ურუსოვი, თავდაცვის საბჭოსთან არსებული სავეტერინარო განათლების კომიტეტის წარმომადგენელი და სავეტერინარო საქმეთა კონსულტანტი ე. ლუკინი.

კომისიის ჩამოსვლის მიზანს შეადგენს სავეტერინარო საქმის მდგომარეობის გამოკვლევა ამიერ - კავკასიაში და თბილისში სავეტერინარო ინსტიტუტის გახსნის საკითხის შესწავლა.

კომისიას დავალებული აქვს თავისი მუშაობა დაასრულოს 10 დღეში.

ა.-კ. მებამბეობის კომიტეტის პლენუმი

12 ივლისს თბილისში დანიშნულია ა.-კ. მებამბეობის კომიტეტის გაფართოებული პლენუმი. პლენუმის დღის წესრიგი ასეთია:

მოხსენება 1927 — 28 წ. კამპანიის შედეგების და მომავალი წლის კამპანიის ძირითადი საკითხების შესახებ, ა.-კ. მებამბეობის კომიტეტის განყოფილებათა დირექტორების მოხსენებები გაზაფხულის თესვის კამპანიის შედეგების შესახებ, ა.-კ. მებამბეობის კომიტეტის სამრეწველო განყოფილების მოხსენება და რესპუბლიკანური განყოფილებების თანამოხსენებები ბამბის საწმენდ და ზეთსახდელ საპნის ქარხნების 1927—28 წ. მუშაობის შესახებ და მომავალი წლის მუშაობის გეგმა, სამრეწველო განყოფილების მოხსენება ა.-წ. მოსავლის რეალიზაციის გეგმისა, მოსავლის რეალიზაციის კამპანიის ფინანსიურ უზრუნველყოფისა და ა.-კ. მებამბეობის კომიტეტის მომავალი წლის კაპიტალური მშენებლობის გეგმების შესახებ, ა.-კ. მებამბეობის კომიტეტის სასოფლო - სამეურნეო და ეკონომიური განყოფილების მოხსენება 1928—29 წ. ნედლეულის ფასებისა და მებამბეობის კოოპერაციასთან ურთიერთობის შესახებ. სხვა მოხსენებები შეეხება აგრონომიულ ღონისძიებებს თესლის საქმეში, სასუქს, მავნებლებს და დაბალი მოსავლის მიზეზებს; ა.-კ. მებამბეობის კომიტეტის წლიური (1927—28 წ) ანგარიში, მებამბეობის ხუთწლიანი გეგმა ამიერ-კავკასიაში 1928 წ.-დან 1933 წლამდე და სხვ.

პოლიგრაფიულ წარმოებათა უფროსი მუშების კონფერენცია

კონფერენციის მეორე სხდომაზე გაიმართა კამათი მოსმენილ მოხსენებების ირგვლივ. კამათში მონაწილეობა მიიღეს: ამხ. შახნაზაროვმა (1-ლი სტამბა), ინოზემცევმა (1-ლი სტამბა), ფერაძემ (წითელი არმიის სტამბა), ნარჩემაშვილმა (მე-2 სტამბა), დარჩიამ (მეორე სტამბა), ვართანოვმა (მეექვსე სტამბა), ხარაზიანმა (პოლიგრაფტრესტის დირექტორი) დას ხვ.

ორატორები აღნიშნავდენ, რომ უფროს მუშებსა და დარჩენილ მუშებს შორის ურთიერთობა არანორმალურია. მუშები სათანადო სერიოზულობით არ ეკიდებიან უფროსი მუშების მითითებებს, რაც გავლენას ახდენს ნაწარმოების ხარისხზე. კორექტურას მუშები ნაკლებ ყურადღებას აქცევენ, რის გამო ნაწარმოების ხარისხი ხშირად ძალიან დაბალია. აღნიშნავდენ აგრეთვე, რომ ასაწყობი მასალა ხშირად სტამბაში გაუსწორებელი იგზავნება და შემდეგ ანაბეჭდში ასწორებენ, რაც ძლიერ ართულებს მუშაობას და სცემს შრომის ნაყოფიერებას.

ახალგაზრდათა წარმომადგენელმა განაცხადა, რომ უფროსი მუშები მოწაფეებს არ აქცევენ სათანადო ყურადღებას, არ უწევენ ხელმძღვანელობას და მოწაფეები თითქმის უყურადღებოთ არიან მიტოვებული. მომავალში საჭიროა, ამ გარემოებას მიექცეს მეტი ყურადღება და მიღებული იქნეს ზომები, რომ მოწაფეებმა განსაზღვრულ ვადაში მიიღონ სათანადო გაწრთობა.

ორატორები აღნიშნავდენ აგრეთვე, რომ საწარმოო თათბირების დადგენილებებს სამეურნეო ორგანიზაციები არ ეკიდებიან სათანადო სერიოზულობით და საჭიროთ მიაჩნიათ, რომ სერიოზული ყურადღება მიექცეს მუშების კვალიფიკაციის ამაღლებას და სხვ.

პრაქტიკულ ღონისძიებათა შესამუშავებლათ გამოყოფილი იქნა კომისია 9 კაცის შემადგენლობით.

სამთო-სამრეწველო სამუშაოები

რა კეთდება ტყიბულში

სამთო მრეწველობის ტრესტის ცნობით, ტყიბულში ამჟამად წარმატებით მიმდინარეობს მუშაობა აღმოსავლეთისა და დასავლეთის უბნებზე ახალი გვირაბების გასაყვანათ. აღმოსავლეთის უბანზე დაწყებული გვირაბის გაყვანა დასრულდება 2 კვირაში. ამ ვადისთვის გვირაბი მიაღწევს 1-ლ მდიდარ ფენამდე, სადაც ნახშირის მარაგი უდრის 70.000.000 ფუთს.

დასავლეთის უბანზე სამუშაოების დასრულება გადაწყვეტილია სექტემბერში. ამ უბანზე გვირაბით გახსნილი იქნება ფენა, რომელიც შეიცავს 180.000.000 ფუთ ქვანახშირის მარაგს.

ახალ მაღაროებში ჩატარებული იქნება ყველა ძნელ და მავნე სამუშაოების მექანიზაცია, მოეწყობა მძლავრი ვენტელიაცია, ნახშირის ცენტრალური სარეცხი ადგილი, ნახშირის დასატვირთავი მოედნები და სხვა.

ინფუზორიტის საფქვავი ქარხანა

ახალციხის მაზრაში ინფუზორიტის ბუდობებიან (სოფ. ქესათიბის მახლობლათ) დაწყებულია ინფუზორიტის საფქვავი ქარხნის მოწყობა. ქარხანა ყოველდღიურათ გადაამუშავებს 8.000 ფუთ მადანს.

ქარხნის აგება სულ ჯდება 20.000 მანეთი.

ბარიტის მადნეზე

ბარიტის მადნის სამუშაოებზე ამჟამად მუშაობს 206 მუშა. სწრაფი ტემპით მიმდინარეობს ბარიტის ახალი მაღაროების გათხრა გ. წ. „საბრეველას" უბანზე.

ყოველდღიურათ სწარმოებს 4.000 ფუთი მადნის ამოღება.

ლითოგრაფიული ქვა

ლითოგრაფიული ქვის ამოღება წელს მარტო ბლეთის რაიონში სწარმოებს. განზრახული იყო შესდგომოდენ ლითოგრაფიული ქვების დამუშავებას თიანეთის რაიონშიაც. მაგრამ ეს საქმე ჯერ-ჯერობით ბრკოლდება იმის გამო. რომ თიანეთის რაიონში კიდევ არ დასრულებულა ქვის ბუდობების საბოლოო გამოკვლევა.

ბლეთის რაიონში მიმდინარე ზაფხულის განმავლობაში სულ დამზადებული უნდა იქნეს 850-მდე ნორმალური ზომის ლითოგრაფიული ქვა.

დახმარება სეტყვისაგან დაზარალებულთ

სახელმწიფო დაზღვევის სამმართველო შეუდგა სეტყვისაგან ნათესებისათვის მიყენებული ზარალის აღრიცხვას თბილისის, სიღნაღის, თელავის და ბორჩალოს მაზრებში. აღრიცხვის დასრულების შემდეგ ნათესების მეპატრონეებს მიეცემა შესაფერი კომპენსაცია.

ჯერ-ჯერობით გამორკვეულია, რომ წელს სეტყვას დაუზარალებია: თბილისის მაზრაში — 6.500 დესეტინა, ბორჩალოს მაზრაში — 1.500 დესეტ. და სიღნაღ-თელავის მაზრებში 8.000-მდე დესეტინა ნათესები.

განათლების სახალხო კომისარიატში

განათლების სახალხო კომისარიატის კოლეგიამ თავის უკანასკნელ სხდომაზე განიხილა შემდეგი საკითხები.

1-ლი საკავშირო არქეოლოგიური ყრილობა

განათლების სახ. კომისარიატის კოლეგიამ წინადადება მისცა სამეცნიერო დაწესებულებათა მთავარმმართველობას სამეცნიერო მუშაკთა სექციასთან ერთად შეიმუშაოს წინასწარი მოსამზადებელი პროგრამა 1-ლ საკავშირო არქეოლოგიურ ყრილობაზე მონაწილეობის მისაღებათ. ყრილობა მოწვეული იქნება მომავალი წლის შემოდგომაზე.

კერძო გაკვეთილების შესახებ

კოლეგიამ მიიღო კერძო გაკვეთილების შესახებ წარმოდგენილი დებულება, რომლის ძალით კერძო პირთ ნება ეძლევათ აიყვანონ მოსწავლეები. დებულება დასამტკიცებლად წარედგინება სახ. კომისართა საბჭოს.

რესპუბლიკის სახალხო მხატვარი

კოლეგიამ დაადგინა აღძრას შუამდგომლობა სახ. კომისართა საბჭოს წინაშე, რათა მხატვარ გიგო გაბაშვილს მიენიჭოს რესპუბლიკის სახალხო მხატვრის სახელწოდება.

პენსია ჩიჩუას ქვრივს

კოლეგიამ დაადგინა დამსახურებულ სახალხო მასწავლებლის და ძველი ბოლშევიკის ა. ჩიჩუას ქვრივს დაენიშნოს მუდმივი პენსია.

საგეგმო კომისია

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების თანახმად, კოლეგიამ დაადგინა განათლების სახალხო კომისარიატთან დაარსებული იქნეს საგეგმო კომისია შემდეგი შემადგენლობით. ვ. იმედაძე (თავმჯდომარე), ნინო მახარაძე, ცხაკაია, გოგუაძე, თოხაძე, მდივანი, ნაცვლიშვილი, გეგენავა, ნ. მიწიშვილი; ს. ფანცხავა; ლლონტი, ვ. ბერიძე და ახვლედიანი.

საყოველთაო-სავალდებულო სწავლების გეგმა

კოლეგიამ მოიწონა აფხაზეთის განათლების სახალხო კომისარიატის მიერ წარმოდგენილი საყოველთაო-სავალდებულო სწავლების გეგმა. გეგმა წარედგინა სახელმწიფო საგეგმო კომისიას.

სწავლის ქირა

კოლეგიამ გამოყო კომისია ამხ. ქაცარავას თავმჯდომარეობით და ზაუტაშვილი და გეგენავას შემადგენლობით, რომელსაც დაევალა მომავალ სასწავლო წლისათვის შეიმუშაოს სასწავლო გადასახადის ახალი ცხრილი.

განათლების კომისარიატის დებულება

შესდგა კომისია ამხ. დ. კანდელაკის, მ. ორახელაშვილის და ა. მიქაძის შემადგენლობით რომელსაც დაევალა კომისარიატის სტრუქტურის შესაცვლელად შეიმუშაოს ახალი დებულება.

პედაგოგიურ პერსონალისათვის ჯამაგირების მიცემა წინდაწინ

კოლეგიამ დაადგინა მომავალ სასწავლო წლიდან გრძელვადიან შვებულებაში მიმავალ (არდადეგების) პედაგოგიურ პერსონალს ჯამაგირები მისცეს წინდაწინ.

ქუთაისი აღდგენილ უნდა იქნეს

„კომუნისტი"-ს კანტორაში შემოვიდა

თბილისის ქართულ პურის მცხობელთა კოოპ. ამხ-ბა „რაჭამ" შემოაქვს ქ. ქუთაისში ცეცხლისაგან დაზარალებულთა დასახმარებლათ ასი მანეთი და იწვევს: საქართველოს სარეწაო კოოპერაციის ცენტრ. კავშირს, კოოპ. ამხ-ბა „ავტო-ტრანსპორტ"-ს, კოოპ. ამხ-ბა „მოტორ"-ს, ავტოკოოპს, კოოპ. ამხ-ბა „იმერკას" და „ნემის".

—:—

ქუთაისის დაზარალებულთა სასარგებლოდ შემომაქვს ერთი მანეთი და ვიწვევ გივი და მზია გოგირიაშვილებს და კუკუნა ქურდულიას.

ოთარ ჯაფარიძე.

—:—

შემომაქვს მე-4 შრ. სკოლის მოწაფეთა შორის ქუთაისის დაზარალებულთა სასარგებლოდ შეგროვილი 10 მან. 27 კაპ.

ქ. თბ. მე-4 შრომის სკოლის გამგე
მ. ჯინორიძე.

—:—

თბილისის 1-ლი რაიონის მილიციის სამმართველოს შემოაქვს 35 მან. 40 კ. შეკრებილი აღნიშნულ რაიონის თანამშრომელთა შორის ქუთაისის დაზარალებულთა სასარგებლოდ.

—:—

ლამარა ელენტის გამოწვევით შემომაქვს ერთი მანეთი ქუთაისის ხანძრით დაზარალებულ ბავშვთა სასარგებლოთ და ვიწვევ: ზესტაფონიდან დარეჯან ზაქარეიშვილს, ლილი აბზიანიძეს, თამრიკო აბესაძეს, შოთა და მამია თელიებს, შოთა ფუტკარაძეს, მზია მაჭავარიანს, ფელიქს კომახიძეს და იონა მაღლაკელიძეს.

ჭუკუ აბაშიძე.

—:—

ინჟენერ ლ. ნ. დისამიძის გამოწვევით შემომაქვს ათი მანეთი ქუთაისის დაზარალებულთა სასარგებლოთ და ვიწვევ ინჟენერ სოლომონ მელიას.

ინჟენერი ნ. სუხიაშვილი.

—:—

ქუთაისში დაზარალებულთა სასარგებლოდ ტოლია ნადარეიშვილის გამოწვევით შემომაქვს 1 მანეთი.

ბაჩანა დემურია.

—:—

ლელიკო, ბიჭიკო და ნათელა გურულების გამოწვევით შემომაქვს 2 მან. და 50 კ. ქუთაისის დაზარალებულ ბავშვთა სასარგებლოთ და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: ლევან და ქეტუნა ფირცხალავებს, ნელი წერეთელს, ნელი ფალავას, გივი ბერიძეს, ოთარ იაშვილს და თამაზ თიკანაძეს.

ხათუთი წერეთელი.

—:—

წითელ ქალაქის პარტიულ კომიტეტს შემოაქვს ქუთაისის დაზარალებულთა სასარგებლოდ დადგმულ წარმოდგენის შემოსავალი 50 მანეთი.

—:—

ტყვიავის განათლების მუშაკთა კავშირის წევრებს შემოგვაქვს ქ. ქუთაისში დაზარალებულთა სასარგებლოთ ნახევარი დღის ხელფასი 15 მ. 11 კ. და ვიწვევთ ჩოხატაურის და მეჯვრისხევის განათლების მუშაკთა კავშირის წევრებს.

—:—

ქუთაისის დაზარალებულთა სასარგებლოთ შემომაქვს 1 მან. 83 კ. და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: ერმილე ბურჭულაძეს, პროკოფი ჯაფარიძეს, ვანო ხაფთასს, შალვა ქუტუბიძეს, იოსებ ჩხიკვიშვილს, აკაკი ნოზაძეს, და ნიკო პაპალაშვილს.

მ. ჩხიკვიშვილი.

—:—

რუსიკო ჩიქოვანის გამოწვევით შემომაქვს ერთი მანეთი და ვიწვევ: ნინიკო ჩხეიძეს, ბიჭიკო მარტინოვს, არიკო ფარმანიანცს, ხიდირს, არჩილ და გივი მორმანიშვილებს.

მარინე გაბაშვილი,

—:—

ლამარა კუკავას გამოწვევით შემომაქვს ერთი მანეთი ქუთაისში ხანძრისაგან დაზარალებულ ბავშვთა სასარგებლოდ და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: თინიკო, ჯანიკო და ბედუ სირიას, გულნარა და ნაზიკო ჭითანავას, ჩიტუნა ბიძნელიანს, ნუცა ჯალაღანიას და ბანდ ზედგაშვილს.

ლილი ნაჭყებია.

—:—

შემომაქვს ფოთის 9-წლედის მასწავლებელთა შორის შეგროვილი 32 მან. და 75 კაპ. ქუთაისის დაზარალებულთა სასარგებლოთ.

მინდობილობით ფოთის 9-წლედის გამგე
სევ. მუსერიძე.

—:—

ქუთაისის ხანძრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ შემომაქვს 11 მან. 55 კ., რომელიც შეგროვილია ჯუმათის თემის დილეგას ქალთა შორის და ვიწვევთ ჩოხატაურის, ლანჩხუთის, ბახვის და ზემოსურების სადელეგატო პუნქტებს.

დავალებით მარიამ კუკულაძე.

—:—

დათუნი მესხის გამოწვევით შემომაქვს 1 და ვიწვევ შემდეგ ამხ.: ბიჭუკა აბაშიძეს, (ზესტაფონიდან), კუკური კაპანაძეს, კოლია ხიდშვილს, და მელიტონ პატარიძეს.

ხაშა ოურეშიძე.

—:—

გიგზავნით ხუთ მანეთს და 46 კაპ. ქუთაისში ხანძრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ და ვიწვევთ: მაიდანის, მორაშის, ედიკარის კავშირის: ლაშის და ნიგოითის სოფლის ახალ. ზრუნპ-ს სკოლის პირველი ჯგუფის მოწაფეებს.

მარნის ხოფლის ახალგაზრდობის სკოლის (სენაკის მაზრა) პირველი ჯგუფის მოწაფეები.

—:—

შორაპნის საბ. ბაღის ბავშვების გამოწვევით ქუთაისის დაზარალებულთა სასარგებლოდ შემოგვაქვს ცხრა მანეთი და ვიწვევთ თბილისიდან მე-4 საბ. ბაღის, 1 და მე-2 საბავშვო კერის და სურამის და ასკანის საბავშვო ბაღის ბავშვებს.

ოზურგეთის საბავშვო ბაღის ბავშვები.

—:—

შემომაქვს ქუთაისში ხანძრისაგან დაზარალებულ მცხოვრებლების სასარგებლოდ 10 მ. 45 კაპ.

დუშეთის სასამართლო.

—:—

ქუთაისში ხანძრისაგან დაზარალებულ ბავშვთა სასარგებლოთ შემომაქვს ერთი მანეთი და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: გურჯაანიდან ოთარ ბეჟარაშვილს, აბაშიდან ნინიკო ვარეშვილს, და თბილისიდან ვახტანგ მახარაძეს.

ზეინაბ ჭუმბურიძე.

—:—

ტყიბულის საავადმყოფოს მუშა-მოსამსახურეების სახელით შემომაქვს 37 მან. 70 კ. ქუთაისის ხანძრისაგან დაზარალებულ მცხოვრებთა დასახმარებლათ და ვიწვევ მედსანშრომის ყველა ადგკომებს.

საავად. ადგკომი დავით გორჩაძე.

—:—

ამასთან ერთად გიგზავნით 40 მან. და 40 კ., რომელიც შეკრებილია ოზურგეთის მაზრის კახის თემში—ქუთაისის დასახმარებელ ფონდში ჩასარიცხავათ.

ოზურგეთის სამაზრო აღმასკომთან არსებულ ქუთაისის დამხმარე კომისიის მდივანი ნიკოლაიშვილი.

—:—

შემომაქვს ქუთაისის დაზარალებულთა სასარგებლოდ 149 მან. 71 კაპ., რომელიც შეკრებილია ოზურგეთის მაზრის თემებში: სუფსის თემში 58 მან. 85 კ., ჯურუყვეთის თემში —48 მან. 24 კ., და ჩიბათის თემში 42 მან. 62 კაპ.

ოზურგეთის სამაზრო აღმასკომთან არსებული ქუთაისის დამხმარე კომისია.

**გუშინ, „კომუნისტი"-ს კანტორაში შემოვიდა 529 მ. 18 კ.
სულ წინად შემოსულთან ერთად 20.280 მ. 53 კ.**

საქ. საგეგმო კომისიაში

მევენახეობის განვითარებისათვის

მიწადმოქმედების სახ. კომისარიატმა შუამდგომლობა აღძრა საქ. სახელმწიფო საგეგმო კომისიის წინაშე, რათა სახალხო მამულების ტრესტს მევენახეობისა და მეღვინეობის საჭიროებისათვის საბიუჯეტო წესით მიეცეს— 2.020.000 მანეთი და აგრეთვე გაუგრძელდეს ბანკების ვალების გადახდის ვადები.

საგეგმო კომისიამ საჭიროდ სცნო გადიდებულ იქნეს სახალხო მამულების ტრესტის საბრუნავი თანხები 1.359.000 მანეთით, რისთვისაც წინადადება მიეცეს საქართ. ფინანსთა სახ. კომისარიატს გამონახოს სათანადო საშუალებანი ამ ღონისძიებს 1928 — 29 წლის საბიუჯეტო წესით გასატარებლად. პრეზიდიუმმა მიიღო აგრეთვე დადგენილება, რომლის თანახმად, გრძელვადიანი სესხის ვადები სასოფლო - სამეურნეო ბანკის ხაზით ტრესტს უნდა გაუგრძელდეს ხუთ წლამდე.

მატყლის დამზადება

გაზაფხულის მატყლის დამზადების წარმატებით ჩასატარებლად საქ. სახელმწიფო საგეგმო კომისიამ საჭიროდ სცნო, აღიძრას შუამდგომლობა საკავშირო უმაღლეს ორგანოების წინაშე, რათა მატყლის რაიონები თავის დროზე მომარაგებულ იქნეს სამრეწველო საქონლით და პურით.

ქუთაისი

(ტელეფონით საკუთარი კორესპონდენტისაგან)

მუშების გაგზავნა სანატორიუმებში

ორი კვირის წინად მუშათა ჯგუფმა მუშგლეხინის ადგილობრივ რწმუნებულს მიმართა განცხადებით, რომელშიაც აღნიშნავს, რომ ქუთაისის დამზღვევ სალაროსთან არსებულ საკონტროლო კომისიის მიერ სანატორიუმებში გასაგზავნ მუშების შემადგენლობა სისწორით არ ნაწილდება. საამისოთ გამოყოფილი კომისია გაეცნო საქმეს და გამოარკვია, რომ ხსენებულ კომისიის მიერ დღემდე პირველ და მეორე რიგში გასაგზავნ და გაგზავნილ ავადმყოფთა შორის არც ერთი მუშა არაა. მუშგლეხინმა წინადადება მისცა დამზღვევ სალაროს დაუყოვნებლივ გადასინჯოს სიები და მტკიცეთ დაიცვას გასაგზავნ მუშათა პროპორცია.

წყალსადენი

ქუთაისის წყალსადენის გაყვანა დაჯდება 1.850 ათასი მანეთი. აქედან ადგილობრივ სახსრებიდან ქუთაისი გაიღებს 600 მანეთს, ხოლო დანარჩენი მიღებული იქნება გრძელვადიან სესხის სახით, ამ სესხიდან 700 ათასი მან. მიღებული იქნება 1928-29 საბიუჯეტო წლის განმავლობაში. მიმდინარე წელს წყალსადენის სამუშაოებზე დაიხარჯება 127.000 მანეთი. ოქტომბერში დაკვეთილი იქნება მილები და მანქანები. წყალსადენის გაყვანა უნდა მოთავდეს 1930 წლისათვის. წყალსადენის გაყვანასთან ერთად აწარმოებს საკანალიზაციო მუშაობა. ინჟ. თუმანიშვილს აღმასკომმა წინადადება მისცა ახლო მომავალში შეიმუშაოს და წარუდგინოს აღმასკომს კანალიზაციის პროექტი.

ხარჯების შემცირება 20 პროც.

შესწავლილი იქნა ქუთ. საბანკო, სახელმწიფო-სავაჭრო და კოოპერატიულ ორგანიზაციებში—თუ რამდენად იქნა იქ გატარებული დირექტივები ხარჯების 20 პროც. შემცირების შესახებ. აღმოჩნდა: „ტექსტილტორგში" ხარჯები შემცირდა 10 პროც., „მოსშვეიმაშინა"—13,50 პროც., კომუნალურ ბანკში—22,88 პროც.; საურთიერთო საზოგადოებაში—50 პროც.; სახელმწიფო ბანკში—5.6 პროც., ხოლო სახელგამში გადახარჯულია—12,64 პროც., ხე-ტყის საწყობში 6 პროც. და სამეურნეო ბანკში—13 პროც.

ახალი ქვე-განყოფილება

სამაზრო აღმასკომთან ჩამოყალიბდა მრეწველობის ქვეგანყოფილება ინჟ. გოგუმერელის ხელმძღვანელობით.

საკურორტო სეზონი შოვში

ოფიციალურად 1 ივლისს გაიხსნა საკურორტო სეზონი შოვში. კურორტი მშვენიერადაა მოწყობილი, მოაგარაკენი უზრუნველყოფილი არიან პურით და სურსათით. კურორტს ჭრავლად აწყდებიან ექსკურსანტები და ტურისტები. კვირაში ოთხჯერ მოდის ავტომობილები ქუთაისიდან. მოწყობილია გაზეთების რეგულიარული (ყოველდღე) მიწოდება.

გზების შეკეთება

კაპიტალურად შეკეთდა ბაღდათის გზატკეცილი და უკვე თავდება შეკეთება ზეკარაბასთუმანის გზატკეცილისა. 15 ივლისიდან დაიწყება საავტომობილო მიმოსვლა ქუთაისაბასთუმანს შორის, ზეკარის უღელტეხილით.

თავდასხმა

4 ივლისს ოსეთის სამხედრო გზაზე ეგრეთ წოდებულ „საირმეზე" (ჭრებალო - ალპანს შორის) ქუთაისიდან მიმავალ სამგზავრო ავტომობილს თავს დაესხა 3 ბოროტგამზრახველი. გაძარცვეს შოფერი და მგზავრები, წაიღეს 500 მანეთამდე. შემთხვევით გადარჩა გაძარცვას ჭრებალოდან მომავალი ფულიანი ფოსტა და გზატკეცილთა სამმართველოს ავტომობილი. გაძარცვის ალაგი ნახევარ საათში ალყაშემორტყმულ იქნა ჭრებალო - ლაილაშ-ალპანის მილიციის მიერ. ალყაშემორტყულმა მძარცველებმა 5 ივლისს დილით სცადეს გაპარვა ჭრებალოს ხიდით, მაგრამ ამათთან შეტაკების დროს ერთი მათგანი მოჰკლეს, ერთი დააპატიმრეს, ხოლო მესამემ გაპარვა მოასწრო. ამ უკანასკნელის აღმოსაჩენად მიღებულია სათანადო ზომები.

ბოროტმოქმედთა დაპატიმრება

ქუთაისის სამაზრო პროკურატურამ დააპატიმრა და პასუხისგებაში მისცა ბაღდათის საფოსტო კანტორის გამგე გ. მეავანაძე და ბაღდათის კოოპერატივის ხაზინადარი ღიბრაძე. მეავანაძეს გაფლანგული აქვს 3.500 მანეთი, ხოლო ღიბრაძე დაპატიმრებულია მეავანაძის დანაკლისის დასაფარავად კოოპერაციის სალაროდან 1.000 მანეთის გაცემის გამო.

გამოირკვა, რომ მფლანგველობას ზოგიერთ აქაურ დაწესებულებაში დიდი ხნიდან ქონია ადგილი, მაგრამ რევიზიას უჭირდა ამის აღმოჩენა, რადგან ზოგიერთ დაწესებულებათა წარმომადგენლები ყოველი ასეთი რევიზიის დროს თავის სალაროებიდან ფარავდენ იმ დაწესებულების დანაკლისს, სადაც რევიზია მიმდინარეობდა.

მუშკორთა და გლეხკორთა თათბირი

10 ივლისისათვის ბაღდათში მოწვეულია მუშკორთა და გლეხკორთა სარაიონო თათბირი.

ხანძრის შემდეგ

ხანძრის დროს გადამწვარ უბნის გაწმენდა დაიწყო ერთ თვეზე მეტია. ამჟამად გაწმენდილია ნახევარ უბანზე მეტი. უბნის გასაწმენდათ გადადებულია სულ 54.000 მანეთი.

დაზარალებულ მოსახლეობის ახალ უბანში (ქავჭავაძის ქუჩის ბოლოს) დასასახლებლად ჯერ-ჯერობით გადადებულია 350.000 მანეთი. ახალი უბნის პროექტის და ხარჯთაღრიცხვის შედგენა დამთავრდება ორ კვირაში.

დაზარალებულთა დამხმარე კომიტეტი კვებითი დახმარებას უწევს დაზარალებულთა ულარიბეს ნაწილს. 15 ივლისიდან კვებითი დახმარება მიეცემათ მხოლოდ ბავშვებს.

დაზარალებულთათვის ტანისაცმელის და საცვლების დამზადება დავალებული აქვს საქართველოს წითელ ჯვრის საზოგადოებას. ამჟამად დაზარალებულთათვის მზადდება აუცილებელი საოჯახო ავეჯი.

სახელმწიფო დაზღვევის სამმართველო შეუდგა დაზღვეულ სახლების დასაზღვევ თანხის მიცემას დაზარალებულთათვის. თანახმად დამხმარე კომიტეტის შუამდგომლობისა, სახ. დაზღვევის სამმართველო დახმარებას აძლევს იმ ღარიბ დაზარალებულთაც, რომლებსაც სახლები არ ჰქონიათ დაზღვეული.

ვინაიდან ის დარაბები, რომელშიაც მოთავსებული არიან დაზარალებულები მეტად საშიშია ცეცხლის და სანიტარიის მხრივ, კომიტეტმა გადასწყვიტა დაზარალებულთათვის ააგოს სპეციალური ბარაკები, სადაც ისინი მოთავსებული იქნებიან ახალ უბანში დასახლებამდე.

დაზარალებულთათვის მოწყობილია პაპიროსის ქაღალდის ფაბრიკა, რომელშიაც მუშაობს 70 დაზარალებული. 60 დაზარალებული მოწყობილია საგრენაჟო სადგურის სამუშაოებზე. გარდა ამისა 150 დაზარალებული მოწყობილია საზოგადოებრივ სამუშაოებზე.

ქრონიკა

როგორ ჩატარდა ინდუსტრიალიზაციის სესხის კამპანია

საკავშირო ფინანსთა სახალხო კომისარიატის წინადადების თანახმად, საქართველოს ფინანსთა სახალხო კომისარიატი შეუდგა ინდუსტრიალიზაციის სესხის ობლიგაციების გავრცელების და სესხის კამპანიის საანკეტო გამოკვლევას.

საანკეტო გამოკვლევა ჩატარებული იქნება მსხვილ წარმოებებში. გამოკვლევის მიზანია სესხის კამპანიის ჩატარების უარყოფით მხარეების გამოაშკარავება და მათი თავიდან აცილება მომავალში.

მფრინავი მოდელების შეჯიბრება

კვირას, 8 ივლისს, დილის 10 საათზე, დიდუბეში იპოდრომის მახლობლად ეწყობა ავიათმფრინავთა მფრინავი მოდელების სრ. საქართველოს შეჯიბრება. საუკეთესო მოდელისტებისათვის დაწესებულია 8 ჯილდო. მათ შორის 4 ინსტრუქტორთა ჯგუფისათვის (წინად დაჯილდოებულ მოდელისტებისათვის) და 4 დანარჩენ ჯგუფისათვის. ჯილდოების საერთო ღირებულება უდრის 190 მანეთს.

შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებად მოწვეული არიან ქ. თბილისის ყველა მოდელისტები, თავდაცვა - ავიაქიმის უჯრედები და პიონერთა ორგანიზაციები.

გამომგონებლობის ხელისშემწყობი ბიურო

ს. მ. უ. ს. პრეზიდიუმმა დაამტკიცა გამომგონებლობის ხელისშემწყობი ბიუროს დებულება და სამუშაო პროგრამა. ბიუროს შემადგენლობა დამტკიცებულია შემდეგი სახით: ინჟ. **გედევანიშვილი** (თავმჯდომარე), ინჟ. ა. რუტკოვსკი (ახალშენებათა სამმართველოდან, მდივანი) და წევრებათ ამხ. **ს. გოდაბრელიძე** (საქ. პროფსაბჭო) და ინჟ. **ა. კვარცხავა** (ს. მ. უ. ს. ელექტროფიკაციის განყოფილებიდან).

ვენახების დაზღვევა

ვენახების დაზღვევის საქმე წელს შესამჩნევად ფართოვდება. შარშანდელი სეტყვით დაშინებულ გლეხებს მასიურად შემოაქვთ განცხადებები ვენახების დაზღვევის შესახებ.

წელს სეტყვამ ვენახები დაზიანა მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოში. სეტყვისაგან დაზარალებულია საშუალოთ ყველა ვენახების 20—30 პროცენტი.

განსაკუთრებით დიდია ზარალი თელავისა და სიღნაღის მაზრებში.

მშენებლობა ახალ-სენაკში

სახელმწიფო საგეგმო კომისიაში ახალ-სენაკის სამაზრო აღმასკომმა წარადგინა მომავალი წლის სამშენებლო სამუშაოების გეგმა.

ამ გეგმის მიხედვით ახალ-სენაკში გაყვანილი იქნება წყალსადენი, რაც დაჯდება 300.000 მანეთი. სასოფლო - სამეურნეო ტექნიკუმის შენობის დასამთავრებლად დაიხარჯება 77.000 მანეთი, ქალაქის კეთილმოსაწყობათ — 50.000 მ., 7 წლიან შრომის სკოლის ახალ შენობის აგებათ —51.000 მ., პედაგოგიურ ტექნიკუმების შენობის ასაშენებლად და მოსაწყობათ — 54.000 მანეთი.

თბილისის აღმასკომში

◆ **საუტილიზაციო ქარხანა.** თბ. აღმასკომმა დაადგინა ქალაქის სასაკლაოსთან მოაწყოს საუტილიზაციო ქარხანა.

◆ **ელექტროფიკაცია.** საგეგმო კომისიას დაევალა შეიმუშაოს თბ. მაზრის ელექტროფიკაციის გეგმა.

ჯანსახკომში

◆ **ახალი საავადმყოფო.** ჯანსახკომის ცნობით, ფოთში ამჟამად შენდება ახალი დიდი საავადმყოფო.

◆ **თვალის საექიმო რაზმები.** ჯანსახკომმა მაზრებში გაგზავნა თვალის საექიმო რაზმები, რომლებიც ულარიბეს გლეხებს უფასოთ გაუწევენ საექიმო დახმარებას.

სხვადასხვა

◆ **წყალდიდობისაგან დასაცავად** ფოთის აღმასკომმა დაამთავრა მდ. კაპარჭინის ნაპირების გამაგრება, რაზედაც დაიხარჯა 133.000 მანეთი.

◆ **საბჭოთა და სავაჭრო მუშაკთა** კავშირთან არსებულ მოანგარიშეობის ბიურომ ქართულ ენაზე გამოსცა „საანგარიშო მეცნიერებათა ტერმინოლოგია". წიგნი იყიდება ყველა წიგნის მაღაზიაში ღირს 40 კაპ.

◆ **პროლეტსტუდენტთა ბიუროში** დღეს, დღის 1 ს. შესდგება სტუდპროფორგანიზაციათა წარმომადგენლების გაფართოებული სხდომა.

◆ **დღეს, საღამო, 7 საათზე** განათლების მუშაკთა სახლში (ფურცელაძის ქ. № 3) პროფ. **ჩუბინიშვილი** წაიკითხავს მოხსენებას თავის საზღვარ-გარეთ სამეცნიერო მივლინების შესახებ. შესვლა უფასოა.

ხელოვნების ქრონიკა

◆ **მუშათა ახალ კლუბში** 9 ივლისს კოოპერაციის საერთაშორისო დღის აღსანიშნავად გაიმართება დიდი საღამო.

◆ **პიროგოვის კონცერტი.** 8 ივლისს რუსთაველის, თეატრში გაიმართება პიროგოვის უკანასკნელი კონცერტი.

◆ **ახალი თეატრი.** თბილისში არსდება ახალგაზრდა მუშათა თეატრი.

შემთხვევები

გაქურდეს მოქ. ნ. ჰალაურის ბინა (ნაფარეულის ქუჩაზე). წაიღეს 45 მან. ფულათ და 215 მან. ნივთები.

5 ივლისს გაქურდეს მოქ. პლ. შაშანაშვილის ბინა (კლ. ცეტკინის ქუჩ. № 59). მოპარულია 28 მან. ფულათ და 120 მანეთი ნივთები.

ბოქლომის გატეხის საშუალებით გაქურდეს საქართველოს რადიო-მოყვარულთა საზოგადოების ლაბორატორია.

მოქალაქე შალვა ღენტორის ძე აბაშიძეს ტრამვაიში ჯდომის დროს ჯიბიდან ამოაცალეს 25 მან. ფულად და საბუთები.

ჭადრაკი

ა.-კ. მოჭადრაკეთა პირველი ჩემპიონატი

მეთერთმეტე ტური

სოროკინი — ილინ-ჟენევსკი. დებიუტში მდგომარეობა თანაბრად ვითარდებოდა. შემდეგში სოროკინმა უდროოდ წასწია პაიკი ცენტრში და მოწინააღმდეგეს მისცა ერთგვარი უპირატესობა, მაგრამ ჟენევსკიმ ვერ გამოიყენა თეთრების მიერ გაკეთებული სუსტი სვლა. ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ პარტია დამთავრდა ყაიმით.

მაკაგონოვი — მატეოსიანი. (ლაზიერის პაიკების დებიუტი), მატეოსიანმა კარგათ გაითამაშა დებიუტი. მისი განვითარებისათვის შემდეგში უნდა ეთამაშა ლაზიერის ფლანგზე მაგრამ დაუშვა შეცდომა, ფრონტი გადაიტანა მეფის ფლანგზე, დაჰკარგა ლაზიერი და პარტია წააგო.

გოგლიძე — კარჩიკიანი. (ინგლისური), მე-15-ტე სვლაზე გოგლიძემ მოიგო ხარისხი. კარჩიკიანს მოუსპო შეტევაზე გადასვლის ყოველგვარი შესაძლებლობა და პარტია მოიგო.

სმოროდსკი — ავეტისოვი. (ლაზიერის პაიკების დებიუტი), მეტად საინტერესოთ მიმდინარეობდა ეს პარტია. დებიუტში სმოროდსკიმ წააგო პაიკი, მაგრამ მალე გაიუმჯობესა მდგომარეობა, მოახერხა შეტევაზე გადასვლა და აიძულა მოწინააღმდეგე დანებებულიყო.

აბრამიანი—ტოტევიანი. ტოტევიანს უკეთესი პარტია ჰქონდა, მაგრამ შემდეგ მოულოდნელად წააგო.

ბადაი — როსტოვცევი. ბადაიმ შეცდომით დაუდო მოწინააღმდეგეს ეტლი, დაჰკარგა ფიგურა და უიმედო ბრძოლის შემდეგ დანებდა როსტოვცევს.

იმენიტოვი — მალუნცევი (სიცილიური). მალუნცევის სუსტი თამაშის წყალობით იმენიტოვმა მალე მოიპოვა უპირატესობა ორი ზედმეტი რუკის სახით, დაცულ მეფეზე იერიშების მიტანამ პარტია გადასწყვიტა იმენიტოვის სასარგებლოდ.

ებრალიძე — ტალვიკი. ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ მოწინააღმდეგენი შეთანხმდენ პარტიის ყაიმით დამთავრებაზე.

მეთერთმეტე ტურის შემდეგ მდგომარეობა ასეთია: **ილინ-ჟენევსკი** და **მაკაგონოვი** + 9, **გოგლიძე** + 8 ნახ., **ებრალიძე** + 7, **სმოროდსკი** და **აბრამიანი** + 6 ნახ. და თითო დაუმთავრებელი, **როსტოვცევი** +6 ნახ. **ტალვიკი** და **ბადაი** + 4 ნახ. და ორი დაუმთავრებელი, **ავეტისოვი** + 4 ნახ. და ერთი დაუმთავრებელი, **მალუნცევი** + 4 ნახ., **სოროკინი** + 4 და ერთი დაუმთავრებელი. **იმენიტოვი** + 2 ნახ. და ერთი დაუმთავრებელი, **კარჩიკიანი** + 2 ნახ. **მატეოსიანი** + 2 და ორი დაუმთავრებელი, **ტოტევიანი** + 1.

მეცამეტე ტური

დღეს, 7 ივლისს ჩემპიონატის მონაწილეთა დასასვენებელი დღეა, თამაში არ იწარმოებს.

ჩემპიონატის მეცამეტე ტური შესდგება კვირას, 8 ივლისს, საღამოს 6 საათზე. თამაშობენ: **როსტოვცევი — ავეტისოვი**, ტალვიკი — კარჩიკიანი, სმოროდსკი — მატეოსიანი, **მაკაგონოვი — ილინ-ჟენევსკი**, მალუნცევი — ტოტევიანი, სოროკინი — იმენიტოვი, ებრალიძე — ბადაი, გოგლიძე — აბრამიანი.

ვ. გოგლიძე.

სასამართლო

ნინას „რაზმი"

პირველ ხანებში ნინას რაზმი მცირერიცხოვანი იყო, მაგრამ მიუხედავად ამისა საკმაოდ საგრძნობ კვალს აჩენდა სოფელ ვარციხის (ქუთაისის მაზრა) გლეხების ნივთიერ მდგომარეობას.

რაზმში შედიოდა თითონ **ნინა ინაკავაძე** და უკანასკნელის ძმები **ვარლამი** და **გიორგი.**

რაზმი მუსრს ავლებდა ინდაურებს, ბატებს, ქათმებს, ღორებს, ცხვრებს, თხებს, არ ინდობდა მსხვილ-ფეხა საქონელსაც.

რამდენად უფრო იზრდებოდა ქურდების რაზმი, იმდენადვე ფართოვდებოდა მისი „ამოცანები", ასე რომ მალე ცხენების გაპარვაზე გადავიდენ ნინას რაზმელები. თოფ-იარაღიც აისხეს.

გასული წლის აგვისტოში ნინა ინაკავაძემ ახალი ძალები შემატა თავის რაზმს და მოხდა ეს ასე.

სოფელ ვარციხეში ნინას ღირსეული „მიჯნური" ჰყავდა. ეს გახლდათ **ალექსანდრე მახათაძე.** მახათაძეს სტუმრად ეწვიენ მახლობელ სოფლიდან (ინაშაურიდან) **კონსტანტინე და კალისტრატე ჯაჯანიძეები.** ჯაჯანიძეებმა „მარიობა" მიულოცეს ჯერ „სიძეს, თვალის სინათლეს" **ხარიტონ მახათაძეს** და შემდეგ მისი ძმა ალექსანდრეც არ დასტოვეს „ზულნატკენი".

ალექსანდრე მახათაძის სუფრას, როგორც ყოველთვის, ამშვენებდა მისი „დამდაგველი" ნინა, რომელსაც პატივი უნდა ეცა სტუმრებსათვის.

ჯაჯანიძეები მოაჯადოვა ნინამ და ხაპატივცემულოთ ორთავეს ლელში დაუნიშნა პაემანი.

და როდესაც ლელიდან მობრუნდებოდენ ნინა და ჯაჯანიძეები, ასეთი საუბარი ჩამოუგდო ნინამ „ნაპურ-მარილევ" სტუმრებს.

— თქვენისთანა ვაჟკაცები, უფრო მდიდრად უნდა ცხოვრობდენ. მე ძმები მყავს, რომლებიც თქვენსავით ვაჟკაცები არიან, იარაღიც აქვთ და გულადი ხალხიც არიან. შემხანაგდით მოაწყვეთ თავდასხმები, მეც ხელს შეგიწყობთ..

ჯაჯანიძეებმა ნინას წინადადება მიიღეს ცნობად და საბოლოო პასუხისათვის დრო დაუნიშნეს.

სექტემბერი იყო. კონსტანტინე და კალისტრატე ჯაჯანიძეები უკვე ნინას ძმებს ეცნობოდენ, ნინა კი სუფრას აწყობდა სტუმრების შესაზარხოშებლად.

— რევოლვერები და ერთი დამბაჩა უკვე გვაქვს: დანარჩენს კიდევ შევიძენთ. თქვენ ფიქრი ნუ გაქვთ! ამხნევებენ ნინას ძმები შეზარხოშებულ ჯაჯანიძეებს.

— კაცი ვიყო, ქვეყანას გადავატრიალებ! ჩაუმატა წასაქეზებლად ნინამ.

გაიზარდა რაზმი. ჯაჯანიძეები თანახმა არიან. მათი სიძე ხარიტონ მახათაძეც მძარცველთა რაზმში ეწერება, „მიჯნური" ალექსანდრე სხვას ხომ არ ჩამორჩება!

შემუშავდა გეგმა. პირველად გაძარცული იქნება მოქ. **ივანე რიყამაძე,** რომელსაც თხილი და ყურძენი გაუყიდია და უსათუოდ ფული ექნება.

ნინა ნახშირს ნაყავს რაზმელების შესამურავად. **ამბროსი ბაბუაძეც** მიემატა რაზმს.

კარგა დაღამებული იყო, როცა მილიციელების ფორმაში გადაცმული მძარცველები გარს შემოერტყენ რიყამაძის სახლს.

— „ჩეკისტები ვართ! იარაღს დავეძებთ, კარი გააღე! —გაისმა ყაჩაღების ხმა.

ყაჩაღები შევარდენ სახლში. წააქციეს რიყამაძე. სცემეს. დაქრიენ მთელ ოჯახს, დაამტვრიეს ყველაფერი. სკივრში ამოაჩინეს 150 მანეთი, მაგრამ ეს თანხა ეცოტავათ. დასჩრეს, დაჩხეს ყველა ჰუთაქები და ბალიშები, რომლებშიაც ფული ეგულებოდათ. ვერაფერი ამოაჩინეს.

— ა, შენ ბერძალლო! შენ გექნება ოქროები შენახული!—მისცვივდნენ რიყამაძის მოხუცს დედას და დაუწყეს ცემა.

მოხუცმა გადმოუყარა საიდანღაც ვერცხლის ფულები. ყაჩაღებს კი ოქრო უნდათ.

დაიჭირეს პატარა ბავშვი და შესაშინებლად დანა დაუსვეს კისერზე.

ასტყდა გულშემზარავი ზრიალი. დაჩოქებული ევედრებიან ყაჩაღებს, ნუ მოგვკლავთ და ყველაფერი წაიღეთო.

მამა ფეხებს უკოცნის ყაჩაღებს და ევედრება მუხლმოდრეკით:

— მე მომკალით და ბავშვი დასტოვეთ ცოცხალი!

როგორც იქნა გათავდა წამება. ყაჩაღები დარწმუნდენ, რომ მეტი ფული აღარ იყო არსად, გავიდენ სამზარეულოში, გადათხარეს თოხით ყველაფერი, მაგრამ რაც არ იყო, რას ნახავდენ. წაიღეს ბანკით მურაბა, არაყი და წავიდენ.

ნადავლი იმ ღამესვე გაიყვეს ყაჩაღებმა.

გავიდა დრო. კონსტანტინე ჯაჯანიძემ, რომელსაც დავალებული ჰქონდა გასაძარცვავი პირის გამოძებნა, აცნობა „ნინას რაზმს," რომ ვასილ ბაჯაძეს ყურძენი გაუყიდია.

ნინამ თავის სახლში თავმოყრილი მძარცველებს თავისივე ხელით შეუკერა შავი სატინიდან ნიღაბები, თავის ძმას გიორგის საყელოზე გაუკეთა მილიციის უფროსის ნიშანი და სულ ყველანი სახლიდან გაისტუმრა.

ჩაქრა თუ არა სინათლე ბაჯაძისას ყაჩაღები გარს შემოერტყენ სახლს. მილიციის უფროსის ფორმაში გამოწყობილმა გიორგი ინაკავაძემ გააღებია კარები მასპინძელს.

მძარცველები შეცვივდენ სახლში. დაიწყო წამება. ბაჯაძეს აღმოაჩნდა ფულად 100 მანეთამდე, რითაც არ დაკმაყოფილდენ მძარცველები. შეუვარდენ ოთახში ქვრივ ბაჯაძის რძალს და მისი თანდასწრებით დაიწყეს ლაპარაკი მისი ბავშვის მოკვლის შესახებ.

ბაჯაძის ქალი ისტერიული კივილით ფეხ ქვეშ ჩაუვარდა გიორგი ინაკაძეს. გიორგიმ შიშისაგან სახე შეშლილი ქალი გაათრია მეორე ოთახში, შემოახია ტანზე ყველაფერი და გააუპატიურა. შემდეგ დაუძახა თავის ძმას, ვარლამს და „დაუთმო" ქალი.

მძარცველებმა გარდა ფულისა წაიღეს ტანსაცმელები, ოქროს ბეჭდები, დანა-ჩანგლები, კოვზები და სხვა.

ნადავლის გაყოფა ინაკავაძეების სახლში მოხდა. ერთი რგოლის ბეჭედი „ნიშანი ღრმა სიყვარულისა" ალექსანდრემ ნინას უძღვნა.

მძარცველების რაზმს ფართოდ უნდოდა განევითარებია ოპერაციები, მაგრამ რამდენიმე პირის დაპატიმრებამ ჩაშალა გეგმა.

ინაკავაძეები დაიჭირეს ვენახის ვაზების ქურდობაზე.

ამავე ხანებში ქურდობაზე დაიჭირეს ვინმე ნოე სვანიძე.

მათი საქმე უნდა გაერჩია ბაღდათის უბნის სასამართლოს.

ინაკავაძეების საქმე გადაიდო. სვანიძეს მიესაჯა ერთი წელი, პატიმრები ერთად გადმოგზავნეს ქუთაისში.

გზაში პატიმრებმა წინასწარი შეთანხმებით იარაღი აჰყარეს მხლებელ მილიციელს დოროლაშვილს, ჯერ ურტყეს თავში ქვები, შემდეგ კი მოჰკლეს წართმეულ თოფით და გაიქცენ ტყეში.

მალე მთელი ეს შაიკა სათითაოდ შეპყრობილ იქნა.

საქმის გამოძიება უკვე დამთავრდა. ყაჩაღების გასამართლება მოხდება **საჯაროთ** 21 ივლისს.

საქმეს გაარჩევს **ქუთაისის სამაზრო სასამართლოს** სესია ადგილობრივ.

ნაძირალები მიიღებენ ღირსეულ სასჯელს.

გერ.

ავტო-ტრანსპორტის ტარიფები

5 ივლისს საქართველოს ვაჭრობის სახ. კომისარიატში შესდგა თბილისის აღმასკომის სავაჭრო კომისიის, მუშკოოპის ადგ. ტრანსპორტის სამმართველოს, „ზაკავტოპრომტორგი"-ს, საბჭოთა სავაჭრო ფლოტის თბილისის განყოფილების, „ზაკპოგრუზი"-ს, ხლებოპროდუქტის და თბილისის ქალაქის სადგურის წარმომადგენელთა თათბირი, რომელმაც მოისმინა „ზაკავტოპრომტორგი"-ს წარმომადგენელ ამხ. ბეგთაბეგოვის მოხსენება ავტოტრანსპორტის არსებულ ტარიფების შესახებ. მოხსენებიდან გამოირკვა, რომ თბილისში არსებულ ავტოტრანსპორტის ცალცალკე ორგანიზაციები (რკინის გზის გარაჟი, „ზაკავტოპრომტორგი" და სხვადასხვა ავტოკოოპ. ამხ-ბები) სარგებლობენ სხვადასხვა ტარიფებით, რაც არანორმალურ მდგომარეობას ქმნის და აფერხებს მუშაობას.

თათბირმა გამოყო სპეციალური კომისია, რომელსაც დაევალა შეისწავლოს ორგანიზაციების აპარატის სტრუქტურა, ხარჯები და კალკულიაცია და ამის მიხედვით შეიმუშაოს დასკვნები საავტომობილო ტარიფების შესახებ.

ვის ჩამოერთმევა სახლები

ხოფით ვარლამოვას (ლენინის ქ. № 19), **მაისურაძეს** (მელიქიშვილის ქ. № 30), **ბარბალე აბაშიძეს** (მგალობლიშვილის და ტრიბუნალის ქ. № 4-5), **ივგორ მაისურაძეს** (ობოლაძის ქ. № 3), **ეკატერინე ბებუთოვას** (დუმბაძის ქ. № 9), **მარიამ ლოლობერიძეს** (პეტრიაშვილის ქ. № 7), **ლევან ვაჩნაძეს** (მელიქიშვილის ქ. № 26), **ნინა ჩიჩუას** (კერესელიძის ქ. № 6), **ნადირაშვილს** (წერეთლის ქ. № 8), **მიხეილ ხიმშიაშვილს** (ობოლაძის ქ. № 13), **გიორგი ხიმშიაშვილს** (არსენას ქ. № 4), **ჭუმბურიძის და კახიანს** (მალაკნის ქ. № 52), **ლომთათიძეს** (ორჯონიკიძის ქ. № 24), **გაბრიელიანს** (პეტროვის გასავალი № 20), **შულცს** (ყაზბეგის ქ. № 30), **შახბუდაგოვს** (ბატარეის ქ. № 28), **ჩიგუნავას** (ვეძინის გასავალი № 6), **მიხაილოვს** (პეტრიაშვილის ქ. №28), **ჩიტაძეს** (პეტრიაშვილის ქ. 39), **ლვინიაშვილს** (ორჯონიკიძის ქ. 20), **ბერეჟიანს** (ბატარეის ქ. № 52), **შაქაიძეს** (ბატარეის ქ., 22), **ხაჩატუროვას** (ვეძინის ქ. № 9), **ბეკ-ტოპჩიევს** (პეტროვის ჩიხი № 6), **ლექვინაძეს და დარჩიას** (პეტროვის ქ. 52), **ბაღდასაროვას** (გოგოლის ქ. № 56), **ფაინშტეინს** (ვერცხლის ქ. № 39), **კოხტიევს** (ჭონიშვილის ქ. № 13), **კრიგს** (გოგოლის ქ. № 66), **მარდანოვას** (ახოსპირელის ჩიხი № 8), **სუზანაჯიანს** (გოგოლის ქ. № 58), **ლაბაჩოვს** (გოგოლის ქ. № 40), **მოლა ალასკერ-ოღლის** (მირზოევის ქუჩა № 3), **ხარაზოვას** (სურფ-სარქისის ქუჩა № 47), **ზალეევებს** (მირზოევის ქ. № 7), **მამულაიშვილს** (ფომინის ქ. № 11), **ჩალაძეს და ზახარიევს** (სუპნიშანის ქ. № 12), **სააკიანს და გოპაძეს** (სუპნიშანის ქ. № 4), **კარაჯევას** (სუპნიშანის ქ. № 9), **მაჩოხინს** (გოგოლის ქ. № 14), **სტრელკოვს** (გოგოლის ქ. № 18), **ბეზრუჩკოს** (გუდაურის შეს. № 5), **დიასამიძეს** (ლენინის ქ. 4), **ჯაყელს** (რუსთაველის პრ., 35), **სარაჯიშვილს** (რუსთაველის პრ. 14), **წერეთელს** (არცრუნის ქ. № 24), **არღუთინსკაია-დოლგორუკოვას** (ცეტკინის ქ. № 53), **მესხს** (არცრუნის ქ. № 26), **ბენდუქიძეს** (პლეხანოვის პრ. № 97), **ბაბოვს** (ტრიბუნალის ქ. № 46), **გერშოვს** (რუსთაველის პრ. № 26), **არუთინოვს** (მესხიშვილის ქ. № 19), **ქურჩიშვილს** (აკიმოვის ქ. 1—16), **მჭედლიძეს და გოცაძეს** (ვერხარნის ქ. № 3), **გოკიელოვს** (არქივის შეს. № 18), **წიწოლაშვილს** (ფომინის ქ. № 32), **მამედ გაჯი-ბექირ-ოღლი** (ფაბრიკის შეს. № 10), **ანტონოვს** (ბაგრატიონის ქ. № 26), **ხალატოვს** (ფომინის ქ. № 33), **კარაპეტოვს** (ფომინის ქ. № 20), **კოკაიანცს და დავრიშოვს** (აქსტაფის ქ. № 5), **სულთანოვს** (სუმბათაშვილის ქ. № 9), **მამედ გასან-მონადზადე** (ფაბრიკის ჩიხი, № 2), **ქობელაშვილს** (ფომინის ქ. № 17), **სარქსოვს** (ყვირილის ქ. № 6), **ვახრამიშვილს** (არქივის შეს. № 4), **კაცუმშვილს** (არქივის ქ. № 13), **კასუმოვს** (ტუშინის ქ. № 6), **ასლამაზოვას** (ბრძანების ქ. № 6), **მეხაშიშვილს** (აკოევის ქ. № 13), **რაზინოვიჩს** (აკიმოვის ქ. № 9), **ველი-ზადეს** (ფაბრიკის ჩიხი № 5), **კაცობაშვილს** (ებრაელთა ჩიხი № 2), **შალამოვას** (არქივის შეს. № 10), **ჩიბუქჩიანცს** (მოგნინის ჩიხი № 7), **ასლამაზოვას** (აკიმოვის ქ. № 28), **მაჩკალოვას** (არქივის შეს. № 14), **სარქისოვს** (სოლომონის ქ. № 19), **გოგიჩაძეს** (ბრძანების ქ. № 9), **შაროევს** (ბრძანების ქ. № 7), **ხაზურძანიას** (ლენინის ქ. № 13), **გალაჩევს** (ბოჭორიშვილის ქ. № 11), **ზანდუკელს** (ლენინის ქ. № 11), **დათაკაშვილს** (სოლომონის ქ. № 9), **ახვერდოვებს და სხ.** (ვერცხლის ქ. № 27), **ჩატიანს** (ვერცხლის ქ. № 3), **ბახანაშვილს** (სომხის შეს. № 7), **ბათუაშვილს** (ვერცხლის ქ. № 33), **გაბრიელიანს** (ალავერდის შეს. № 10), **როსტომოვას** (კათოლიკის ქ. № 23), **ტაუმლერ** (გოგოლის ქ. № 62), **ნასიბოვას** (ბებელის ქ. № 6), **აივაზოვს** (ალავერდის შეს. 12), **მამათავრიშვილს** (კათოლიკის ქ. № 19), **ატოევას** (ბებელის ქ. № 7), **მამამთავრიშვილს** (კათოლიკის ქ. № 17-2), **ტერ-მიქაელიანს** (ლერმონტოვის ქ. № 4), **სარაჯევას** (ნარიმანის ქ. № 3), **ვართანოვას** (ლენინის ქ. № 43).

რადიო-გადაცემა

შაბათი, 7 ივლისი

დღეს, 7 ივლისს, თბილისის 4 კილოვატიან რადიო-სადგურიდან 1070 მეტრიან ტალღაზე გადაცემული იქნება:

საგლეხო რადიო-გაზეთი— ქართულ ენაზე

ჩვენი კოოპერაციის მიღწევა - ნაკლოვანებანი—მოხს. ქართულ, რუსულ, სომხურ და თურქულ ენებზე.

კონცერტი რადიო-სტუდიიდან.

ა.-კ. დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია რუსულ და ქართულ ენებზე.

კვირეული ცხრილის გადაცემა.

კონცერტის ტრანსლიაცია.

ნარევი

ქალაქი მიწის ქვეშ

ქ. ბუტელენის (უნგრეთი) ახლო არსებობს მიწისქვეშა ქალაქი. იგი წარმოიშვა 1838 წ., დიდი წყალდიდობის შემდეგ, რომელმაც დაანგრია მრავალი სახლები და აიძულა მცხოვრებლები ქვის გამოქვაბულებში ეძებნათ თავშესაფარი.

ამჟამად ამ მიწისქვეშა ქალაქში ცხოვრობს 1000-ზე მეტი კაცი. ისინი უმთავრესად სოკოების მოყვანას მისდევენ, რადგან სოკოების კულტურისათვის მიწისქვეშ ხელსაყრელი პირობები არსებობს. ნაკლებ ხელსაყრელი პირობებია გამოქვაბულში მცხოვრებ ხალხისათვის, რასაც ამტკიცებს ბავშვთა სიკვდილიანობის დიდი პროცენტი.

ნეკროლოგი კატაზე

ამერიკულ „სტარ მიუს"-ში მოთავსებულია ასეთი ნეკროლოგი:

„ტომ ტიპლსის ხსოვნას"

მოვიდა ჩვენს ცოდვილ დედამიწაზე 1913 წ. 28 აპრილს.

საუკუნოთ განისვენა 1927 წ. 20 სექტემბერს.

განისვენე მშვიდათ მშვენიერო, ღირსეულო, კეთილშობილო და ერთგულო კატავ".

„ს. მ. ს."

არ იფიქროთ, რომ ეს სამი ინიციალი ნიშნავს სახალხო მეურნეობის საბჭოს. ეს არის ათინაში დაარსებულ „სოკრატის მეგობართა საზოგადოების" შემოკლებული სახელწოდება. საზოგადოების მიზანია დაამტკიცოს, რომ სოკრატის (ცნობილი ბერძენი ფილოსოფოსი, რომელსაც დასწამეს ახალგაზრდობის გარყვნა და სიკვდილი მიუსაჯეს. სოკრატმა საწამლავი დალია და მოკვდა ციხეში) სიკვდილით დასჯა სასამართლოს შეცდომის ნაყოფია. მოსალოდნელია დიდი, ხანგრძლივი პროცესი, რადგან სოკრატის თანამედროვეების ძვლებიც არ არის დარჩენილი და სასამართლო იძულებული იქნება ძველ ტექსტებიდან ამოკრიბოს საჭირო მასალები.

უსაქმო ხალხის თავშესაქცევი

გაზ. „ნიუ ჰერალდ" იუწყება: „ცინცინატის ასი, ყველაზე პატივცემული მოქალაქე, შეიკრიბა ძველი აღთქმის წასაკითხად.

საერთო კითხვა დაიწყო ნაშუაღამევის პირველ საათზე და დასრულდა საღამოს 6 საათზე. მისის ჯორჯ ვაშინგტონ სმიტს წილად ხვდა უდიდესი ბედნიერება ეკითხა ყველაზე უფრო დიდხანს — 16 საათი და 50 წუთი, მისის ტომას ჯეფერსონს მილერმა, მიუხედავათ იმისა, რომ მთელი თავისი სარწმუნოებრივი ენერგია მოკრიბა, შესძლო კითხვა მხოლოდ 16 ს. და 40 წ. განმავლობაში".

შრომის ბირჟაში

მოთხოვნილება მუშა-ხელზე

დღეს, 7 ივლისს, თბილისის შრომის ბირჟა სამუშაოზე გასაგზავნად იწვევს შემდეგ უმუშევრებს:

კვალიფიციურ მუშაკთა პირველ სექციიდან: ალექსი მაისურაძე, ალექსანდრე ვარტალატიკოვი.

გონებრივ მუშაკთა მეორე სექციიდან: თამარ ჰავჭავაძე, ილია ჭყონია, მარიამ ინაშვილი, ელისაბედ ხანჩოიანი, მაკრინე ბერეკაშვილი, ელენე ბელიაიოვა, ანნა ტერაკოპოვა, ოვანეს მიკირტიჩიანი, არტაშეს აირუმიანი, მამედ ბილოევი, ფარიკ ნერსესოვი, გრიგოლ ბერუაშვილი, ვილია. რამიშვილი, მიხეილ კავსაძე, ქრისტი ჰავჭანიძე, ამბაკო კონტრიძე, ოლღა გუდიაშვილი, ლიდია აბრამიანი, ელენე მაკაროვა. ევგენი მეტრეველი, ვერა კუზნეცოვა, ელენე ივანიძე, ირინე კარაპეტოვა, ილარიონ ნაზორაძე, ნიკოლოზ თრისნიშვილი. პავლე წიგწივაძე, ბარბალე კალამკაროვა. ვერა წულუკიძე, ნინო ფალავა, ნინო მიქელაძე—ჩხეიძისა, ვერა საფრონოვა, ოლია ნიჟარაძე — კალანდარიშვილისა და ნინო ახვლედიანი.

საგარანტიო მუშაკთა სექციიდან: შალვა სვანიძე, დავით ციტიშვილი. ფილია, პაგალეტიანი და ივანე არუთინოვი.

რკინის გზელთა მეშვიდე სექციიდან: ტატიანა ივლიევა, ევგენია ბერიძე და ნინო ოლგიერენკო.

მშენებელ მუშაკთა მეხუთე სექციიდან: ტაგიევი იმამ-კერდი-ოღლი.

პარტიული კალენდარი

საქ. ახ. ლ. კ. კ. თბილისის კომიტეტი იუწყება, რომ დღეს, 7 ივლისს, საღამოს 5 საათზე ახ. ლ. კ. კ. თბილისის კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილებაში (რუსთაველის პროსპ. № 20). შესდგება საქ. ახ. ლ. კ. კ. თბილისის კომიტეტის მიმღები კომისიის სხდომა.

სხდომას აუცილებლად უნდა დაესწრონ კომისიის წევრები და აგრეთვე ის პირები, რომელთა ანკეტები უნდა დაამტკიცოს თბილისის კომიტეტმა.

ოფიციალური განყოფილება

დადგენილება

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი

მიწების მორწყვისა და შეგუების სფეროში აგრეთვე წყლის სარგებლობის მოწესრიგების საქმეში საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატისა და წყალთა მეურნეობის სამმართველოს მუშაობის შეთანხმების შესახებ

საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატისა და წყალთა მეურნეობის სამმართველოს მუშაობის შესათანხმებლად მიწების მორწყვისა და შეგუების სფეროში და აგრეთვე წყლის სარგებლობის მოწესრიგების საქმეში—საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი ყველა თავის მოსაზრებას საჭირო წყალ-სამეურნეო სამუშაოთა შესახებ, რაიონების დასახელებით და სამუშაოთა მოცულობისა და რიგის აღნიშვნით, აცნობებს საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამმართველოს, რომელიც, მიიღებს რა სახელმძღვანელოდ ამ ცნობებს და აგრეთვე სხვა ცნობებსაც, შეიმუშავებს სამუშაოთა გეგმას. განზრახულ სამუშაოთა და მათი შესრულების ვადების აღნიშვნით, და გაუგზავნის ამ გეგმას მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი, ამ გეგმის მიხედვით, შეადგენს და გაუგზავნის საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამმართველოს მოსაგვარებლად გათვალისწინებული მიწების დასახლებისა და შეგუების გეგმას.

2. წყალ-სამეურნეო კვლევისათვის საჭირო ხარჯების გარდა, კვლევათა ხარჯთ-აღრიცხვაში საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამმართველო შეიტანს იმ საკითხების შესასწავლად საჭირო ხარჯებსაც, რაც შეეხება მიწებზე დასახლების შესაძლებლობას, მოცულობას და წესს და აგრეთვე დასახლებასთან და შეგუებასთან დაკავშირებულ ღონისძიებათა განხორციელებას.

3. კვლევათა პროგრამას, რაც დაკავშირებულია შეგუების საკითხთან, შეადგენს საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამმართველო მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატთან ერთად.

4. საქართ. სსრ წყალთა მეურნეობის სამმართველო შეადგენს წყლის სისტემების რემონტისა და მოვლის გეგმას და აგრეთვე, მიიღებს რა სახელმძღვანელოდ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის ცნობებს იმ ადგილების სოფლის მეურნეობის ხასიათისა და საჭიროებათა შესახებ, სადაც მელიორაცია უნდა იქნეს განხორციელებული, დაამყარებს წყლის ხარჯვის წესსა და ნორმებს.

5. ადგილობრივ მომუშავე აგრონომები უნდა შევიდნენ წყალთა საბჭოებში და სამელიორაციო ამხანაგობებში.

II. წინადადება მიეცეს წყალთა მეურნეობის სამმართველოს შეიმუშაოს და წარადგინოს საკანონმდებლო ორგანოებში პროექტი „დებულებისა წყლის სარგებლობის შესახებ".

III. წინადადება მიეცეს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატსა და სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტებს აგრონომიული დახმარების გეგმების შედგენის დროს მხედველობაში იქონიონ სამელიორაციო რაიონებისათვის მოსამსახურეობის გაწევის საჭიროება. რისთვისაც უნდა მოხდეს არსებული აგრონომიული პუნქტების გადანაწილება ან ახალი პუნქტების ორგანიზაცია საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობასთან შეთანხმებით.

IV. წინადადება მიეცეს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს, სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტებს, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ცენტრალურ კავშირს „სოფლის კავშირს" გამოიყენონ საგრონომიო და საინსტრუქტორო პერსონალი მოსახლეობის სამელიორაციო ამხანაგობებში ჩაბმისა და ამ ამხანაგობების მოქმედების განვითარებისათვის, აგრეთვე მოსახლეობაში წყლის სარგებლობის დისციპლინის განმტკიცებისათვის.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე
ლ. ქართველიშვილი.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველის მოადგილე ს. სტეფანოვი.

დამწუხრებულნი მშობლები: პელაგი და ივანე დავითის ძე კილაძე, და თამარი, ძმები: შალვა, ბიძინა, გივი; ბიძები: ხიმონ და გიორგი აუწყებენ ნათესავებს, ამხანაგ-მეგობრებს

დათიკო ივანეს ძე კილაძის

უდროოდ დაკარგვას. დაკრძალვა ქუთაისში საფიჩხიის სასაფლაოზე ივლისის 8, კვირას, შუადღის 12 საათ. სამოქალაქო პანაშვიდი საღამოს 7 ს. (ჭავჭავაძის ქ. № 47)
2—1 2952

მეუღლე გიორგი შვილებით: კლიმენტი, მარუსია, ტატა, პეტიკო და გივი, მამა მიხეილ, დედა ედუკი, ძმა პეტუშა, დები ო. კაკაბაძისა და ქ. ჭავჭანიძე, აუწყებენ საზოგადოებას, რომ კვირას 8 ივლისს დილის 9 საათზე, ხონში, სასაფლაოზე გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი

ნადია მიხეილის ასული ჭავჭანიძე მაჭარაძის

ხსოვნის აღსანიშნავად
2954

დამწუხრებულნი მეუღლე მატა, ვაჟიშვილები: იოსები და ნოე, რძლები: გულნარა, ქალიშვილები მარო, ელენე და ნინა; სიძეები კ. წულაძე, ვ. რუხაძე და ბ. სიხარულიძე იუწყებიან დაუვიწყარი

გიორგი პეტრეს ძე მეგრელიშვილის

გარდაცვალებას. დაკრძალვა კვირას 8 ივლისს დაბა ჩოხატაურში. ნ. 1370

კვირას, 8 ივლისს 5 საათზე ვერის ახალ სასაფლაოზე გადახდილ იქნება სამოქალაქო პანაშვიდი ვერაგულად მოკლული

პეტრე ნიკოს ძე ტრაპაიძის

ხსოვნის აღსანიშნავად, რასაც აუწყებენ საზოგადოებას დამწუხრებულნი მამა ნიკო, ცოლი ოლია შვილებით: ეთერი და ლილი ტრაპაიძეებით, და ტატიანა და სიძე იოსებ მელიავები, სიდედრი დარო და სიმამრი შაქრო პეტრიაშვილები, ბიძები სამუელ და ვასილ ოთხმეზურები, ცოლისძმა ზაქარია ოჯახობით—თამარით და კოლია გამბლიშვილები
2940

ანასტასია (ევა) ივანეს ასული, იოსებ (ოჯახობით), დარია და გიორგი ქუმსიშვილები და მარიამ ჯაფარიძე შვილებით მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ გორის მაზ., სოფ. ქორდში ა/წ. ივლისის 5 გარდაიცვალა ძვირფასი მეუღლე და მამა

დიმიტრი იოსების ძე ქუმსიშვილი

დაკრძალვა—ქალ. დუშეთში
2951

განთიადი — სეზონის საუკეთესო ფილმი **ცოლი**

სახაფხულო ეთერი, სახაფხულო პალასი — არა ჩვეულებრივი ფილმი **ნარვალები** რეჟისორ ა. რომის დადგმა

სახაფხულო დარბაზი — გრანდიოზული ფილმი ეკატერინე მეორის ეპოქიდან **ბულატ ბატირ**

მინიონი — ამერიკული კინო-რომანი **ზღვის გმირი** 1 და 2 სერია ერთად

პროლეტარი ავლაბარი — **თავზე ხელაღებული** 5 და 6 სერია

სახელმწიფო კინოები

ანონსი: მალე ორი ახალი სურათი „გადატეხილი ზამბახი და „ნიკიშ" 0—31

ლილიან გიშ და რიჩარდ ბართელმეს სურათში **გადატეხილი ზამბახი**

მალე :2: ახალი სურათი

ოსი ოსვალდ სურათში **ნიკიშ**

ნ. 1367

მუშათა ცენტრალური კლუბი

დღეს, 7 ივლისს,

დიდი სიმფონიური კონცერტი

სახალხო არტისტის კომპოზიტორ ა. ა. სპენდიაროვის ხსოვნის აღსანიშნავად. კონცერტს ხელმძღვანელობს ა. ზ. მელიქ-ფაშაევი. პროგრამაში: რიმსკი-კორსაკოვი— შეხერეზადა და სპენდიაროვის საუკეთესო ნაწარმოებნი. დასაწყისი საღამოს 9 საათზე

წვიმიანი ამინდი კონცერტს ხელს არ შეუშლის.

ხვალ 8 ივლისს, კონცერტი მედსანშრომის მუშაკთა კლუბში. ნ. 1349

გერმანელთა საავადმყოფო,
სანაპირო ქუჩა № 15.

რენტგენის განყოფილება

ავადმყოფობის მიღება, როგორც ყოველთვის: ყოველდღე, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე, გარდა კვირა დღისა. 2944

თბილისის ქალაქის ტელეფონის ქსელი

ამით აცნობებს აბონენტებს, რომ მიწის ქვეშა ჯირგინი, გადებული მდ. მტკვრის მარცხენა მხარეზე 7 ამა ივლისს

გადაჭრილი იქნება

3—4 დღე აბონენტები, რომელიც მოთავსებულია ჟორესის, კლარა ცეტკინის და საბჭოთა და მახლობელ ქუჩებზე და აგრეთვე აბონენტები, რომელთაც აქვთ ავტომატები, მოკლებული იქნებიან ტელეფონის კავშირს.

ნ. 1365 ქალ. ტელეფონის ქსელის გამგე **ლომაია.**

სია

იმ პირთა და ორგანიზაციათა, რომელნიც გატარებულნი არია ნ რეგისტრაციაში ა.-კ. ვაჭრობის სახკომის რწმუნებულის სამმართველოში

(გაგრძელება № 42)

№№ რიგ.	რეგისტრაციის დრო	საწარმოს დასახელება	ვის მიერ არის დამტკიცებული წესდება და როდეს	მისამართი	წარმოების მიზანი	მოქმედების რაიონი	ძირითადი თანხა	საპაიო	სარ. მოწ. ხარ.
1088	6 ივნისი 28 წ.	სიღნაღის მაზრის აღმასკ. სახ. სამრ. ტრესტი	სიღნაღის მაზრის აღმასკ. პრეზ. მიერ 24 მაისს 19 8 წ.	ქ. სიღნაღი	ადგილობრივი წარმოების განვითარება	ს.ს.ს.რ.	627.464 მ. 62 კ.	—	—
1089	22 " "	ხე-ტყის მრეწველობის შრ. ნადი „გლეხის კავშირი"	კოოპერაციის საქმეთა სამმართვ. კოლეგ. სხდომაზე 20 მარ. 28 წ.	ქ. თბილისი ლენინის ქ. № 28	შეშის დამზადება	—	380 მან.	50 მან.	—
1090	23 " "	სააქც. ს—ბა „საქართველოს ჩვარ-ნაჭერი"	ა.-კავკ. ვაჭსახკომის რწმ. მიერ 23 ივნისი 28 წ.	ქ. თბილისი ძნელაძის ქ. № 30	ჩვარ ნაჭერის შეკრება და გასაღება	—	100.000 მან.	—	—
1091	12 " "	საქართველოს სახელმწიფო ვაჭრობის სააქც. ს—ბა „გრუზგოსტორგი"	ა.-კავკ. ვაჭრობის სახკომის რწმ. მიერ 25 მაისს 1928 წ.	ქ. თბილისი	სას. სამ. ნაწარმოებთა დამზად. და გადამუშ. და ყოველგვარი სას. სავაჭრო ოპერ.	ს.ს.რ.კ.	650.000 მან.	—	—
1092	26 " "	დასავლეთ საქ. მეჯოგეების კოოპერ. ამ—ბა „მეჯოგე"	კოოპერატიულ სამმართველოს მიერ 1925 წ.	ქ. ახალ-სენაკი	—	დასავლეთ საქართველო	380—45 კ.	2338 მ. 25 კ.	მე-3 ხარ.
1093	8 მაისი "	ხურცია პლატონი ფილიპეს-ძე	—	ქ. თბილისი დესმოუნოვ. მოედ. № 23	სასადილო	—	450 მან.	—	მე-4 ხარ
1094	26 " "	ტელმურ იბრაგიმოვი	—	ქ. თბილისი აბანოს ქ. № 6	—	—	—	—	—
1095	26 " "	ბაჯი-ოღლი	—	" № 4	—	—	—	—	—
1096	28 " "	გოშაძე ნოე კონსტ.-ძე	—	სად. ნავთლუღი	ბუფეტი	—	300 "	—	—
1097	" " "	ტომარაძე ალექსი რევაზის-ძე	—	ქ. თბილისი ლენინ. № 5	სასადილო	—	650 "	—	—
1098	31 " "	აბრამიძე სიმონი იოსების-ძე	—	პლეხან. № 157	—	—	100 "	—	—
1099	5 ივნისი "	კალმახელიძე და ცინცაძე	—	სამხედრო № 3	—	—	150 "	—	—
1100	8 " "	კვირკველია მოსე გუჯესძე	—	ახ. ბაზარი	ბალ-ბოსტნ. და ხილ. ვაჭრ.	—	200 "	—	—
1101	9 " "	მაშადი კაზიმ ადაჯი აღა-ახმედ-ოღლი	—	თამამშევის ქარვასლა	საწვრილმანო ხილით ვაჭრ.	—	2.500 "	—	—
1102	11 " "	ბაჩაშვილი იოსები ნიკოლოზის-ძე და ნიავაძე ონისიმე თათეოზის-ძე	—	გოგოლის ქ. № 1	სასადილო	—	600 "	—	—
1103	14 " "	მინდინები იუდა ისაკისძე, ბორის სამ.-ძე და მისტეცკი ვლადიმერ ოვსევ-ძე	—	კ. მარქსის მოედანი	სარკეების სახელოსნო	—	20.000 "	—	მე-6 ხარ
1104	" " "	მელაძე გიორგი ლევანის-ძე და ლავიძე გრ. მარკ.-ძე	—	პუშკინის გასავ. № 2	სასადილო	—	600 "	—	—
1105	" " "	ისაკოვი გიგო აბელის-ძე, აივაზოვი გარეგინ საქ.-ძე	—	ლაზარევის ქ. № 30	ღვინის სარდაფი	—	1.200 "	—	—

ამ.-კავკ. ვაჭსახკომის რწმუნებულის სამმართველოს საქმეთა მმართველი **კალანდაძე.**

ნ. 1366 სავაჭრო რეგისტრ. განყ. გამგე **კ. ორჯონიკიძე.**

ქუთაისის მე-2 უბნის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი დ. აშორდია

აცხადებს, რომ ის ა. წ. 18 ივლისს 1928 წ. დილის 11 საათზე, **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის ედუკი ციცხვაის სახლს № 68, მდებარეს ქალ. ქუთაისში, პროფ. მარის ქუჩაზე, რომელიც შეიცავს ერთ თვალ საცხოვრებელ ქვიტკირის ოთახს წინ შუშაბანდით, დახურულს კრამიტით, აგებულს ნაკვეთ მიწაზე ზომით 60 კვ. საჟენ. შემდეგ საზღვართა შორის; აღმოსავლეთით და ჩრდილოეთით—მარჯანიშვილის მამული, დასავლეთით—ჩიხლაძის მამული და სამხრეთით—ქუჩა; სახლი შეფასებულია 400 მანეთათ და იყიდება ნადეჟდა კიკნაძის ვალის დასაკმაყოფილებლათ; ვისაც სურს საჯარო ვაჭრობაში მონაწილეობა მიიღოს, უნდა წარმოადგინოს ცნობები აღნიშნული 311 მუხ. და 312 ს. ს. საპ. კოდ. და 10 პროც. საწინდარი. 2943

ქ. თბილისის მე-4 უბნის სასამართ. აღმასრულებელი ა. გიორგაძე

ამით აცხადებს, რომ ის 10 ივლისს 1928 წ. დღის 12 ს. სახლში № 63 საბჭოს ქ. **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის მოქ. ჰენრიხ კუგლერის მოძრავ ქონებას: ბუფეტის შკაფს, სასადილო მაგიდას, კედლის საათს და კედლის ხალიჩას შეფასებულს 80 მანეთად, „ა.-კ. ორგმშენი"-ს ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის მე-4 უბნის სახალხო სასამართლოსაგან 20 აპრილს 1928 წ. თარიღით, № 2156 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. 2945

ქუთ. შრომის სასამართლოს აღმასრულებელი ქ. მესხი

ამით აცხადებს, რომ ის 10 ივლისს 1928 წ. დღის 11 საათზე სოფელ ხომულში **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის აფრაქსიონ მშვენიერიძის და მაქსიმე დეისაძის ქონებას. 18000-მდე გამომწვარი აგური და აგურის საწყობი ყაზარმა ყავრით დახურული შეფასებული 200 მანეთად, იასონ ხაზარაძის და სხვების ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. ქუთაისის შრომის სახალხო სასამართლოსაგან 27 თებერვალს 1928 წ. თარიღით, № 635 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. 2953

თელავის უბნის სასამართლოს აღმასრულებელი გ. ზ. უანასაშვილი

ამით აცხადებს, რომ ა | წ. 12 ივლისს ქ. თელავში, ლამბაროვების სახლში № 3, 1905 წლის ქუჩაზე, დილის 10 საათზე, შესდგება **საჯარო ვაჭრობა** ლევან ჯერანიშვილის შემდეგი ქონებისა; ფარდაგი შეფასებული 50 მან., ტანისამოსის შკაფი ორ განყოფილებიანი—80 მან., კედლის საათი—15 მან. სამოვარი—10 მან. სამი სკამი—6 მან., სპილენძის ქვაბი—3 მან., დასაკმაყოფილებლად აწყურის საკრედიტო ამხანაგობის ვალის 176 მან. 46 კაპ. და ხარჯებისა, თანახმად სასამართლოს ბრძანებისა № 857.—4 ივლისი 1928 წ. ნ. 1369

სიღნაღის უბნის სასამართლოს აღმასრულებელი ქ. თ. სვიმონიშვილი

ამით აცხადებს, რომ ა | წ. 11 ივლისს დღის 10 საათზე ს. საქობოში დანიშნულია **საჯარო ვაჭრობა** მოძრავ ქონებისა გიორგი სერგოს ძე ყარალაშვილისა რომელიც აღწერილია საქობოს საკრედიტო ამხ.-ბის ვალში, თანახმად სიღნაღის უბნის სახალხო მოსამართლის აღმასრულებელ ფურცლისა 4 მაისის 27 წ. № 547. სია გასაყიდ ქონებისა: ერთი სასადილო მაგიდა, ერთი დიდი სარკე, ერთი გრამაფონი 60 ფირფიტით, ერთი კუშეტკა, ერთი ბუფეტის შკაფი, ერთი სამოვარი, ერთი პირსაბანი, ერთი რკინის საწოლი, ექვსი სკამი ვენისა, ერთი ფარდაგი, ერთი გრძელი მაგიდა, ერთი ლამფა, ერთი სანადირო თოფი „ვინჩესტერი", ერთი პატარა მაგიდა და ერთი ბამბუკის ეტაჟერკა შეფასებულია სულ 308 მანეთად. ნ. 1368

დავკარგე: პარტბილეთი № 0867574 გაცემული ქუთ. მაზრკომის მიერ გრიგოლ მიხეილის-ძე ქაშიბაძის სახელზე, ჩ. გ. 2943

დავკარგე: ალმშენებ. კავშ. წიგნაკი № 14 | 7665 მოცემული 18 სექტ. 25 წ. ნიკოლოზ მიხეილის-ძე გიყიმყრელის სახელზე, ჩ. გ. 2943

დავკარგე: ქიმიკოსთა კავშირის საწევრო წიგნაკი ვასილ ანტონის-ძე ჯანუაშვილის სახელზე, ჩ. გ. 2942

დავკარგე: საბინაო დავთარი—სახლი № 9 ბუფერნის შეს. მინა კობახიძის და ვალია კაციტაძის სახელზე, ჩ. გ. 2941

ზესტაფონის მაზრაში

გაზეთ „კომუნისტი"-ს კონტრაგენტათ

1 ივნისიდან დანიშნულია

ვასილ ჯალაღანია

სააგენტო აქვს ქ. ჭიათურაში

3—1 მთ. კანტორა.

ექიმი
ქ. ს. ფონ-ირტელი

სპეციალურად მკურნალობს საშარდე, სქესობრივ (სქესობრივი უძლურება, ვენერიულ (ტრიპერი) ავადმყოფობას, სიფილის და მის შედეგებს, კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობას (სიმსივნე, ბუასილი) ელექტრომკურნალობა და ოპერაციები. ავადმყოფების მიღება დილ. 8 ს. დღის 12 საათამდე და საღ. 4 ნახ. საათ.—7 საათამდე. ქალების მიღება დღ 10—12 საათამდე.

პლეხანოვის პროსპ. № 10
13—1

ექიმი
ა. დ. კეკელია

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება

პლეხანოვის პროს. № 116. სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ. მიღება დილის 9—12—საღ. 7 ნახ.—8 ნახ. საათ.
25—1

ექიმი **ჯალალოვი**

სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შეშხაპუნება „914". ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა

ავადმყოფ. მიღება: მამაკაცების დილით—7—8. საღამოთი—5—8 ქალების: დილით —8—9 საღ.—4—5 მისამართი კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ყოფ. ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. ტელეფ. № 1—90 25—

ლოგოპედი
ტ. კაიშაური

ყოფილი გამგე მოსკოვის მეორე უნივერსიტეტთან არსებულ ლოგოპედიის კაბინეტისა

ასწორებს

ლოგოპათებს: ენაბლუებს, ენაჩლუნგებს, აფატიკებს და მეტყველების ყოველგვარ დეფექტებს

იღებს: საღამოს, 5—7 საათ. მისამართი: კ. ცეტკინის ქუჩა № 132

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის **სამკურნალო**

საწოლებით

ელექტრონით და სინათლით სამკურნალო კაბინეტი

ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 25—4

თმის მკურნალობა

საექიმო-კოსმეტიკა, ელექტრო-სინათლით სამკურნალო კაბინეთი

ნ. გ. კონტროვიჩისა

მიღებულია საზღვარგარეთიდან ახალი საშუალებები თმების სამკურნალოთ და ფერის მჭამელას, მუწუკების, ჭორფლის, ტალის, მეჭეჭის და სხვ. გასაქრობათ. ვაძლევ საექიმო რჩევა-დარიგებას პირის კანის მოვლისა და თვითმასაჟის შესახებ საზღვარ-გარეთის მეთოდების მიხედვით. ფრეილინის ქ. № 1. პაციენტების მიღება 11-დან 3-მდე და საღამოს 6-დან 8 საათამდე. 25—1

გვარის გ მოცვლა

გორის სამაზრო აღმასკომის მმაჩის ბიურო აცხადებს, რომ არტაშ არუთინის-ძე თ უ მ ა ს ი ა ნ ც მ ა შემოიტანა განცხადება თავისი გვარის „თუმასიანცი"-ს გამოცვლის შესახებ „ალაფიშვილ"-ზე.

გორის მაზრის მმაჩის ბიურო.

გამგე: ი. გ ე ლ დ ი ა შ ვ ი ლ ი. 2950

დავკარგე ს. ა. ლ. კ. კ. საკავშირო ბილეთი № 45987 ივანე ილიას ძე მჟავიას სახელზე, ჩ. გ. 2953

დავკარგე: კავშირის წიგნაკი № 2929 გაცემული სიღნაღის განათლების მუშაკთა კავშირიდან არჩილ ფირანიშვილის სახელზე, ჩ. გ. 2929

დაიკარგა: დარჩელის საკრედიტო ამხანაგობისაგან გაცემული ინდუსტრიალიზაციის სესხის დროებითი ქვითარი № 51, ჩ. გ. 2948

დავკარგე: განათლების მუშაკთა კავშირის საწევრო წიგნაკი № 27131 ლომინ კუციას სახელზე, ჩ. გ. 2950

დავკარგე: მეტრიკული ამონაწერი № 324 ნინა მერანკულოვის სახელზე, ჩ. გ. 2947

მთავლიტი № 904.

პოლიგრაფტრესტის მე-5-ე სტამბა, კამოს ქ. № 68.